პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24;
მეორე სართული, ტელეფ. № 10—49

ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას", განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 18—80.

დღიური

— ერთა ლიგა მოკლე ხანში გადაჭრის მოსულის საკითხს.
— ოსმალეთის მთავრობა ლოკარნოს ხელშეკრულებას „საპნის ბუშტს" უწოდებს.
— დაიხურა სპარსეთის დამფუძნებელი კრება.
— მუკდენს უომრად გადასცემენ გოს სუნ ლინს.
— პოლონეთში ითხოვენ 50,000 მასწავლებელს.
— ჩან ძო ლინის ჯარები პეკინის ახლო სახალხო არმიას შეუერთდნენ.

ხუთშაბათი, 17 დეკემბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 290 (1445)

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა მტკიცდება

საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხი მსოფლიო პოლიტიკის ცენტრშია მოქცეული. ერთი მხრივ ინგლისის ცდა—შექმნას ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტი, მეორე მხრივ მთელ რიგ სახელმწიფოების ჩვენთან დაახლოვება—აი რას ვამჩნევთ დღეს. ამ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებიდან რომელი იმარჯვებს, ხელსაყრელი საერთაშორისო მდგომარეობა იქმნება, თუ არა საბჭოთა კავშირისათვის, —ამ საკითხზე ჩვენ არა ერთხელ შევჩერებულვართ და ის აზრი გამოგვითქვამს, რომ ჩვენი გარემოცვის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს ჩემბერლენი, მარცხდება და კაპიტალისტური ქვეყნები იძულებული ხდებიან დაადგენ ჩვენთან ნორმალური ურთიერთობის მოგვარების გზას.

ავიღოთ თუ გინდ სულ ბოლო დროის ფაქტები.

სენატორმა ბორამ განაცხადა: „ნიუ-იორკის ბირჟის და საქმის ხალხის კრება ძალიან დაინტერესებულია რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენით. დიდ უხერხულობას წარმოადგენს საქმიან წრეებისათვის ურთიერთობის დაჭერა იმ ქვეყანასთან, რომელიც ჩვენ მიერ ცნობილი არ არის, და კონკურენციის გაწევა სხვა ქვეყნების მოქალაქეთაგან, რომელთაც ეს რუსეთი იცნეს". მეორე სენატორმა, ნორისმა სთქვა: „ჩემი აზრი არის, რომ შეერთებული შტატები იცნობენ საბჭოთა კავშირს, რადგან საქმიანი წრეები ამას ხელს უწყობენ. ჩვენი მთავრობა მიჰყვება ჩვენი საქმიანი წრეების ინტერესებს". სენატორი შიპსტედი ამბობს: „თუ საერთაშორისო ბანკირები გადაწყვიტავს, რომ შესაძლებელია საბჭოთა კავშირის ცნობა, მთავრობა იცნობს მას. მსხვილი ფინანსები წარმოადგენენ ერთ და ერთ რეალურ ძალას, რომელიც ნამდვილად ხელმძღვანელობს ამჟამად ჩვენს ნაციონალურ ცხოვრებას".

ამგვარად, ამერიკის ფინანსისტებსა და მრეწველებში მოხდა ღრმა გარდატეხა საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხში. მათ სამართლიანად სჯერათ, რომ რაც მეტს დაიგვიანებენ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური და ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენაში, მით უფრო წააგებენ, მათ ადგილს ჩვენს ბაზარზე დაიკავებენ ის ქვეყნები, რომელთაც გვიცნეს. ამერიკის მთავრობას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს იმ ხალხის სურვილებს, რომელთა აღმასრულებელ ორგანოს იგი წარმოადგენს, ე. ი. მსხვილი მრეწველების და ბანკირების ხმას, რომელნიც, შიპსტედის გულახდილი თქმით, ამერიკის პოლიტიკის ერთად ერთი ხელმძღვანელი რეალური ძალაა. თვით ამერიკის საქმიანი წრეები აღიარებენ, რომ სავაჭრო ურთიერთობა ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ვით რიდება, რომ უკანასკნელი აღორძინების გზაზეა შემდგარი და ამერიკის კაპიტალი, რომელიც გამწარებით ეძებს ბაზარს, ბევრს დაკარგავს, თუ ამერიკამ დროზე არ გადადგა სათანადო ნაბიჯები ჩვენთან ნორმალური დამოკიდებულების დასამყარებლად.

ჩეხო-სლოვაკიის მრეწველთა კავშირის საერთო კრებამ ერთხმად გამოიტანა რეზოლიუცია საბჭოთა კავშირის იურიდიული ცნობის შესახებ. ამას დაჟინებით მოითხოვს ამ ქვეყნის ეკონომიური ინტერესები, კერძოდ, ეს აუცილებელი ხდება მუშათა მოძრაობის ზრდის გამო, რაც კომუნისტების ბრწყინვალე გამარჯვებაში გამოიხატა საპარლამენტო არჩევნების დროს. ჩეხო-სლოვაკიის მიერ საბჭოთა სახელმწიფოს ცნობა ახლობელი დროის საქმედ უნდა ჩაითვალოს.

ასეთივე მდგომარეობაა სამხრეთ-სლავიაში და ბელგიაში, სადაც ჩვენი ცნობის სასარგებლოდ ფართო კამპანია სწარმოებს.

უფრო საყურადღებოა ჩვენი დამოკიდებულება საფრანგეთთან. ერთ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა იცნო საბჭოთა კავშირი. ამ ხნის განმავლობაში მხარეთა შორის წარმოებულმა მოლაპარაკებამ სადაო საკითხების მოგვარების და ნორმალური ეკონომიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. ვერ გამოიღო საგრძნობი ნაყოფი, იმიტომ რომ საფრანგეთი არავითარ დათმობაზე არ მიდიოდა და გადაჭარბებულ პრეტენზიებს აყენებდა ვალებისა და რევოლიუციის მეოხებით დაზარალებულ ფრანგ მოქალაქეთა დაკმაყოფილების საკითხში.

ბოლო დროს, როგორც ეტყობა, საფრანგეთის შეურიგებლობა შეირყა. ძალიან გართულდა მისი საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა. ლოკარნოს ხელშეკრულებამ იგი ინგლისის გავლენაში მოაქცია. მაროკოს და სირიის ფრონტებზე დამარცხებას განიცდის. ფინანსიურმა კრიზისმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. საფრანგეთს ამიტომ დღეს აღარ შესწევს, რეალური ძალა ჩვენს წინააღმდეგ „მაგარი" პოლიტიკის წარმოებისათვის. საერთო ენის გამონახვა ჩვენთან, შეთანხმების მიღწევა ორივე ქვეყნისათვის მისაღებ პირობების საფუძველზე, ბევრად უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს საფრანგეთს, ვინემ მისი წინანდელი შეურიგებელი პოზიცია, რომლიდანაც პირველყოვლისა თვითონ დაზარალდა. ამავე დროს საბჭოთა კავშირთან დაახლოვება საფრანგეთს ესაჭიროება ინგლისის „მზრუნველობისაგან" რამდენიმედ მაინც თავის დასაღწევად.

ამჟამად ამხ. ჩიჩერინი იმყოფება პარიზში და ნიადაგს ამზადებს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირს შორის მოლაპარაკების განახლებისათვის. ჩვენ თავის დროზე უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ბრიანმა მიუთითა ჩემბერლენს საბჭოთა კავშირთან ევროპის ქვეყნების დაახლოვების აუცილებლობაზე. ბრიანმა აქათან დასძინა, რომ ინგლისი მთავარ ყურადღებას პოლიტიკურ პრობლემას აქცევს, საფრანგეთს კი ჰაერს ვალების საკითხი გადაჰკრავს. ეს იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთი ლოლიობით ხელს იღებს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის განზრახვაზე, რომელიც ინგლისს ამოძრავებს. თვით ვალების საკითხშიც ბრიანი თითქო მთელ რიგ არსებით დათმობაზე მიდის. იგი თითქო კმაყოფილდება ვალების გადახდის მხოლოდ პრინციპიალური აღიარებით, ხოლო მათი ფაქტიური გასტუმრება შეიძლება ცალკე მოლაპარაკების საგნად გახდეს. გაზ. „ჟურნალ"-ში სენბრისი ეხება საფრანგეთ საბჭოთა მომავალი მოლაპარაკების პროგრამას და საფრანგეთის მოთხოვნების ჩამოთვლასთან ერთად, მხედველობაში ღებულობს საბჭოთა მთავრობის პრეტენზიებს ინტერვენციებთან დაკავშირებით, კრედიტების გახსნის და ვრანგელის ფლოტის დაბრუნების საკითხებს. ესეც მაჩვენებელია, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება შესაძლებელია, თუ საფრანგეთმა მართლა გამოიჩინა ამის გულწრფელი სურვილი და თუ მან სისწორით გაითვალწინა თავისი ინტერესები და საერთაშორისო ძალთა განწყობილება. საბჭოთა ხელისუფლება თავის მხრივ მიიღებს ყოველ ზომას ამ შეთანხმების მისაღწევად, ცხადია, ოქტომბრის მონაპოვართა ხელშეუხებლობის და ჩვენი მეურნეობის ინტერესების დაცვის ნიადაგზე.

ხაზგასმულია, რომ ჩიჩერინის ყოფნა პარიზში, მისი მოლაპარაკება საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან მოუსვენრობას და ხმაურობას იწვევს ლონდონში. ინგლისის რეაქციონურმა წრეებმა განგაში მორთეს და საბჭოთა ხელისუფლებას ამტყუნებენ ყველა „მომაკვდინებელ ცოდვებში". ჩემბერლენებს სერიოზულად ეშინიათ, რომ საბჭოთა მთავრობა შესძლებს ნორმალური ურთიერთობის დამყარებას საფრანგეთთან და ევროპის სხვა კონტინენტალურ ქვეყნებთან, ამით საბოლოოდ ჩაიფუშება მისი გეგმა ჩვენი გარემოცვის, და თვითვე დარჩება განაპირებული.

ეს შიში არ არის უსაფუძვლო. საბჭოთა კავშირი ღონიერდება და იგი მსოფლიოს ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ უფრო მეტ როლს თამაშობს. ჩემბერლენების ცდები იმსხვრევა და ბურჟუაზიული ქვეყნები იძულებული არიან ჩვენ დაგვიახლოვდენ, ჩვენთან საერთო ენა გამონახონ, აღადგინონ ჩვენთან ნორმალური დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობა.

საბჭოთა კავშირის ურთიერთობა უცხოეთთან

დაიდო საკონსულო ხელშეკრულება პოლონეთთან

ხელმოწერილია სავაჭრო ხელშეკრულება ნორვეგიასთან

საერთაშორისო სარკინიგზო კონფერენციის უცხოელ დელეგაციების პატივსაცემად გაიმართა ბანკეტი

კლაინსი მოითხოვს ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებას

საერთაშორისო სარკინიგზო კონფერენცია

ბანკეტი კონფერენციის უცხოელ დელეგაციების პატივსაცემად

მოსკოვი, 16 დეკემბ. 14 დეკემბერს საღამოს გზათა სახ. კომისარიატმა გამართა ბანკეტი საერთაშორისო სარკინიგზო კონფერენციის მონაწილე უცხოელ დელეგაციების პატივსაცემად.

ბანკეტს დაესწრნენ: საფრანგეთის ელჩი ერბეტი, იაპონიის ელჩი ტანაკა, გერმანიის რწმუნებული გაი, პოლონეთის ელჩი კეტჩინსკი, ლატვიის ელჩი ოზოლსი, ესტონეთის რწმუნებული ბეგედა, ლიტვის ელჩი ბალტრუშაიტისი. გზათა სახ. კომისარიატიდან დაესწრნენ საბჭოთა დელეგაციის თავჯდომარე საერთაშორისო კონფერენციაზე პოსტნიკოვი, გზათა სახ. კომისარის მოადგილე ბორისოვი, გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებული საერთაშორისო საქმეებზე სვერჩკოვი და სხვ. გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატიდან სახ. კომისარის მოადგილე ლიტვინოვი, გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი არალოვი, გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის ოქმების განყოფილების გამგე ფლორინსკი და სხვ. გარდა ამისა მთელი თავისი შემადგენლობით დაესწრნენ გერმანიის, საფრანგეთის, ლატვიის, პოლონეთის, ესტონეთის, ლიტვის და იაპონიის დელეგაციები.

ამხ. პოსტნიკოვის სიტყვა

პოსტნიკოვმა თავის მისასალმებელ სიტყვაში განაცხადა რომ საბჭოთა კავშირი, რომელსაც უჭირავს ცენტრალური ადგილი შორეულ აღმოსავლეთისა და დასავლეთს შორის, საერთაშორისო კონფერენციას გადაწყვეტილებათა მიხედვით, ხელს შეუწყობს მეგობრულ ურთიერთობის დამყარებას აღმოსავლეთის და დასავლეთის ხალხებს შორის.

უ. ერბეტის სიტყვა

დიპლომატიურ კორპუსის სახელით საფრანგეთის ელჩი ერბეტი მიესალმა საბჭოთა დელეგაციას, რომელმაც იკისრა საერთაშორისო კონფერენციის მიწვევის ინიციატივა. „აღდგენილი გზა 14.000 კილომეტრის მანძილზე—ამბობს ერბეტი—შეაერთებს აღმოსავლეთს და დასავლეთის ხალხებს და დააკავშირებს ევროპას და აზიას მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოთ.

მადლობა საბჭოთა მთავრობას

შემდეგ საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილე ყველა დელეგაციების სახელით სიტყვა წარმოსთქვა გერმანიის დელეგაციის მეთაურმა ფონ-რივენმა. მან მადლობა გადაუხადა საბჭოთა დელეგაციას კონფერენციის მოწვევისათვის მოსკოვში და აღნიშნა, რომ კონფერენცია წარმატებით დამთავრდა იმის წყალობით, რომ საბჭოთა დელეგაციამ ხელი შეუწყო საქმიან და მეგობრულ მუშაობას. მხოლოდ საბჭოთა კავშირის აქტიური როლის წყალობით მოსახერხებელი გახდა მოკლე ხანში ესოდენ მნიშვნელოვან მუშაობის დამთავრება.

ამხ. ლიტვინოვის საპასუხო სიტყვა

მისალმებების საპასუხოთ გარეშე საქმეთა სახ. კომისარის მოადგილემ ლიტვინოვმა განაცხადა, რომ ბევრი აყენებს კითხვას.—საბჭოთა კავშირი ეკუთვნის აღმოსავლეთს, თუ [illegible] ფერენცია ამ კითხვაზე იძლევა გარკვეულ პასუხს: საბჭოთა კავშირი მდებარეობს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით და ვცდილობთ, რათა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მოისპოს ყოველგვარი გაუგებრობა. ჩვენი მიზანია გავაერთიანოთ აღმოსავლეთი და დასავლეთი. საერთაშორისო კონფერენცია, ეჭვს გარეშე, ხელს შეუწყობს ამ იდეის განხორციელებას.

ურთიერთობა პოლონეთთან

საუბარი პოლონეთის ელჩთან

მოსკოვი, 15 დეკ. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს პოლონეთის ელჩმა კეტჩინსკიმ განაცხადა, რომ ახლო ხანში მოსალოდნელია პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დადებულ საკონსულო ხელშეკრულების დამტკიცება. ამ ხელშეკრულების თანახმად, როგორც პოლონეთის, ისე საბჭოთა მთავრობას ენიჭებათ უფლება გახსნან საკონსულოები ორივე სახელმწიფოს განსაზღვრულ სამრეწველო და სავაჭრო ცენტრებში. საკონსულო ხელშეკრულება ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის შორის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას.

შეკითხვაზე, სწორია თუ არა ცნობა, რომ პოლონეთის პრემიერს და გარეშე საქმეთა მინისტრს განზრახული აქვთ საბჭოთა კავშირში გამგზავრება, კეტჩინსკიმ განაცხადა, რომ ეს ცნობა სინამდვილეს შეეფერება. გამგზავრების ვადის სისწორით განსაზღვრა არ შეიძლება, მაგრამ ეს უფრო მოსახერხებელი იქნება 1926 წ. გაზაფხულზე. ამ დროისათვის გამოირკვევა მთელი რიგი საკითხები, რომელსაც შეეხენ ჩიჩერინი და სკშინსკი ვარშავაში; გარდა ამისა, უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ მოწესრიგებული იქნება ეკონომიური ურთიერთობა. ეს მოამზადებს ნიადაგს იმისათვის, რათა ორივე სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებმა განაგრძონ ვარშავაში დაწყებული მოლაპარაკება.

დამოკიდებულება ჩეხო-სლოვაკიასთან

ბანკეტი საბჭოთა საელჩოში

პრაგა, 15 დეკ. ჩეხო-სლოვაკიაში ახლად დანიშნულ სავაჭრო წარმომადგენლის ლუნსკის პატივსაცემად საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობამ პრაგაში გამართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრო ჩეხო-სლოვაკიის უდიდეს სამეურნეო გაერთიანებათა 150 წარმომადგენელი. მისასალმებელ სიტყვებში ორატორები გამოსთქვამენ სურვილს საბჭოთა კავშირთან ნორმალურ დამოკიდებულების დაუყოვნებლივ დამყარების და მასთან სამეურნეო ურთიერთობის განვითარების შესახებ.

სავაჭრო ხელშეკრულება ნორვეგიასთან

ხელშეკრულება ხელმოწერილია

მოსკოვი, 15 დეკ. 15 დეკემბერს ხელმოწერილი იქნა ნორვეგია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება.

ჩვენ და ინგლისი

კლაინსის განცხადება

ლონდონი, 15 დეკემბ. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჩერჩილისა და სოციალისტების იერიშების საპასუხოდ კლაინსმა მიტინგზე განაცხადა:

„ევროპაში შეუძლებელია მშვიდობიანობის დამყარება მანამდე, სანამ ინგლისის მთავრობის წევრები რუსეთს იხსენიებენ ისეთი სიტყვებით, რომელსაც არ დაუშვებდა პროკურორი დამნაშავის მიმართ. თუ რუსეთი ინგლისისათვის არ არის მეგობრული სახელმწიფო მაშინ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები, რომლებიც დაშვებული არიან ინგლისში არა მუშების, არამედ კოალიციონური მთავრობის მიერ, განდევნილ უნდა იქმნენ [illegible]

საფრანგეთთან მოლაპარაკების გამო

„პრავდას" წერილი

მოსკოვი, 16 დეკემბერი. „პრავდა" ასეთი სათაურით ათავსებს მოწინავე წერილს, რომელშიაც სწერს;

„საბჭოთა კავშირის მთავრობა მზადაა დაიწყოს და უახლოეს დროში დაამთავროს საფრანგეთთან ყველა სადაო საკითხების მოწესრიგება. შეთანხმების მიღწევას, როგორც ჩვენ ეს არა ერთხელ დავინახეთ, სრულიადაც არ უშლის ხელს მოსკოვი.

მაგრამ საფრანგეთში უნდა შეიგნონ, რომ რაც უფრო მეტად აღვადგენთ ჩვენს მეურნეობას საკუთარი ძალებით. თანხების დიდი ნაკლებობის პირობებში, როცა ჩვენ ესაჭიროებთ საზღვარ-გარეთ სესხის მიღებას, მით უფრო ნაკლებ მიზანშეწონილათ ჩასთვლიან საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები სერიოზულ დათმობაზე წასვლას ვალების საკითხში.

ინგლისელ კონსერვატორებს საფუძველი აქვთ წინააღმდეგობა გაუწიონ სეპარატიულ შეთანხმებას საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ვალებისა და სხვა საკითხებში. ისინი დაინტერესებული არიან ჩვენს განცალკევებაში ისინი ამზადებენ ჩვენს წინააღმდეგ ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოების ბლოკს. პირიქით, საფრანგეთის ინტერესები მოითხოვს სრულიად საწინააღმდეგო პოლიტიკას. ძალიან სასარგებლო იქნებოდა ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის, თუ რომ ჩიჩერინი და რაკოვსკი შეათვისებინებენ ამ შეხედულებას საფრანგეთის საზოგადოებრივ წრეებს.

რა აფერხებს სას.-სამ. გადასახადის აკრეფას

წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე ეს წინათ იყო. ჩვენში ის შემცირებულია შარშანდელთან შედარებით თითქმის 50 პროცენტით. ამავე დროს არ შეიძლება იმის თქმაც, რომ სოფლის მეურნეობის უკანასკნელი მოსავალი გასული წლის მოსავალზე დაბლა იდგეს. პირიქით, მიმდინარე წლის მოსავალი, საერთოდ რომ ავიღოთ, უფრო მეტია, ვიდრე შარშანდელი.

ამრიგათ, თითქოს ისეთი ობიექტიური პირობებია, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მოკრეფა უფრო ადრეულად და უმტკივნეულოთ უნდა სწარმოებდეს, ვიდრე ეს წინა წლებში ხდებოდა, მით უფრო, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ სამზადისი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასაწერათ თავის დროზე დაიწყო და ამ კამპანიის ტეხნიკური მხარე ადრინდელთან შედარებით უკეთ იყო შემუშავებული.

სინამდვილეში წინააღმდეგ მოვლენასთან გვაქვს საქმე. დღეს, სხვათა შორის, იბეჭდება ჩვენს გაზეთში ცნობა ახალქალაქის მაზრიდან, საიდანაც ვტყობილობთ, რომ სასოფლო სამეურნეო გადასახადის შეგროვება მაზრაში ძნელად მიმდინარეობს. სამწუხაროდ ასეთია მდგომარეობა არა მარტო ახალქალაქის, არამედ ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ მაზრებში.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოტანათ დადებულია სამი ვადა: 1 ნოემბერი, 1 იანვარი და 1 მარტი. არც ერთ რესპუბლიკას არ შეუსრულებია გადასახადის პირველ ვადისათვის დანიშნულ თანხის შეგროვება.

ასე, მაგალითად: 1 ნოემბრისათვის შემოტანილი უნდა ყოფილიყო მთელი გადასახადის 30 პროცენტი. შეიკრიბა კი ჩვენს რესპუბლიკაში 25 პროცენტი. ეს კიდევ დიდი ბოროტება არ იქნებოდა, რომ გადასახადის შემოტანას მოემატებია პირველ ნოემბრის შემდეგ და გაესწორებია, როგორც პირველი ვადის დანაკლისი, ისე შემდეგ თვეში (დეკემბერი) შემოსატანი თანხა გაენაღდებია. მაგრამ, როგორც ამას ადგილებიდან მიღებული ცნობები გვიჩვენებს, გადასახადის შემოსავალმა კიდევ უფრო იკლო. ამნაირათ, იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ შეიძლება მთელი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი თავის დროზე და სრულიათ ვერ იქნეს აკრეფილი. ჩვენ ვიცით რა უარყოფითი შედეგიც მოჰყვება ამას.

რით უნდა ავხსნათ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის ასეთი შეფერხება? ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ეს გამოწვეულია სოფლის მოსახლეობის გულგრილობით სახელმწიფოს ინტერესებისადმი, რა თქმა უნდა, ყოვლად დაუშვებელია. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი სოფლად წელს გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე ეს ოდესმე იყო. ამის დამამტკიცებელი საბუთი ერთი და ორი არ მოგვეპოება ჩვენ.

მიზეზი აქ სხვა რამეში უნდა ვეძებოთ. პირველყოვლისა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის შეფერხება გამოწვეულია ჩვენი საფინანსო აპარატის სისუსტით. თავიდანვე ისეთი შეხედულება არსებობდა, რომ გადასახადი ადვილათ შეიკრიბებოდა, რადგან წელს ამისათვის ბევრათ უკეთესი პირობებია, ვიდრე გასულ წლებში იყო. ამიტომ გადასახადის ამკრეფი ორგანოები მაინცა და მაინც არ იწუხებდენ თავს გადამწყვეტ ღონისძიებების მისაღებათ კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის. გარდა ამისა სოფლის მოსახლეობის ერთი ნაწილი იმით გათამამებული, რომ ზოგიერთებს მთავრობამ აპატია ძველი გადასახადი, ფიქრობს ხელისუფლება მომავალშიაც ასე მოექცევა დავალიანებულ გადამხდელებს და თავს არ იტკივებს ხვედრი ფულის თავის დროზე შემოტანისათვის.

ნაწილობრივათ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოუტანლობა გამოწვეულია ამა თუ იმ სახის სტიქიურ უბედურებით, რომელმაც დააზარალა ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი კუთხეები. ასეთია სეტყვა, ჭვალვა, ნიაღვარი, ეპიზოოტია და სხვა. მაგრამ, უნდა ითქვას, ასეთები არც ისე ბევრია, რომ ამას მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა გადასახადის აკრეფის საქმეზე.

ამრიგათ, ცხადია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის შემაფერხებელი მიზეზები ისეთი სერიოზული არაა, რომ მათი დაძლევა ადვილათ არ შეიძლებოდეს. აქ საჭიროა ჩვენი საგადასახადო აპარატის ამოძრავება. საჭიროა უფრო გადამწყვეტ ზომების მიღება იმათ წინააღმდეგ, ვინც აშკარა ბოროტი განზრახვით აგვიანებს გადასახადის შემოტანას ან გაურბის მას.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოუტანლობას დეზორგანიზაცია და არევ-დარევა შეაქვს არა მარტო სახელმწიფოს ბიუჯეტში, არამედ ის სცემს ძირითად ორგანოების მუშაობასაც, რადგან, როგორც ვიცით, გადასახადის ერთი მეოთხედი სოფელშივე რჩება ადგილობრივ აღმასრულებლობის საწარმოებლათ.

ჩვენ, რასაკვირველია, ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ადმინისტრატიულ ორგანოებმა რაიმე თვითნებობა ან გადაჭარბებული ზეგავლენა იხმარონ გადასახადის არშემომტან მოქალაქეზე. საბჭოთა აპარატი უკვე საკმაოთ ჩამოყალიბებულია, რომ შევძლოთ ამ მოვლენასთან მიზანშეწონილ ფარგლებში ბრძოლა. რევოლიუციონური კანონიერება აქ მტკიცედ და ურყევათ უნდა იქნას გატარებული.

გადასახადის არშემომტანთა წინააღმდეგ საჭიროა მიღებულ იქნას ზომები სასამართლოს წესით. მართალია ეს გამოიწვევს მუშაობით ისედაც დატვირთულ სასამართლო ორგანოების კიდევ უფრო მეტ დატვირთვას, მაგრამ აქ უნდა გამოიძებნოს რაიმე საშუალება, რომ საგადასახადო საქმეები დაჩქარებით და გამარტივებული წესით ირჩეოდეს.

გარდა ამისა, საჭიროა გამართოს სოფლებში სასამართლოს საჩვენებელი სხდომები, სადაც გარჩეულ იქნება იმათი საქმეები, ვინც ბოროტი განზრახვით გაურბის გადასახადის შემოტანას. ამასთან ერთად ჩვენმა ადგილობრივმა პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ ბოლო მოუღონ მოსახლეობის თვალში გადასახადის მნიშვნელობის დაკნინებას, როგორც ამას ზოგიერთ შემთხვევებში აქვს ადგილი.

საჭიროა ყველამ შეიგნოს ერთხელ და სამუდამოთ, რომ გაწერილი გადასახადის შემოტანა აუცილებელი და სავალდებულოა, რომ ამ შემთხვევაში იმაზე მეტი შეღავათების დაშვება შეუძლებელია, რაც უკვე დაუშვა ხელისუფლებამ.

საგადასახადო დისციპლინის განმტკიცება სოფლად მუშაობის ერთ-ერთ სადღეისო ამოცანას წარმოადგენს რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ბიუჯეტის განმტკიცებასთან.

პარტიული ყრილობა გაიხსნება 18 დეკემბერს

მოსკოვი, 16 დეკ. მე-14 პარტყრილობა გაიხსნება 18 დეკემბერს.

15 დეკემბრისათვის პარტყრილობაზე ჩამოვიდა 900 დელეგატამდე მოვიდნენ აგრეთვე უპარტიოთა დელეგატები, რომლებიც გამოვლენ ყრილობაზე მილოცვებით სხვადასხვა რაიონების ფაბრიკა-ქარხნების მუშათა სახელით.

უკანასკნელი ცნობები

მოსულის საკითხი

პარიზი, 15 დეკემბერი. ირწმუნებიან, რომ პოლ ბონკური ჟენევაში და ბრიანი პარიზში ურჩევენ ოსმალეთს შეამციროს თავისი მოთხოვნილება. მეორე მხრივ ირწმუნებიან, რომ ერთა ლიგა თავისი ავტორიტეტის დასაცავად საშუალებას მისცემს ორივე მხარეს განაგრძონ მშვიდობიანი მოლაპარაკება

კომუნისტების დევნა

ნიუ-იორკი, 15 დეკემბერი. უორკერს პარტიის წევრი გორაჩეკი დამნაშავეთ იქნა ცნობილი პანსილვანიის შტატში კომუნისტური მოღვაწეობისათვის. თუ უმაღლესმა სასამართლომ არ გააუქმა ეს ბრალდება გორაჩეკს 10 წლის ციხეს მიუსჯიან.

საბჭოთა თეატრი ამერიკაში

ნიუ-იორკი, 15 დეკემბერი. მოსკოვის სამხატვრო თეატრის მუსიკალურმა სტუდიამ გამართა პირველი წარმოდგენა, დაიდგა „ლიზისტრატა".

„მეფის ვაჟკაცები"

პარიზი, 15 დეკ. „ვაჟკაცები" (მონარქისტულ ორგანიზაციის „აქსიონ ფრანსეს" წევრები) პარიზში თავს დაესხნენ ფაშისტებს და დაუშინეს ყუმბარები.

იაპონიის ჯარები მანჯურიაში

ტოკიო, 15 დეკ. იაპონიის სამხედრო სამინისტრო იტყობინება, რომ ჩინეთში შექმნილი მდგომარეობის გამო, ის გაადიდებს მანჯურიაში მყოფ გარნიზონს კიდევ 2500 კაცით.

გერმანია სესხს დაეძებს

ლონდონი, 15 დეკ. გაზეთ „დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური კორესპონდენტი იტყობინება, რომ სარეპარაციო კომისიის გენერალური მდივანი პარკერი და ინგლისის ბანკის მმართველი ნორმანი მიემგზავრებიან ამერიკაში გერმანიისათვის სესხის საშოვნელად. კორესპონდენტის აზრით, დ-უესის გეგმის შესრულების გამო შესაძლებელია, რომ გერმანიამ მიიღოს სესხი.

ჩვენი შესყიდვა გერმანიაში

ბერლინი, 15 დეკ. საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობამ გერმანიაში ოქტომბრის თვის განმავლობაში (1925 წ.) შეისყიდა 22 მილიონი მანეთის ღირებული საქონელი. პირველ რიგში შესყიდულია ტეხნიკური ნაწარმოებები, შემდეგ—სასოფლო სამეურნეო ნივთები და მექანიკური იარაღები.

მოსულის საკითხის გარშემო

ბრიუსელის ხაზი

ლონდონი, 15 დეკემბ. „დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური კორესპონდენტი [illegible] მხედრო წრეებში ფიქრობენ, რომ საჭიროა დაუყოვნებლივი ოკუპაცია „ბრიუსელის ხაზის" სამხრეთით მდებარე ტერიტორიისა რომლებიც ითვლება ოსმალეთ-ირაკის სანაპირო ბაზებათ და დაწესებულია ერთა ლიგის საბჭოს სესიის მიერ ბრიუსელში.

მეორეს მხრით ჟენევაში მყოფ ოსმალეთის საგარეო საქმეთა კომისარის რუშდი-ბეისაგან მიღებულ ცნობების ზეგავლენით, ოსმალეთის დიპლომატები მიუთითებენ იმ სერიოზულ შედეგებზე, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ოსმალეთის სამხედრო გამოსვლას.

ამის გამო ოსმალეთის საგარეო საქმეთა კომისარიატი ცდილობს გადადებულ იქნეს მიმდინარე წლის მარტამდე რაიმე გადაწყვეტილების მიღება ერთა ლიგის მიერ მოსულის საკითხზე.

„დეილი ტელეგრაფი" მოწინავე წერილში იმედს გამოსთქვამს, რომ ერთა ლიგის საბჭო ოსმალეთ-ირაკის საზღვრების საკითხს მახლობელ სესიაზე გადასწყვეტს.

ისმეთ-ფაშას განცხადება.

ანგორა, 15 დეკ. მეჯლისში სიტყვა წარმოსთქვა კომისართა საბჭოს თავჯდომარემ ისმეტ ფაშამ. მან უარყო ცნობები იმის შესახებ, თითქოს ოსმალეთის შეურიგებელი პოზიცია ხელს უშლიდეს ინგლისთან შეთანხმებას მიუხედავად იმისა, რომ ერთა ლიგა სცდილობს შეარიგოს ორივე მხარე.

ისმეტ-ფაშას სიტყვით, ოსმალეთის მთავრობას დღემდის არ მიუღია ცნობა მოდავე მხარეების შესარიგებლად რაიმე სერიოზულ ნაბიჯების გადადგმის შესახებ. ჟენევის [illegible] თანახმად ოსმალეთის მთავრობას არ მიუღია რაიმე სერიოზული წინადადება, რომელიც გულისხმობდეს შეთანხმების მიღწევას მოსულის საკითხში.

„ლოკარნო—საპნის ბუშტია".

ანგორა, 15 დეკემბ. ოსმალეთის მთავრობის ოფიციოზი „ხაკიმიეტ მილიიე" შესაძლებლად სთვლის შეთანხმების მიღწევას მოსულის საკითხში ურთიერთ შორის დათმობის საფუძველზე.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ევროპიის (სხვათა შორის საფრანგეთის) პრესა ემუქრება ოსმალეთს იმ სახელმწიფოების კავშირით, რომლებმაც ხელი მოაწერეს ლოკარნოს ხელშეკრულებას და აცხადებს:

„ლოკარნო, როგორც ამას ყოველდღიური ამბები გვიმტკიცებს, საპნის ბუშტზე უფრო მეტი არ აღმოჩნდა.

ერთა ლიგა, [illegible]

პარიზი, 16 დეკემბ. ჟენევაში ფიქრობენ, რომ ერთა ლიგა ახლო მომავალში მიიღებს გადაწყვეტილებას მოსულის საკითხზე.

როგორც ჩანს ლონდონიდან მოელიან ცნობას იმის შესახებ, რომ ინგლისი თანახმაა გაგრძელებული იქნეს მანდატი ირაკზე 25 წლით. ფიქრობენ, რომ ერთა ლიგის საბჭო საბოლოოთ გადასწყვეტს, რათა მოსულის ვილაიეტი გადაეცეს ირაკს იმ შემთხვევაში, თუ ინგლისის მანდატის ვადა გაგრძელებული იქნება და დაიდება ეკონომიური ხელშეკრულება ოსმალეთსა და ინგლისს შორის.

მდგომარეობა ჩინეთში

ჟეხოლის სახალხო არმია

პეკინი, 15 დეკემბ. ჩან ძო-ლინის ყოფილი არმიის ნაწილებმა, რომლებიც დაბანაკებული არიან პეკინის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ჟეხოლის ოლქში, გამოსთქვეს სურვილი იმსახურონ ფინ-იუი-სიანის ხელმძღვანელობის ქვეშ და მიიღო ჟეხოლის-სახალხო არმიის სახელწოდება.

ჩჟან-ძო-ლინი უკან იხევს

ტოკიო, 15 დეკემბ. „კოკუსაის" სააგენტო იუწყება: „მუკდენიდან მიღებულ სარწმუნო ცნობებით, ჩჟან-ძო-ლინის ჯარები იხევენ მუკდენიდან და სცარცვავენ მოსახლეობას.

უცხოელებს შორის დიდი შიშიანობაა. თუ მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, ფიქრობენ, რომ იაპონიის მთავრობა დამხმარე ძალებს გაუგზავნის იაპონიის გარნიზონს სამხრეთ მანჯურიაში.

იაპონია ნეიტრალიტეტს იცავს

ტოკიო, 15 დეკ. მთავრობის პარტიის კენსეკაის ლიდერთა თათბირმა მოიწონა ჩინეთის ამბებში ნეიტრალიტეტის დაცვის პოლიტიკა, რომელსაც მთავრობა ახორციელებს. თათბირი მივიდა იმ დასკვნამდე რომ ხმები მანჯურიის ბოლშევიზაციის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ „ქუჩური ხმებია" და რომ ცნობა საბჭოთა კავშირის მიერ გო-სუნ-ლინისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ უსაფუძვლოა.

მრჩევლები

პეკინი, 15 დეკ. ჩილის პროვინციის გუბერნატორმა ლი-ჩინ-ლინმა განაცხადა, რომ ის სარგებლობს ინგლისის, ამერიკის და იაპონიის მრჩეველთა დახმარებით.

მეორე სახალხო არმიის ჯარები გადავიდენ შეტევაზე, ისევ დაიჭირეს მაჩანი, ტიან-ცზინის ჩრდილოეთით და ცინ-ხაი-შენი, რომელიც მდებარეობს 50 კილომეტრის მანძილზე ტიან-ცზინიდან (სამხრეთით).

მუკდენის ბედი

პეკინი, 15 დეკ. მიუხედავათ იმისა, რომ გო სუნ-ლინის ჯარები მუკდენისაკენ მიიწევენ, დადის ხმები, რომ დაიწყო მოლაპარაკება სამხედრო მოქმედების შეწყვეტისა და გო-სუნლინისათვის მუკდენის უომრად გადაცემის შესახებ.

პოლონეთი გაკოტრების წინ

კომუნისტები ამხილებენ ბურჟუაზიულ მთავრობას

ვარშავა, 15 დეკ. ფინანსთა მინისტრმა ზდეხოვსკიმ წარადგინა სეიმში მთავრობის პროგრამა, რომლის გარშემო გაიმართა კამათი. კომუნისტმა დეპუტატმა სკრიპამ განაცხადა, რომ პოლონეთში ამჟამათ შექმნილი ეკონომიური და ფინანსიური კრიზისი წარმოადგენს 7 წ. განმავლობაში ბურჟუაზიის მართვა-გამგეობის შედეგს. კრიზისის შექმნაში განსაკუთრებით დამნაშავეა პოლონეთის სოციალისტური პარტია, რომელიც გრაბსკის მთავრობას უწოდებდა „ციდან მოვლენილ მთავრობას".

მისი დამარცხების შემდეგ შესდგა ახალი მთავრობა, რომელშიაც შედიან მშრომელი ხალხის მტრები და გამცემლები. დღეს, როდესაც მემარჯვენეები მოითხოვენ მიწის რეფორმის, შრომის და საზოგადოებრივ სამუშაოების სამინისტროების გაუქმებას, პოლონეთის სოციალისტური პარტია დაემორჩილა ბურჟუაზიის გავლენას და სცდილობს იხსნას იგი გაჭირვებისაგან. მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობაში ზოგიერთი პირები შესცვალონ, სისტემა მაინც ძველი დარჩა. სწორედ ის ვაჟბატონები, რომლებითაც თვალს უხვევენ მშრომელებს ლამაზი ფრაზებით პატრიოტიზმზე და სამშობლოს სიყვარულზე, მზად არიან სწორედ ეს სამშობლო ხელში ჩაუგდონ ბანკირებს, ოღონდ დროებით მაინც შეინარჩუნონ ძალაუფლება. პოლონეთის გაყიდვა მძიმე ტვირთად დააწვება მშრომელ მასებს. პოლონეთის კაპიტალისტების მიერ მათ ყვლეფს ზედ დაერთვის ყვლეფა საზღვარ-გარეთელ კაპიტალისტების მხრივ.

პოლონეთი, რომ ეურდნობოდეს საბჭოთა კავშირს, მას ექნებოდა პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიურ განვითარების სრულ გარანტია. სწორედ ის ბურჟუაზია, რომელიც ათასგვარ ცილს სწამებდა მუშათა რევოლიუციას რუსეთში, დღეს ქედმოხრილი სცდილობს იმავე რუსეთის პროლეტარიატთან ეკონომიურ ურთიერთობის დამყარებას. იმ დროს, როდესაც წარმოება პოლონეთში შეუჩერებლად ეცემა, მუშათა და გლეხთა სახელმწიფოში წარმოება ჩქარი ნაბიჯით ვითარდება. მშრომელთა ფართო მასები თანდათან ხედავენ განსხვავებას ბურჟუაზიულ სტაბილიზაციისა და ნამდვილ სოციალისტურ სტაბილიზაციის შორის.

ბოლოს სკრიპამ შეიტანა წინადადება უნდობლობა გამოეცხადოს კოალიციას და უარყოფილი იქნას სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.

50.000 მასწავლებლის დათხოვნა

ვარშავა, 15 დეკემბერი. განათლების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის შემცირების გამო, გადაწყვეტილია 50.000 მასწავლებლის დათხოვნა.

ლოკარნოს ხელშეკრულების ბედი

პარიზი, 15 დეკ. ერთა ლიგაში მოხდა ლოკარნოს ხელშეკრულების რეგისტრაციის ცერემონია. ჩემბერლენმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ხოტბა შეასხა შეთანხმებას, რომლის საშუალებით „ბოლო მოეღო ყოველგვარ გაუგებრობას". საფრანგეთის დელეგატმა პოლ ბონკურმა წაიკითხა ბრიანის პაციფისტური დეპეშა.

ამ ცერემონიის გამო კომუნისტური გაზეთის „იუმანიტეს" ჟენევის კორესპონდენტი იხსენებს „ურთიერთ დახმარე" პროექტის ბედს; ეს პროექტი შედგენილი იყო დეუვენელის და ლორდ სესილის მიერ. პროექტი ისეთივე შინაარსის იყო, როგორიც მაკდონალდის და ერიოს ჟენევის ოქმი. როგორც ერთი, ისე მეორე შეთანხმებაც არავინ დაამტკიცა, რითაც ერთა ლიგამ ყველას დაანახვა თავისი სრული სიკოტრე მშვიდობიანობის დამყარების საქმეში.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ერთა ლიგა გახდებოდა სახელმწიფო სახელმწიფოში თუ დამტკიცდებოდა ჟენევის შეთანხმება. ხოლო ეხლა, მას შემდეგ რაც ერთა ლიგის გარეშე ხელი მოაწერეს ლოკარნოს შეთანხმებას—ერთა ლიგა ხდება სახელმწიფოების „უბედურ ნათესავად".

რევოლიუციონური მოძრაობა ინდონეზიაში

ბერლინი, 15 დეკ. ინდოელების [illegible] დროს დაშინებული არიან იმ გარემოებით, რომ „ისლამის კავშირი"-ს მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. ეს კავშირი აწარმოებს რევოლიუციონურ ელემენტებთან და კომპარტიასთან დაახლოვების პოლიტიკას.

გაზეთი „ბატანიის უწყებები" სწერს: „იმის მაგივრათ, რომ „ისლამის კავშირმა" იმუშაოს სარწმუნოებრივი ელემენტების შესაკავში- [illegible] ციონურ მუშაობას. ის სულ უფრო და უფრო უახლოვდება კომუნისტებს, რომელთა მუშაობა ფართე ხასიათს ღებულობს.

„ინდოეთის სავაჭრო საერთო გაზეთი" აღნიშნავს, რომ კომუნისტური პარტია ფართე აგიტაციას და მუშაობას ეწევა.

გერმანიის მრეწველობის კონცენტრაცია

ბერლინი, 15 დეკ. ამ ბოლო ხანებში გერმანიის მთელ რიგ წარმოებებში ხდება კონცენტრაცია, რასაც მიზნად აქვს დასახული საწარმოო პროგრამის დანაწილება.

ამ დღეებში გაერთიანდენ წისქვილების საალმშენებლო და მომწყობი წარმოებანი. ებერფელდის საფეიქრო წარმოებათა გაერთიანება მოლაპარიკებას აწარმოებს ლეიპციგის ქსოვილ ნაწარმოებათა ტრესტებთან გაერთიანების შესახებ.

1926 წ. პირველ იანვრისათვის მოხდება ორი დიდი საჰაერო საზოგადოების—ჰაერო-ლლოიდის და იუნკერსის შეერთება.

ხდება აგრეთვე მანქანათა წარმოებების გაერთიანება.

სპარსეთის დამფუძნებელი კრების დახურვა

თეირანი, 15 დეკემბ. 13 დეკემბერს დაიხურა სპარსეთის დამფუძნებელი კრება.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

პოლიტიკურ სამმართველოთა უფროსების თათბირი

მოსკოვი, 16 დეკემბ. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის პოლიტიკური სამმართველო 1926 წლ. 4 იანვარს იწვევს სამხედრო ოლქების და წითელი ფლოტის პოლიტიკურ სამმართველოთა უფროსების თათბირს.

მეორე საგლეხო სესხის ტირაჟი

მოსკოვი, 16 დეკემბ. დაიწყო მეორე საგლეხო სესხის მოგებათა პირველი ტირაჟი.

გათამაშებულ იქნება 16.405 ბილეთი, რომლებიც იგებენ 625,000 მანეთს.

ფინანსთა სახ. კომისარმა სოკოლნიკოვმა გააკეთა მოხსენება, რომელშიაც აღნიშნა, რომ ყოველმა შეგნებულმა მოქალაქემ, რომელსაც სურს აქტიური მონაწილეობის მიღება საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობაში, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს აგრეთვე სახელმწიფო კრედიტის განვითარების საქმეში. სახელმწიფო კრედიტი, თავს უყრის რა მოსახლეობაში გაფანტულ მრავალმილიონიან თავისუფალ თანხებს, გამოიყენებს მათ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების მიზანშეწონილ განვითარებისათვის.

ეს არის დიდი ამოცანა, მაგრამ მთავარი—მოსახლეობის ფართე მასების ნდობა სახელმწიფო სესხებისადმი უკვე მიღწეულია.

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის.

მოსკოვი, 16 დეკემბ. პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ მიმართა ყველა მის მომხრე ორგანიზაციებს წერილით, რომელშიაც წინადადებას აძლევს მათ მხარი დაუჭირონ კომინტერნის საპროპაგანდო კამპანიას პროფკავშირებში ახალგაზრდობის ჩაბმის და პროფმოძრაობის მთლიანობის სასარგებლოდ.

ტრაქტორების ქარხანა

მოსკოვი, 16 დეკემბ. საბჭოთა კავშირის საშინაო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა მხარი დაუჭიროს სტალინგრადის სახ. მეურნეობის საბჭოს შუამდგომლობას სტალინგრადში ტრაქტორის დამამზადებელ ქარხნის აგების შესახებ. ქარხანამ წელიწადში უნდა დაამზადოს 10.000 ტრაქტორი.

საბინაო აღმშენებლობა

მოსკოვი, 16 დეკემბ. ცენტრალური კომუნალური ბანკის თავმჯდომარის მოადგილე ბუნდერლიხმა დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ საკავშირო მთავრობამ გაიღო სახლების ასაშენებლად 1926 წელს 100 მილიონი მანეთი. თანხებს გასცემს ცენტრალური კომუნალური ბანკი სამეურნეო ორგანოების, აღმასკომების და მუშათა საალმშენებლო კოოპერაციის საშუალებით.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რეფორმისათვის

მოსკოვი, 6 დეკ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რეფორმის ჩამ- [illegible] და ლიფშიცის მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 28 დელეგატმა ადგილებიდან.

საბოლოო სიტყვაში პოლიუდოვმა აღნიშნა, რომ საგლეხო მეურნეობის შემოსავლიანობის აღრიცხვის დროს ზედმეტათ არ უნდა დაიბეგროს საშუალო შეძლების გლეხი.

მსხვილ მეურნეობაზე ისე უნდა იქნას დაბეგრილი, რომ გადასახადს არ ექნეს კონტრიბუციის ხასიათი და ამით არ შეფერხდეს საწარმოვო [illegible]. სასოფლო-სამეურნეო გადასახადმა ხელი უნდა შეუწყოს ისეთ საწარმოო ძალთა განვითარებას, რომელიც პირველ რიგში სარგებლობას მოუტანს ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხებს, სოციალისტურ მრეწველობას და კოოპერაციას და არა „კულაკს" და „ნეპმანს".

თათბირმა მიიღო სათანადო რეზოლიუცია.

საუბნო ექიმთა ყრილობა

სანიტარული საქმე საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 16 დეკ. საუბნო ექიმთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე პროფ. სისინმა—საბჭოთა კავშირში სანიტარულ საქმის მდგომარეობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში განაცხადა: უკანასკნელ წლებში გადამდები ავადმყოფობანი საბჭოთა რუსეთში შესამჩნევად შემცირდენ, თუმცა ამ შემცირებას ჯერ არ მიუღწევია ომის წინეთ არსებულ დონემდის, მაგალითად ყვავილით ავადმყოფობის შემთხვევა წლის პირველ ნახევარში იყო 11,000 წარსულ წელს კი 19,000. მთელს კავშირში ამჟამათ მუშაობს 2,000 სანიტარული ექიმი.

რაც შეეხება სოფლის ჯანსაღების საკითხს, მომხსენებელი მიუთითებდა სოფლებისთვის წყალის მიწოდებაზე, ბინების გაუმჯობესებაზე და სოფლის საერთო სანიტარულ გაუმჯობესებაზე.

ყრილობის დახურვა

მოსკოვი, 16 დეკ. საუბნო ექიმთა ყრილობა დაიხურა 14 დეკემბერს, ყრილობას მოუვიდა მრავალი მილოცვა, მათ შორის რ. კ. პ. ცეკადან.

ყრილობას დაესწრო 1.031 დელეგატი, რომელთაგან 946 დელეგატი ადგილებიდან.

ყრილობამ საპატივსაცემო ზეიმი გაუმართა ჯანსაღ. სახ. კომისარს—ამხ. სემაშკოს, როგორც საბჭოთა მედიცინის საძირკვლის ჩამყრელს და მისი პრინციპების მედგარ დამცველს.

ყრილობა დამთავრდა „ინტერნაციონალის" სიმღერით.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

ახალქალაქი, 16 დეკემბ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა მაზრაში სუსტად მიმდინარეობს. ეს აიხსნება მით, რომ მაზრაში გავრცელებულია საქონლის ჭირი, რომელიც მოედო 34 სოფელს. ზოგიერთ მეურნეობებში სულ განადგურებულია საქონელი, რამაც დიდად შეამცირა გადახდის აკრეფა სოფლად. გარდა ამისა, საქონლის ჭირის გავრცელების გამო გლეხებს უძნელდებათ საქონლის გაყიდვა გადასახადის შესატანათ. გლეხობის ერთ ნაწილს იმედი აქვს, რომ გაანთავისუფლებენ გადასახადისაგან და არ შეაქვთ მანამდე, სანამ არ იქნება განკარგულება გადამხდელ პტიებას შესახებ. ასეთი გადამხდელების წინააღმდეგ მიღებულია ენერგიული ზომები.

ბორჯომ-ახალქალაქის ავტომიმოსვლა

ახალქალაქი, 16 დეკემბ. ა/კ. საავტომობილო საზოგადოებამ ბორჯომსა და ახალქალაქ შორის მოაწყო მუდმივი ავტომიმოსვლა კვირაში ორჯერ.

ნიგვზის ხის ექსპორტი

ოზურგეთი, 16 დეკემბ. 19 სექტემბრიდან 12 დეკემბრამდე გურიიდან ბათომში გატანილია რკინისგზის 60.000 ფ. ნიგვზის ხე საზღვარგარეთისა და საბჭოთა ბაზრების მოთხოვნილებისთვის. ამას გარდა სადგურ საჯევახოში მოტანილია 30.000 ფუთი და ამდენივე სადგურ ოზურგეთში, სუფსაში, ლანჩხუთში, ჯუმათში და ნატანებში.

ნიგვზის ხეების მრავლად მოტანა [illegible] სასტიკი ყინვებისაგან თითქმის სულ ერთიან დაიღუპენ ეს ხეები.

ნიგვზის ხეს უმთავრესად საჭიროებენ საავიაციო ქარხნები.

მასწავლებელთა იუბილე

ოზურგეთი, 16 დეკემბ. 12 დეკემბერს ადგილობრივ თეატრში გადახდილ იქნა იუბილე გიგო შარაშიძისა და მის მეუღლე ნინოს 45 წლის სასკოლო მოღვაწეობის აღსანიშნავად.

სოფლის საბჭოთა არჩევნები

ოზურგეთი, 16 დეკემბ. გურიის 9 თემში შესდგა გლეხობის კრება საარჩევნო კომისიების ასარჩევად. კრებებში მიიღო მონაწილეობა მოსახლეობის 80 პროცენტმა. არჩევნები დამთავრდება მომავალ კვირას.

ფულების მითვისება

ლიუქსემბურგი, 16 დეკ. მუშათა კლუბში შემდგარ სახალხო სასამართლოში ირჩეოდა საქმე ჯანმრთელობის ინსპექციის ყოფ. საქმის მწარმოებელის ხმელნიცკის, რომელმაც გასულ ზაფხულში მიითვისა 100 მანეთი და გაპარვა დააპირა. სასამართლომ მიუსაჯა მას 1-ნახ. წლის ციხე და 2 წლით მოუსპო უფლება სახელმწიფო სამსახურისა.

კოოპერატიულ ორგანოების გადარჩევა

ცაგერი, 16 დეკ. 6 დეკემბერს ლეჩხუმის მაზრაში დაიწყო ერთიან მომხ. საზ. არჩევნები. გლეხობა დიდი ინტერესით მოეპყრო არჩევნებს და მხურვალე მონაწილეობას იღებდა კრებებზე. 10 დეკემბერს რწმუნებულთა სამაზრო ყრილობაზე გამგეობის მოქმედება დამაკმაყოფილებლად სცნო სარევიზიო კომისიამ. ახალ გამგეობაში არჩეულია 11 წევრი. სარევიზიოში—5, სრულიად საქ. ყრილობაზე—1. ყრილობას დაესწრო ცეკავშირის ინსტრუქტორი.

საქონლის ჭირი

ახალქალაქი, 16 დეკემბ. ჭირი ვრცელდება რქიან საქონელზედ. მრავალი გლეხები მიმართავენ აღმასკომს და ჭირის წინააღმდეგ მებრძოლ სამაზრო კომისიას. ჭირის გავრცელების გამო ხერთვის რაიონში დაწესებულია კარანტინი. მთელს მაზრაში აკრძალულია [illegible] რის ერთი სოფლიდან მეორეში გადარეკა და აგრეთვე მეზობელ სოფლის მინდვრებზე ძოვება. [illegible] პერსონალს უხდება შეუსვენარი მუშაობა მეტად მძიმე პირობებში. ჭირმა უკვე გასწყვიტა 1.000-მდე საქონელი.

გლეხთა სახლი

ოზურგეთი, 16 დეკემბ. სამაზრო გლეხკომმა საგლეხო სახლის ასაგებ ფონდში 15 დეკემბრამდე სხვადასხვა კომისარიატებიდან შემოვიდა 2.000 მან. და მოელიან კიდევ—6.000 მან. სამაზრო გლეხკომში იხილავენ საკითხს ააშენონ ახალი სახლი თუ იყიდონ კერძო პირისაგან.

მანუფაქტურა

ოზურგეთი, 16 დეკ. ოზურგეთის სამაზრო გლეხკომმა შეიძინა თბილისში ერთი ვაგონი ნარმა. ნარმა განაწილებულ იქნება გურიის 42 თემს შორის და მიეცემათ გლეხებს თვითღირებულების ფასში გადასაზიდ ხარჯების მიმატებით. არშინი ნარმა დაახლოებით ეღირება 20—21 კაპეიკი.

ფოთის ნავთსადგურის ელექტროფიკაცია

ფოთი, 16 დეკემბ. ფოთის ნავთსადგურის ელექტროფიკაციის მიზნით ნავთსადგურის სამმართველო ქალაქის ელექტრისადგურში სდგამს 80 ცხ. ძალის მოტორს.

ტყის დამზადება

თელავი, 16 დეკემბ. ნაფარეულის და ზემო-ხოდაშენის სატყეო რაიონებში ტყის მასალის დამზადებაზე მუშაობს 500 მუშა. ამდენივე კაცი მუშაობს გავაზის და ყვარელის რაიონებში. პირველთა საბინაო პირობები საკმაოდ დამაკმაყოფილებელია, მეორენი კი ცუდ მდგომარეობაში არიან.

აზერბეიჯანი

ტელეგრაფის ხაზი წყალქვეშ

ბაქო, 16 დეკემბ. ბაქო—კრასნოვოდსკს შორის წყლის ქვეშა ტელეგრაფის ხაზის აღდგენის დროს განძრახულია შტოის გაყვანა არტემის სახელობის კუნძულზე, რომელიც მჭიდროთაა დასახლებული მუშებით.

ხაზის აღდგენის სამუშაოებისათვის გადადებულია 50.000 მანეთი.

რადიო-კვანძი

ბაქო, 16 დეკემბ. ბაქოში მძლავრი რადიო-სადგურის დადგმა ახლო მომავალში დამთავრდება.

ამ დღეებში საბჭოთა რუსეთიდან მოელიან დიდ გადამცემ სადგურს თავისი მოწყობილობით.

საალმშენებლო სეზონისათვის

ბაქო, 16 დეკემბ. საბინაო ამხანაგობათა კავშირი შუამდგომლობს სახ. კომისართა საბჭოს წინაშე გრძელვადიანი სესხის მიცემის შესახებ 80.000 მან. რაოდენობით მომავალ საალმშენებლო სეზონისათვის საჭირო მასალის დასამზადებლად.

ხორცის ბაზარი

ბაქო, 16 დეკემბ. ბაქოს ბაზარზე ნედლი ტყავეულობის გაძვირების გამო, დაიკლო საბითუმო ფასებმა ხორცზე. საბითუმო ფასების დაკლებამ არავითარი გავლენა არ მოახდინა საწვრილმანო ფასებზე.

საფრანგეთის მთავრობა და მენშევიკები

(ანუ. ა. ჩხენკელის კონფუზია)



საფრანგეთის პრეზიდენტის კარისკაცი ეუბნება მენშევიკურ „ელჩს", რომ იგი არაა პრეზიდენტის მიერ საახალწლოდ წვეული დიპლომატების სიაში! („ახალი საქართველო").

საბჭოთა სახელმწიფოებრივი მრეწველობის სოციალური შინაარსი

მხოლოდ პირველი შეხედვით შეიძლება უქმად გვეჩვენოს სათაურში დასმული საკითხი, მხოლოდ პირველი შეხედვით თითქო „ბავშვებისთვისაც კი თვალსაჩინოა" მისი პასუხი. შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ ეს საკითხი დღეს წარმოსდგა, შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ მას ეხებიან ჩვენი პარტიის ცეკას პოლიტბიუროს მიერ მოწონებულ და პარტიულ ყრილობაზე წარსადგენ თეზისებში. უეჭველია, რომ მეთოთხმეტე პარტყრილობამ ამ საკითხს გარკვეული ავტორიტეტული და კატეგორიული პასუხი უნდა გასცეს. ქვემოთ ჩვენ გავიგებთ, რატომ გამწვავდა განსაკუთრებით საკითხი ჩვენი სახელმწიფოებრივი მრეწველობის არსების შესახებ, რატომ მიიღო განსაკუთრებული სიმწვავე დღევანდელ მომენტში. ჯერ კი თვით პრობლემის დასმას მივმართოთ.

ჩვენ ჩვენს სახელმწიფოებრივ მრეწველობას ჩვენი ეკონომიკის გადამწყვეტ სოციალისტურ საფუძვლად, ჩვენი მეურნეობის უცილობელ სოციალისტურ ვსთვლით. ლენინის მიხედვით სახელმწიფოს წარმოებებს „მიმდევნობითი სოციალისტური ტიპის წარმოებებათ ვსთვლით". (предприятиями последовательно-социалистического типа) მაგრამ შეგვიძლია თუ არა ვსთქვათ, რომ თუ საბჭოთა სახელმწიფოებრივი მრეწველობა სოციალისტურია, ს. ს. რ. კავშირის მთელი ეკონომიკაც სოციალიზმი ყოფილა? თუ მარქსისტულად ვილაპარაკებთ, არა, არ შეგვიძლია. არ შეგვიძლია, იმიტომ რომ სოციალიზმი სოციალისტური სტეგმო პრინციპის გავრცელებას გულისხმობს მთელს სამეურნეო სისტემაზე საზოგადოთ, ჩვენ კი ამას ჯერ მეტად დაშორებულნი ვართ. სოციალისტურია ძირითადი სახელმწიფოებრივსამრეწველო უჯრედი ჩვენი ეკონომიკისა და არა თვით ეკონომიკა საერთოდ: სოციალისტური ტიპისა არიან ჩვენი სახელმწიფოებრივი წარმოებანი და არა ის მრავალრიცხოვანი სამეურნეო ელემენტები, რომელთა გვერდით ჩვენი მრეწველობა „ცხოვრობს", მოქმედობს და იბრძვის.

მაგრამ შეიძლება ჩვენი ძირითადი უჯრედის სოციალისტური ხასიათი „პირობით" უნდა ვსცნოთ და რაიმე პრინციპიული შეზღუდვა მივიღოთ? შეიძლება ჩვენს სახელმწიფოებრივ მრეწველობას განსაკუთრებული განმარტება სჭირია, შეიძლება ტერმინი „სოციალიზმი" მას არსებითად არც შეეფერება. აი აქ არის მთელი პრობლემის სიმწვავე, აი აქ გვესხმიან თავს ჩვენი მტრები თაღლითობისა, გაიძვერობისა და კლასიური სიძულვილის იარაღით აღჭურვილნი.

კომუნიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების შეურიგებელი მტრების, მრავალფერადი თეთრგვარდიელების, სხვადასხვა ბანაკების მოწინააღმდეგების პირიდან ვერასოდეს ვერ გაიგონებთ საბჭოთა სახელმწიფოებრივი მრეწველობის ცნობას. როცა მენშევიკები და ესერები, როცა ბატონნი უსტრიალოვები და მილიუკოვები, როცა „Социалистически Вестник"-ის ბელადები, მაგალითად შვარცი და იუგოვი, ამ ტერმინს, „სოციალისტურ სახელმწიფოებრივ მრეწველობას" ხმარობენ, აუცილებლად გამანადგურებელ ფრჩხილებში სვამენ. როცა ისინი ჩვენს სახელმწიფოებრივ მრეწველობაზე ლაპარაკობენ, იმათ არასოდეს არ ავიწყდებათ ნართაული სიტყვების გადაკვრა „დენაციონალიზაციაზე", „საქმის ხალხსა" და „სპეკულიანტებზე", რომელნიც თითქო ხშირად „ფაქტიურად" განაგებენ ჩვენ სახელმწიფოებრივ მრეწველობას; აღნიშნავენ აგრეთვე „კერძო ინიციატივის" და საბჭოთა პროლეტარიატის გადაცემას „ექსპლოატატორების" ხელში და სხ. საუკეთესო შემთხვევაში ჩვენს სახელმწიფოებრივ მრეწველობას „სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის" ტერმინით ნათლავენ, ამასთანავე ხმას ტკბილად ათრთოლებენ უკანასკნელი სიტყვის, კაპიტალიზმის, წარმოთქმის დროს.

ადვილი გასაგებია, რატომ სცდილობენ ჩვენი მოწინააღმდეგეები სწორედ ამ პუნქტში ჩაგვცენ, რატომ უარჰყოფენ ჩვენი სახელმწიფოებრივი წარმოების სოციალისტურ არსებას. იმათ მშვენიერად ესმით, რომ სახელმწიფოებრივი მრეწველობა უმთავრესი სოციალისტური „კოზირია" ჩვენს ხელში, სცდილობენ „ბურჟუაზიული გადახალისების ან გადაგვარების ფაქტი" დაგვიმტკიცონ და ეს იარაღი გამოგვაცალონ. ამრიგად მათ სურთ ეჭვი დასთესონ გამოუცდელ მუშებში, პანიკა გამოიწვიონ, ურწმუნოება დანერგონ, ლიკვიდატორობის ფსიქოლოგია შექმნან ჩვენს საბჭოთა ქვეყნის მმართველ პარტიაში.

რატომ სწორედ უკანასკნელ დროს მისცეს ჩვენმა მტრებმა ჩვენს საწინააღმდეგო იდეურ ბრძოლას ასეთი სტრატეგიული მიმართულება? იმიტომ რომ იყო დრო, როცა ბურჟუაზიის წარმომადგენლები უფრო ხელსაყრელათ სთვლიდენ სულ არ შეემჩნიათ ჩვენი სახელმწიფოებრივი მრეწველობა. ეს იმ დროს იყო, როცა ჩვენი სახელმწიფოებრივი მრეწველობა შედარებით მეტათ სუსტი იყო, როცა ჩვენ მხოლოდ თავს ვაღწევდით ნგრევის ჭაობს. მაშინ ბურჟუაზიისთვის უმნიშვნელო იყო საკითხი, სოციალისტურია თუ არა—სოციალისტური ჩვენი სახელმწიფოებრივი მრეწველობა, მაშინ მისთვის საკმაო იყო ხითხითი „საერთო ეკონომიური ნგრევის გამო". კადეტებისა და მენშევიკების სავალალოდ ნგრევის დრო წავიდა. მას შემდეგ რაც ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოებრივი მრეწველობა მჩლე და უსუსური ბავშვისაგან მხარბეჭიანი ფალავნათ იქცა, მას შემდეგ რაც ჩვენი ეკონომიკის ზრდის ფაქტი ურკვარტებმა და ჩემბერლენებმაც კი სცნეს, მხოლოდ დამთხვეულები და ხუცერინის მედროშეები ლმუიან „ნგრევის" შესახებ. საერთოდ ბურჟუაზია ამ საკითხში უიმედოთ დამარცხდა, მას პოზიციების გამოცვლა მოუხდა: ახლა იმედს „სოფლის კაპიტალიზმის განვითარებაზე, ამყარებს და სახელმწიფოებრივი მრეწველობის „სოციალური საფუძვლის" „ევოლიუციაზე".

თეთრგვარდიელ „მაძაგებლებს" შორის მეტად გავრცელებულია ჩვენი სახელმწიფოებრივი მრეწველობის ჩამორჩენილობის აღნიშვნა, მისი „სიღარიბის" დაპირისპირება კაპიტალისტური ქვეყნების „მდიდარ" მრეწველობასთან. რაღა თქვენი სოციალიზმი, თუ კი თქვენი მრეწველობა ასეთი ღარიბი და ჩამორჩენილია? ამას გაიძახიან ისინი, ვინც სიმდიდრისა და სიღარიბის საკითხს ჩვენი სახელმწიფოებრივი მრეწველობის სოციალური სტრუქტურის საკითხში ურევს. უცილობელია ის დებულება, რომ სოციალისტური აღმშენებლობის ტეხნიკურ პირობას, როგორც ეს მარქსმა დაგვანახვა, წარმოების ერთგვარი კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია წარმოადგენს. მაგრამ სრულიადაც მართალი არ არის, თითქო სიმდიდრე, საწარმოვო საშუალებათა რაოდენობა და თვისება რასმე გვეუბნებოდეს თვით ეკონომიური სისტემის სოციალურ ტიპზე. გადამწყვეტი ნიშანი მხოლოდ სოციალური სტრუქტურის ტიპია. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენი სახელმწიფოებრივი მრეწველობის ძირითად სოციალურკლასობრივ ურთიერთობას დავახასიათებთ, შეგვეძლება დასკვნები გავაკეთოთ მისი სოციალისტური ან „ბურჟუაზიული" ხასიათის შესახებ. საკითხს საბჭოთა სახელმწიფოებრივი მრეწველობის სოციალური ბუნების შესახებ სწყვეტს არა საწარმოვო საშუალებათა ჯამი, არამედ მათი მიკუთვნება განსაზღვრული კლასისადმი, რომელიც ფაქტიურად განაგებს მას. სანამ „აღმოჩენილი" და „დამტკიცებული" არ არის კაპიტალისტთა კლასის არსებობა, რომელიც მფლობელობის უფლების ნიადაგზე ჩვენ სახელმწიფოებრივ წარმოებას განაგებს, სანამ უარყოფილი არ იქნება, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრივ მრეწველობას სახელმწიფოებრივი ხელისუფლებით აღჭურვილი პროლეტარიატი ფლობს, ჩვენი მრეწველობის—კაპიტალიზმათ გამოცხადება მხოლოდ თეორეტიული და პოლიტიკური მატყუარობა იქნება.

ამ საკითხს საბჭოთა მრეწველობის სოციალური ურთიერთობის შესახებ, მოსდევს მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი, სახელდობრ სოციალისტური მრეწველობის ხვედრითი წონის შესახებ. ცხადია, რომ დიდი არ იქნებოდა იმ სახელმწიფოებრივი მრეწველობის ფასი, რომელიც პაწია სოციალისტურ ოაზისათ რაღაც უსტრიალოვის „ორანჟერეიათ" დარჩებოდა უსაზღვრო არასოციალისტურ უდაბნოში. აქედან ცხადია ჩვენი მრეწველობის ხვედრითი წონის საკითხის მნიშვნელობა. როგორღა უნდა გადასწყდეს ის?

მისი გადაწყვეტა არ შეიძლება წმინდა არითმეტიკული წესით, სახელმწიფოებრივ წარმოებაში ჩაბმული მუშების რიცხვის შედარებით გარეშე მოსახლეობასთან. საჭიროა რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ის ურთიერთობა, რომელიც სახელმწიფოებრივ მრეწველობასა და საბჭოთა ეკონომიკის დანარჩენ ელემენტებს შორის არსებობს; მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება, რომ სახელმწიფოებრივ მრეწველობის ხვედრითი წონაზე სწორი მსჯელობა ვიქონიოთ. ამ საკითხისთვის ერთი პასუხი გვექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოებრივი მრეწველობა, თუნდაც სოციალისტური, თუნდაც მეტად მნიშვნელოვანი თავისი წარმოების აბსოლიუტური და შედარებითი რაოდენობით, ეკონომიურად გადამწყვეტი, ხელმძღვანელი ელემენტი კი არ იქნებოდა მთელს სამეურნეო სისტემაში, არამედ ეკონომიურად დაქვემდებარებული ელემენტი: მაგალითად დამოკიდებული იქნებოდა კერძო კაპიტალზე და ამ უკანასკნელის დაგროვების წყაროთ და ფუნქციონალურ დამატებათ გადაიქცეოდა. პირიქით, სულ სხვა პასუხს გავცემთ, თუ, როგორც ეს სინამდვილეშიც არის, აღმოჩნდებოდა, რომ სოციალისტური სახელმწიფოებრივი მრეწველობა ბრძანებლობს კერძო მეურნეობის ელემენტებს, სჯობნის მათ, თავის პირობებს უკარნახებს.

მარქსისტული თვალსაზრისით სავალდებულოა, რომ საკითხი სახელმწიფოებრივი მრეწველობის ხვედრითი წონის შესახებ განვითარებაში, დინამიკაში განვიხილოთ. იზრდება თუ არა ის აბსოლიუტურათ და შედარებით, მტკიცდება თუ არა მისი როლი როგორც ბრძანებლისა, როგორც მთელი სისტემის ჰეგემონისა, ან ხომ არ მიძვრება ბრძანებელი პოზიციებზე კერძო კაპიტალი, ან ამ უკანასკნელის განვითარების ტემპი სახელმწიფოებრივი მრეწველობის ტემპს წინ ხომ არ უსწრებს? ჩვენს ქვეყანაში სოციალისტურ აღმშენებლობის პერსპექტივის განათებაში ყველა ეს საკითხები პირველ ხარისხოვან მნიშვნელობას იძენენ. და რამდენადაც საბჭოთა სახელმწიფოებრივი მრეწველობის დინამიკა მის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რამდენადაც კერძო კაპიტალთან შეჯიბრებისა და შეჯახების დროს ის, ობიექტიური დაბრკოლების მიუხედავად, საერთოდ იმარჯვებს, საერთოდ წინ მიიწევს, რამდენადაც ჩვენი მომავალი ისტორიული მოძრაობის აღვირი მაგრად გვიჭირავს ხელში და ჩვენი სოციალისტური პერსპექტივები ნათლდება, იმდენათ ნიადაგს ჰკარგავს სალიკვიდატორო სულიერი განწყობილება ჩვენი პარტიის რაზმებში, იმდენად უფრო უიმედო და უმწეო ხდება „კრიტიკული" ზარკვნელობა ბატონ შვარცებისა და იუგოვებისა და მოჩვენებასავით ჰქრება უსტრიალოვების იმედი „სმენოვეხური" კაპიტალისტური რესტავრაციისა.

ჩვენი სახელმწიფოებრივი მრეწველობის სახელის გასატეხათ მენშევიკები და ესერები ხშირად ამტკიცებენ, რომ იქ მუშების ექსპლოატაცია ხდება. ამ მოთქმა-გოდებას, საბჭოთა მუშების ექსპლოატაციის შესახებ, ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევენ. რაკი, მენშევიკების აზრით, საბჭოთა მუშებს ექსპლოატაციას უწევენ, რაკი მათი შრომა ზედმეტ ღირებულებას სტოვებს, რაკი შრომას საბჭოთა წარმოებაში დაქირავებული შრომის ფორმა აქვს, ეს სამი ნიშანი (დაქირავებული შრომა, ექსპლოატაცია, ზედმეტი ღირებულება) სრულიად საკმაოა, რომ ჩვენი მრეწველობა „კაპიტალიზმის" სახელით მონათლონ. ეს ფორმულა, „კაპიტალისტური ექსპლოატაცია საბჭოთა წარმოებაში" ყველაზე მძიმე იარაღად ითვლება მენშევიკური კრიტიკის არტილერიაში.

მაგრამ ძალიან ადვილია იმის დამტკიცება, რომ ექსპლოატაციის საკითხში მენშევიკები მხოლოდ მორიგ უსირცხვილო თაღლითობას სჩადიან.

თუ, კაპიტალისტური ეკონომიკის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, საბჭოთა მრეწველობის მუშებს მხოლოდ მათი „სამუშაო ძალის ღირებულებას" აძლევენ, თუ მაშასადამე აუნაზღაურებელი ზედმეტი სამუშაო დღე არსებობს, შეიძლება თუ არა აქედან დასკვნის გაკეთება, რომ ჩვენში ექსპლოატაცია არსებობს? ამ დასკვნის გაკეთება ყოვლად შეუძლებელია. ზედმეტი სამუშაო დრო იქნება სოციალისტურ საზოგადოებაშიც და კომუნისტურ საზოგადოებაშიც, მაგრამ მხოლოდ ყრუ-მუნჯ ეკონომისტს, მხოლოდ ლუი ბლანის მიმდევარს შეუძლია აქედან ის უგუნური დასკვნა გააკეთოს, რომ კომუნიზმის დროს „ექსპლოატაცია" არსებობსო. ჯერ კიდევ მარქსმა განმარტა მთელი უაზრობა „შრომის სრული ნაწარმოების უფლებისა". არავითარი კომუნიზმის დროს და, საზოგადოთ, არასოდეს მუშა თავის შრომის სრულ ნაწარმოებს არ მიიღებს, იმიტომ რომ ამ შრომის ნაწილი აუცილებლად მრეწველობის გაფართოებასა, სკოლების, საავადმყოფოების, ადმინისტრატიული აპარატის, სამეცნიერო დაწესებულებათა შენახვას უნდა მოხმარდეს. მაგრამ ეს სრულიადაც ექსპლოატაცია არ იქნება. ექსპლოატაცია ჰქვია მუშათა კლასის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულების ან მონებისა და გლეხების ზედმეტი შრომის გადასვლას სხვა, მტრული კლასის ხელში, რომელიც ძირითად საწარმოვო საშუალებებს ფლობს, და თვით წარმოებასაც მართავს. ხოლო, როცა თვით მუშათა კლასი, თავისი ხელისუფლების შემწეობით, თავისი შრომის ნაწილს წარმოების გასაფართოებლად ხმარობს, ან კიდევ სახელმწიფოს აპარატის შესანახად, ე. ი. თავისი საკუთარი დიქტატურის გასამტკიცებლად, იმ პროცესის ექსპლოატაციათ მიჩნევა, სწორეთ რომ დიდი ახირებულობაა. ჩვენი უბედურება იმაში როდია, რომ საბჭოთა მრეწველობა თითქო ექსპლოატატორული იყოს (ეს ყოველივე მენშევიკური ტყუილებია) არამედ იმაში, რომ ჩვენი სოციალისტური მრეწველობის დონე მეტად დაბალია, მუშას ბევრი არაფერი აქვს მისაღები, რომ ადამიანურად იცხოვროს. აი რაშია საქმე. და როცა ჩვენს საკუთარ სოციალისტურ სახელმწიფოებრივ მრეწველობას განვითარების ახალ საფეხურზე ავიტანთ, მაშინ ეს უბედურებაც მოისპობა. ამრიგათ ექსპლოატაცია სრულიად გარკვეული ეკონომიური კატეგორიაა, მას სრულიად გარკვეული სოციალურ კლასობრივი აზრი უნდა შევიტანოთ. ექსპლოატაცია წარმოუდგენელია მისი გარკვეული კლასობრივი სუბიექტის გარეშე. რა კი ჩვენს სახელმწიფოებრივ მრეწველობაში ექსპლოატატორების კლასი არ არსებობს, რაკი ის კაპიტალისტების ხელში არ არის, ცხადია რომ აქ არც ექსპლოატაცია საზოგადოთ, არც კაპიტალისტური ექსპლოატაცია კერძოთ. ხოლო იმის თქმა, რომ ხელისუფლებით აღჭურვილი პროლეტარიატი სახელმწიფო წარმოებაში თავის თავს უკეთებს ექსპლოატაციასო, რასაკვირველია სრული უაზრობაა.

ამ მარცხის შემდეგ, რომელიც ჩვენს მტრებს ექსპლოატაციის საკითხში მოუვიდათ, მათ მხოლოდ ერთი რამ ღა დარჩენიათ: ისინი ჩვენი ეკონომიური კატეგორიების ფორმალურ გარსს ებღაუჭებიან. რაკი სახელმწიფოს წარმოებაში შექმნილი ზედმეტი პროდუქტი ფასობრივ ფორმას ღებულობს და ბაზარში ნაღდდება, მაშასადამე ზედმეტი ღირებულებაც ყოფილა; უკაპიტალიზმოთ კი რა ზედმეტი ღირებულებაა შესაძლებელი? ასე იქცევიან თავს მენშევიკები. მათთვის, რასაკვირველია, გაუგებარია (ან უკეთ ვსთქვათ ისინი თვალთმაქცობენ თითქო გაუგებარი იყოს), რომ ნეპი ე. ი. კაპიტალიზმიდან სოციალიზმისკენ გარდამავალი პერიოდის თავისებურება სწორეთ იმაშია, რომ ეკონომიური კატეგორიები ჯერ კიდევ კაპიტალისტურ ნიღაბებს ინარჩუნებენ. ჩვენი კატეგორიების (ზედმეტი ღირებულება, მოგება) კაპიტალისტური ფორმამ, მათ სრულიად ხელს არ უშლის, რომ პრინციპიულად ანტიკაპიტალისტური შინაარსი იქონიონ. „ზედმეტი ღირებულების" ზრდა, მოგების გადიდება, კაპიტალის დაგროვება ჩვენს სახელმწიფოებრივ წარმოებაში, კაპიტალისტური გარეგნობის მიუხედავათ, სწორეთ სოციალისტური დაგროვება, სწორეთ სოციალიზმის ზრდა, სწორეთ კაპიტალიზმის დაძლევა.

მხოლოდ პირობით და მეტად ვიწრო აზრით შეგვიძლია ვილაპარაკოთ საბჭოთა სახელმწიფო: მრე

თბილისის ალმასკომის პლენუმის მორიგი სხდომა

რომელიც უნდა შემდგარიყო

ორშაბათს, 14 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე „11 სექტემბერს დაღუპულ ამხანაგების სახელობის დარბაზ“-ში (ყოფ. თბილ. ალმასკომი)

შესდგება

დღეს, 17 დეკემბერს

საღამოს 6 საათზე

დღის წესრიგი:

1. მოხსენება მაზრაში მუშაობის შესახებ;
2. მოხსენება საბჭოების გადარჩევის შესახებ;
3. მიმდინარე საკითხები.

ალმასკომის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

ნ. 439 3—2

პრეზიდიუმი.

საბჭოთა აღმშენებლობა

წყალსადენი სოფელ ასკანაში (გურია).

მიმდინარე წელს სოფელ ასკანის გლეხობამ საკუთარი შრომით და საშუალებით გაიყვანა წყალსადენი. წყალი მილების საშუალებით გამოყვანილია წყაროებიდან, რომელიც სოფელს ორვერსნახევარი მანძილით არის დაშორებული. წყლის დებეტი დღე-ღამეში უდრის რამოდენიმე ათას ვედროს წყალსადენის მაგისტრალური ხაზი ისეა გაყვანილი, რომ წყალსადენით სარგებლობა შეუძლიათ გზის პირად მდებარე მოსახლეობას. წყალსადენის გაყვანაში მონაწილეობა მიიღეს ყველა მცხოვრებლებმა 18 წლიდან დაწყებული 60 წლის ჰასაკამდე.

აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურის სამმართველოს შენობის დამთავრება

დეკემბრის პირველ რიცხვებში დამთავრდა აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურის სამშენებლო კომიტეტის დასაბინავებელი სახლის აგება. სახლი შეიცავს 14 ვრცელ ოთახს და უკავია 70 კვადრატ. საჟენი მოედანი. სახლში მოწყობილია ელექტრონის განათება და გათბობა. ოთახების კედლები აგებულია წაბლის ხის ფიცრებით. ორმაგი იატაკები და ჭერები აღჭურვილია ვენტილატორებით.

სახლი დახურულია თუნუქოვანი რკინით. ტეხნიკური და სანიტარული მოწყობილობის მხრივ ეს სახლი სანიმუშო შენობას წარმოადგენს. შენობაში უკვე დაბინავდა აჭარისწყალის ჰიდროელსადგურის სამშენებლო კომიტეტი.

საბინაო მშენებლობა

ბათომში მოეწყო ორი ახალი საბინაო ამხანაგობა. რომელნიც უკვე შეუდგენ მათ განკარგულებაში გადასულ კომუნალურ სახლების შეკეთებას.

მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

ცირკულიარულად

საქართველოს ყველა საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიულ დაწესებულებებს

შემჩნეულია, რომ ხშირად სახელმწიფო, სამეურნეო კოოპერატიული და სხვა დაწესებულებები და წარმოებანი იყენებენ გლეხების შრომას, რომლის საფასურს გლეხები თავის დროზე ვერ ღებულობენ. ასეთი გარემოება იწვევს გლეხებში დიდ უთანხმოებას და გაუგებრობას, რაც სახელს უტეხს ხელისუფლებას და სცემს მის ავტორიტეტს გლეხობის თვალში. ამას სათანადო ყურადღება მიაქცია საკავშირო ცაკმა სპეციალური დადგენილების № 123 გამოცემით, რომლის მიხედვით დაუყოვნებლივ ლიკვიდაცია უნდა ეყოს გლეხობისადმი დავალიანებას და ევალება ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს და წარმოებებს, რომელნიც სარგებლობენ გლეხების შრომით შემდეგისათვის დააწესონ ისეთი წესი ანგარიშის გასწორებისა, რომელიც უზრუნველყოფს გლეხობის კუთვნილ ხელფასით თავის დროზე და სწორად დაკმაყოფილებას.

საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია, იღებს რა მხედველობაში ზემოაღნიშნულს და ეყრდნობა რა საკავშირო ცაკის დადგენილებას წინადადებას აძლევს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს და წარმოებებს დაუყოვნებლივ გაასწორონ გლეხობასთან ყოველგვარი ანგარიში შრომის საფასურის დავალიანებისა და ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ ცირკულიარის გამოქვეყნებისა წარმოუდგინონ მუშათა და გლეხთა ინსპექციას შემდეგი ცნობები იმ შემთხვევაში, თუ გლეხობისადმი დავალიანებას აქვს ადგილი:

1. როდის, რამდენი და რა სამუშაოზე იყო გამოყვანილი გლეხები.

2. რამდენი თანხა მიეცა გლეხობას ხელფასის ანგარიშში, და თუ არ მიუციათ რაოდენობა დავალიანებისა გლეხებისადმი.

3. რა მიზეზით არ მიეცა გლეხობას კუთვნილი ხელფასი.

საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილე

კვარაცხელია.

სა ქ. ც.ს.კ. და მ. გ. ინსპექციის [illegible] გამგე **დადიანი.**

ეკონომიური ცხოვრება

საფეიქრო მრეწველობა

სამეურნეო წლის დასაწყისში

მსხვილი საფეიქრო მრეწველობა ამიერ-კავკასიაში მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს.

სრულიად არ ყოფილა გასაბჭოებამდე ჩვენში ბამბეულის მანუფაქტურის წარმოება, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა მხოლოდ ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში. რაც დრო გადის, მრეწველობის ეს დარგი თანდათან ღონიერდება: იზრდება, როგორც ქარხნების პროდუქცია, ისე შრომის ნაყოფიერებაც. მაგალითად ახალი სამეურნეო წლის დასაწყისში—ოქტომბერში ამიერ-კავკასიის საფეიქრო წარმოების მიერ დამზადებული იქნა 1.492.000 არშინი ბამბის ქსოვილი—მანუფაქტურა. თუ სექტემბრის პროდუქციას შევადარებთ, დავინახავთ, რომ ოქტომბერში პროდუქცია წინა თვესთან შედარებით 22,5 პროცენტით გადიდებულია. ხოლო გასულ 1923-24 სამეურნეო წლის საშუალო თვიურ პროდუქციასთან შედარებით ოქტომბერში წარმოების ნაყოფიერება 42 პროცენტით გაზდილა. იმატა აგრეთვე შრომის ნაყოფიერებამ თვითეულ მუშა-დღეზე. სექტემბერთან შედარებით, ოქტომბერში შრომის ნაყოფიერება 2 პროცენტით გადიდდა. სექტემბერში შემჩნეული იყო დეპრესია, რომელიც ოქტომბერში სრულიად მოისპო და ბაზარს გამოცოცხლება დაეტყო.

ოქტომბერში დამზადებული და დამუშავებული იქნა ადგილობრივ წარმოებებში 247 ფუთი აბრეშუმი და 139 ფუთი აბრეშუმის სხვადასხვა პროდუქტები. პირველის წარმოება ოქტომბერთან შედარებით 20,5 პროცენტით გადიდდა, ხოლო მეორისა 17,8 პროცენტით. უცვლელი დარჩა ნაყოფიერება თვითეულ მუშა-დღეზე. მიუხედავათ ამისა, აბრეშუმის მრეწველობა ვერ ჩაითვლება მტკიცედ, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ გასულ წლის უკანასკნელ კვარტალში აბრეშუმის დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაობა ფინანსიური უსახსრობის გამო შეფერხებული იყო.

ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატში

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ამიერ-კავკასიაში.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატში მიღებულ წინასწარ ცნობების მიხედვით, მიმდინარე წლის პირველი დეკემბრისათვის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ამიერ-კავკასიაში შემოვიდა 1.771.425 მანეთის რაოდენობით.

ცალკე რესპუბლიკებს შორის შემოსული თანხები ნაწილდება შემდეგნაირათ: საქართველო—570.648 მანეთი, სომხეთი—372.054 მან. და აზერბეიჯანი—828.723 მანეთი.

ამავე ხნის განმავლობაში წარსული წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენის სახით შემოვიდა: საქართველოში—46.878 მანეთი, სომხეთში—1.711 მან. და აზერბეიჯანში—38.892 მანეთი.

სას.-სამეურნეო ბანკის ძირითადი კაპიტალი

სასოფლო-სამეურნეო ბანკის ძირითადი კაპიტალის გასადიდებლათ საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ა/კ. ფინსახკომის საშუალებით წლიური ხარჯების ანგარიშში ავანსის სახით გადასდო 60.000 მანეთი.

შეღავათი სამელიორაციო ორგანიზაციებს

ამიერ-კავკასიის ფინსახკომმა აცნობა ადგილებს, რომ სახელმწიფო და კოოპერატიული სამელიორაციო ორგანიზაციები თავისუფლდებიან საშემოსავლო და სასარეწაო გადასახადისაგან.

კომუნალური მეურნეობა

წყალსადენი

ორ კვირაზე მეტია, რაც დაიწყო დიდი მუშაობა ავჭალაში წყალსადენის გადასაკეთებლად. წყალსადენის მთავარ მაგისტრალს ემატება რამოდენიმე მამოძრავებელი მანქანა წყლის საქაჩავებით, რომელნიც წყალს მიაწვდიან ქალაქის მაღლობ ადგილებს. გადაკეთებული მაგისტრალი წყალსადენს საშვალებას მისცემს ქალაქის ყველა უბნებს მიაწოდოს დღე-ღამეში 144.090 ვედრო წყალი ისე, რომ არ აამუშაოს საორთქლე ტურბინი, რაც მეტად ძვირი ჯდება. წყალსადენის სისტემის გადაკეთება იძლევა სათბობი მასალის დიდ ეკონომიას, რადგან საორთქლე ტურბინის ამუშავება საჭირო იქნება მხოლოდ ორჯერ თვეში. გასულ წელს ამ ტურბინის საშვალებით ქალაქი ღებულობდა ამოქაჩული წყლის ნახევარზე მეტს.

წყალსადენის მთავარ მაგისტრალს უერთდება კიდევ გლდანის წყაროები, რომლის საერთო დებეტი დღე-ღამეში ზამთრობით 150 ვედროს უდრის, ხოლო ზაფხულობით 800.000 ვედროს. წყაროები გასუფთავებულია და ამჟამად უკვე შეყვანილია წყალსადენის სისტემის საერთო ქსელში.

წყალსადენს ემატება კიდევ ახალი დამატებითი ფილტრები, რომლების საშვალებით განწმენდილი იქნება დღე ღამეში დამატებით 700.000 ვედრო წყალი. ახალ ფილტრების მოწყობა წყალსადენის მმართველობას საშვალებას მისცემს სავსებით გაწმინდოს და გაასუფთაოს ქალაქისათვის მიწოდებული წყალი. წყლის საწმენდი წვრილი ქვიშა მოტანილია ქობულეთიდან. ფილტრების მოწყობა დასრულდება. წყალსადენისთვის მიღებულია ორი ავტომატიური წყლის აღმრიცხველი მაგისტრალური წყალსაზომები და 100 რადიოსისტემის წყალსაზომები.

ბამბის დამზადების კამპანია

ნედლი ბამბის ჩაბარება ქარხნებში წარმატებით მიმდინარეობს და არავითარ გაუგებრობას ადგილი არ აქვს. გლეხები ჩაბარებისთანავე იღებენ ფულს ბამბაში.

ამიერ-კავკასიის მებამბეობის რაიონებში გეგმის მიხედვით შეტანილი უნდა იქნეს 1.800.000 ფუთი პური, აქედან დღევანდლამდე მიღებულია 500 ვაგონი პური; ამ რაოდენობიდან ადგილებზე გაიგზავნა 40 პროცენტი. ეს გავლენას ახდენს ნედლი ბამბის შესყიდვაზე, რადგან გლეხებს მეტათ ესაჭიროებათ პური.

ცალკე რაიონებში ხორბალის ფასი ავიდა 3 მან.—3 მან. 50 კაპ. გლეხებთან დადებულ ხელშეკრულების ძალით კი ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტი ვალდებულია ერთ ფუთ ნედლ ბამბაში გლეხებს მისცეს 3 ფუთი ხორბალი.

ამჟამად მიღებულია ზომები პურის შემოტანის გასაძლიერებლათ. ამას გარდა გაძლიერებული იქნება აგრეთვე ფართლეულობის მოწოდება მებამბეობის რაოდენობისათვის.

გლეხებისათვის მიცემულ ავანსებიდან 1-ლ დეკემბრამდე დაბრუნებულია 85 პროცენტი. ბამბის მთელი მოსავლიდან ჯერჯერობით შეგროვებულია 66 პროც.

შარშან ამ დროს განაღდებული იყო ავანსების 53 პროცენტი, შეგროვებული ბამბის რაოდენობა კი უდრიდა 60 პროც.

რაც შეეხება ბამბის ძაფის ფასებს, უნდა ითქვას, რომ შარშან ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტი საფეიქრო სინდიკატს ბამბის ძაფს აბარებდა 21 მან. 50 კაპ. ფუთს; წელს კი, შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, საფეიქრო სინდიკატი ბამბის ძაფს იბარებს 20 მან. 25 კაპ. ფუთს. ამრიგათ, წელს ძაფი გაიაფდა 1 მან. 25 კაპ.

შარშანდელთან შედარებით ბამბის ნათესების სივრცე ამიერ-კავკასიაში გაიზარდა 15 პროც., მოსავალი კი გაიზარდა 30 პროც.

ეს აიხსნება ნაწილობრივ მორწყვის საკითხის მოწესრიგებით, უმთავრესათ კი ბამბის ნათესების უკეთესი მოვლით.

ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტმა აგრონომიულ დახმარებისათვის შარშან გადასდო 125.000 მანეთი, მიმდინარე წელში კი გადადებულია 250.000 მანეთი.

შემნახველ კასების წარმომადგენელთა ყრილობა

ყრილობის მეორე და მესამე სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენებები ადგილებიდან. მოხსენებებით გამოვიდენ ამიერ-კავკასიის შემნახველი კასების სამმართველოს და საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის, აფხაზეთის და აჭარისტანის შემნახველი კასების წარმომადგენლები.

მომხსენებლებმა აღნიშნავდენ არსებული შტატის სიმცირეს და მის სუსტ კვალიფიკაციას, რომელიც განსაკუთრებით საგრძნობია ადგილებზე; ამას გარდა ხაზგასმული იყო ადგილების სუსტათ დაკავშირება ცენტრთან და მატერიალურ საშუალებათა ნაკლებობა, რომელიც საშუალებას არ აძლევს ადგილებს ფართოთ აწარმოონ აგიტაცია და შემნახველი კასების იდეის პოპულიარიზაცია მასებში.

ყრილობამ შეიმუშავა მთელი რიგი კონკრეტიული ღონისძიებები, რომელთა გატარება წინ წასწევს შემნახველი კასების მუშაობას.

ეკონომიური ქრონიკა

— **აბრეშუმის პარკის გატანა.** ა.-კ. კოოპერატივთა კავშირმა მილანში (იტალია) გაგზავნა 1500 ფუთი აბრეშუმის პარკი.

— **ავტომობილების მიღება.** ამა თვის შუა რიცხვებში თბილისში მიღებული იქნება 40 ცალი ავტომობილი.

— ა.-კ. კოოპერატივთა კავშირი ამჟამად აწარმოებს ცეკავშირის და მისი ორგანოების რევიზიას.

— **თამბაქოს მოსავალი.** წელს თამბაქოს მოსავალი კახეთში საერთო ვარაუდით უდრის 30000 ფ.

— **სიმინდის გატანა.** შინაგან ვაჭრობის კომისარიატი ამ ჟამად დასავლეთ საქართველოში ამზადებს 600,000 ფ. სიმინდს საზღვარგარეთ გასატანათ. გლეხებს სიმინდის ნაცვლათ მიეცემათ მათთვის საჭირო საქონელი.

— **ფართლეულობა.** ნოემბრის განმავლობაში ზუგდიდის რაიონულმა კოოპერატივმა მიიღო და დაანაწილა 37,184 მანეთის ფართალი.

— **სესხი.** აჭარის სახელმწიფო ბანკმა გადასწყვიტა, გასცეს 40 ათასი მანეთი სესხად პოლიგრაფიულ და ცინკის მრეწველობის გასაფართოებლად.

— **სახალხო მამულების ტრესტმა** 1 ნოემბრიდან აამუშავა სპირტის ქარხანა წინანდალში, რომელმაც დღემდე გადაამუშავა 10 ათასი გრადუსი კონიაკის სპირტი.

— **საფეიქრო სინდიკატის** თბ. წარმომადგენლობის ცნობით, ახლო ხანში ბათომში მოვა დიდძალი ფართლეულობით დატვირთული გემი დასავლეთ საქართველოსთვის.

— **ცემენტის ქარხანა.** უმ. სამეურნეო საბჭო შეუდგა წინასწარ მუშაობას კავთისხევის ქარხნის ასაგებათ, რომელიც დაჯდება 1 მილიონი მანეთი. ქარხანაში იმუშავებს 700 კაცი.

— **ფართეულობის ნაკლებობა.** ამ ჟამად ბაზარზე ფართლეულობის ნაკლებობაა, რის გამო კერძო ვაჭრებმა საქონელი გააძვირეს 70—75 პროც.

წველობის მიერ მუშების კაპიტალისტურ ექსპლოატაციაზე. სოციალისტური მრეწველობის ფონდში ან პროლეტარული სახელმწიფოს ხელში მთელი ის „ზედმეტი ღირებულება“ როდი გადადის, რომელსაც სახელმწიფოს წარმოება ჰქმნის: ერთი ნაწილი კერძო კაპიტალს ხვდება სავაჭრო მოგების სახით, შესაძლებელია ნაწილობრივ უცხოელ კაპიტალისტებსაც ერგოთ საგარეო საალებმიცემო ოპერაციების დროს და სხ. ამ შემთხვევებში საბჭოთა სახელმწიფოს მრეწველობის მუშებს მართლაც არა პროლეტარული სოციალური ელემენტები ჰყვლეფენ. მაგრამ მენშევიკები გულმოდგინეთ მალავენ იმ ხვედრითი წონას, რომელიც ზედმეტი ღირებულების ექსპლოატაციის პროპორციას ხატავს; მაგრამ თვით მათი თვალსაზრისით ის არ შეიძლება დიდი იყოს, მიტომ რომ იგივე მენშევიკები მოსთქვამენ, რომ ჩვენ ვსჩაგრავთ და „ვგლეჯთ“ კერძო კაპიტალს. გადამწყვეტი გარემოება ამ შემთხვევაშიც განვითარების დინამიკა, განვითარების მსვლელობაა. საკითხავია, იზრდება თუ არა ჩვენი ზედმეტი ღირებულების ხვედრი მთელს ნაწარმოებთა მასაში, რომელსაც სახელმწიფოებრივი მრეწველობა იძლევა? კლებულობს თუ მატულობს ზედმეტი ღირებულების ნაწილი, რომელიც კერძო პირების ხელში გადადის? ზედმეტი ღირებულების ანტიკაპიტალისტური შინაარსი იმარჯვებს ფორმაზე თუ, პირიქით, ფორმა „შთანთქავს“ სოციალისტურ შინაარსს? საკმაოა მხოლოდ ამ საკითხის დასმა, რომ ყველამ გაიგოს მთელი უაზრობა მენშევიკური ჩმახვისა „ექსპლოატაციის“ შესახებ. მეორე მხრით, არც ერთი წუთით არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვით იმ ნაწილს ზედმეტი ღირებულებისა (გარკვეულ საზღვრებში, რასაკვირველია), რომელიც „კერძოთა“ ხელში გადადის, განსაკუთრებული ფუნქციონალური დანიშნულება აქვს, რომელიც ძირითადათ განსხვავდება მისი როლისაგან კაპიტალიზმის პირობებში. კაპიტალიზმის დროს, როცა კაპიტალისტი ვაჭრები, ზედმეტი ღირებულების განსაზღვრული ნაწილს ღებულობენ, ისინი „შუამავლობის“ კაპიტალიზმის ზრდის პროცესში, ხელს უწყობენ მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის დაგროვების მექანიკას. ჩვენს პირობებში კერძო ვაჭრებს („ნორმალურ“ გარკვეულ საზღვრებში) მხოლოდ ჩვენი სოციალისტური დაგროვების პროცესის „შუამავლობა“ შეუძლიათ. ამ მხრით ჩვენ ისინი მართლაც გვჭირიათ და მათ ვერც შევეღევით. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მხოლოდ რეგენს შეუძლია აქედან (კერძო კაპიტალის შუამავალი როლიდან) იმ დასკვნის გამოტანა, რომ კერძო კაპიტალთან ჩვენ „ზავი“ და იდილიური მეგობრობა უნდა ვიქონიოთ. პირიქით, ჩვენ ახლაც და მომავალშიც სასტიკ შეჯიბრებას ვაწარმოებთ კერძო კაპიტალთან, სანამ სრულიად არ განვდევნით მას, სანამ იმას არ მივაღწევთ, რომ ყველა ეგრეთ წოდებული „საშუამავლო“ ფუნქციები სოციალისტური დაგროვებისა თვით ჩვენ შევასრულოთ, ჩვენმა საბჭოთა კოოპერაციამ შეასრულოს და არა კერძო კაპიტალმა.

უკანასკნელი საფარი, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლების მტრები მიმართავენ, რაკი ჩვენი სახელმწიფოებრივი მრეწველობის დავარცხნა კაპიტალისტურად შეუძლებელი და უნაყოფო აღმოჩნდა, არის ჩვენი მრეწველობის გამოცხადება „სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმათ“. ამასთანავე მენშევიკები და ესერები ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ „სახელმწიფოებრივი“ კაპიტალიზმის ცნებაში, რაც შეიძლება მეტი ბურუსი შეიტანონ. ეფექტის გასაძლიერებლად ისინი ამხ. ლენინს იმოწმებენ, რომელმაც, თუ მათ დავუჯერებთ, საბჭოთა სახელმწიფოებრივი მრეწველობა სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმათ გამოაცხადა. ჩვენ ზევით უკვე გავიხსენეთ ვლადიმერ ილიჩის კატეგორიული განმარტება, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი წარმოება „მიმდევნობითი სოციალისტური ტიპის წარმოებაა“. იმის გამოსარკვევად, თუ როგორ ესმოდა ამხ. ლენინს სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი, პრესაში მისი ნაწერებიდან არა ერთხელ ამოუღიათ სათანადო ციტატები. ამ ციტატებიდან სრულიად ნათლად სჩანს, რომ სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი ილიჩს სულ სხვანაირად ესმოდა ვიდრე მენშევიკებსა და მათ დამქაშებს აქ ზედმეტი არ იქნება ერთი შესანიშნავი ადგილი გავიხსენოთ ვლადიმირ ილიჩის სიტყვიდან პარტიის მე-11 ყრილობაზე:

„სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი, ამბობდა ამხ. ლენინი, ის კაპიტალიზმია, რომლის შეზღუდვასაც ჩვენ შევძლებთ, რომლის საზღვრებს ჩვენ დავაწესებთ; ეს სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი დაკავშირებულია სახელმწიფოსთან, ხოლო სახელმწიფო იგივე მუშებია, მუშების მოწინავე ნაწილი ანუ ავანგარდია, ეს თვით ჩვენ ვართ. სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი ის კაპიტალიზმია, რომელიც ჩვენ განსაზღვრულ ჩარჩოში უნდა ჩავსვათ, მაგრამ დღემდე ვერ ჩაგვისვამს“.

სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი, ლენინის მიხედვით, ის კაპიტალიზმია, რომელიც პროლეტარულ სახელმწიფოსთან არის შეკავშირებული და მის მიერ „განისაზღვრება“. პროლეტარულმა სახელმწიფომ ამ კაპიტალიზმს „გარკვეული ჩარჩოები“ უნდა შეუქმნას, მის მოქმედებისთვის „გარკვეული საზღვრები“ უნდა დააწესოს დღესავით ნათელია, რომ არავითარი სოფისტური მანჭვა-გრეხით არ შეიძლება ლენინის მიერ განმარტებული სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი და საბჭოთა სახელმწიფოებრივი მრეწველობა ერთ და იმავე მოვლენათ გამოვაცხადოთ. განა ილიჩს ჩვენი პროლეტარული სახელმწიფოებრივი მრეწველობისთვის უნდოდა „ჩარჩოების“ შექმნა? განა ის მის „შეზღუდვაზე“ ლაპარაკობდა? საკმაოა ამ ბრძნული საკითხის დასმა, რომ მაშინვე უარყოფითი ვუპასუხოთ. ლენინი არა თუ ერთსა და იმავე მოვლენად არ სთვლიდა ჩვენ სახელმწიფოებრივ მრეწველობას და სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმს, არამედ სრულიად გარკვეულად ამტკიცებდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრივი მრეწველობა სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის გარეშე არსებობს და ჩვენს ძირითად სოციალისტურ საძირკველს წარმოადგენს.

აქ აუცილებლად საჭიროა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხის საბოლოოდ გამორკვევა. როგორც ცნობილია, ამხ. ლენინი მკაცრად ყოფდა ორ ცნებას: ერთია სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი ბურჟუაზიის ბატონობის დროს, მეორეა სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი პროლეტარიატის ხელისუფლებისა, პროლეტარიატის დიქტატურის დროს. ამხ. ლენინი ეკამათებოდა მემარცხენე კომუნისტებს, რომელთაც საზოგადოთ ეშინოდათ „სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის“ ტერმინის ხმარებისა; ის აღნიშნავდა, რომ ეს ახალი მოვლენაა, რომ წიგნაკებში მის შესახებ არაფერი სწერია და სხ.. მაგრამ ამხ. ლენინს არასოდეს, არსად არც ერთხელ არ უხმარია ტერმინი „სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი“, როცა საქმე ნამდვილი ტიპის სახელმწიფოებრივ წარმოებას ეხებოდა ე. ი. ისეთ სახელმწიფოებრივ საწარმოვო დაწესებულებებს, რომელნიც არც იჯარით არიან გაცემულნი, არც კონცესიის წესით და არც შერეულ საზოგადოებას წარმოადგენენ, უცხო კაპიტალის მონაწილეობით შედგენილს.

საკითხის გამოსარკვევად მაგალითებს მივმართოთ. ავიღოთ ომისდროინდელი გერმანია. იქ ბევრი სინდიკატი ბურჟუაზიული სახელმწიფოს ხელში გადავიდა, სახელმწიფოს სასტიკ რეგულიატორულ ზედამხედველობას დაექვემდებარა. ეს ჩვეულებრივი სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმია, ეს არის სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი ბურჟუაზიის ხელისუფლების დროს.

ავიღოთ კონცესიები ს. ს. რ. კავშირის ტერიტორიაზე. ეს სულ სხვა კაპიტალიზმია, მას პროლეტარული დიქტატურა, პროლეტარული ხელისუფლება აწესრიგებს და განაგებს. ეს არაჩვეულებრივი სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმია, რომლის შესახებ არაფერი სწერია წიგნაკებში, როგორც ლენინი ამბობდა.

მაგრამ დავსვათ საკითხი: არის თუ არა განსხვავება კონცესიასა ე. ი. პროლეტარულ სახელმწიფოს ზედამხედველობის ქვეშ მყოფ კერძო კაპიტალისტურ წარმოებასა და სახელმწიფოებრივ მრეწველობას შორის? რასაკვირველია, არის პრინციპიური განსხვავება. ეს არის განსხვავება არაჩვეულებრივ სახელმწიფოებრივ კაპიტალისტურ ტიპსა და სოციალისტურ ტიპს შორის. უბრალოდ რომ ვსთქვათ: კონცესია ჩვენში—ეს იგივე სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმია, ხოლო ჩვენი სახელმწიფოებრივი წარმოება—სოციალისტური წარმოებაა, ანუ როგორც ლენინი ამბობდა, „მიმდევნობითი სოციალისტური ტიპის“ წარმოებაა.

რაშია პრაქტიკული პოლიტიკური მნიშვნელობა ჩვენ მიერ გაკვრით განხილულ საკითხისა ჩვენი სახელმწიფოებრივი მრეწველობის სოციალური არსების შესახებ? ამ საკითხის პოლიტიკური მნიშვნელობა უზარმაზარია დღევანდელ პირობებში, როცა ჩვენი ეკონომიკა და განსაკუთრებით ჩვენი მრეწველობა ზრდის პროცესში იმყოფება. არც ერთმა შეგნებულმა პარტიულმა მუშამ უპასუხოდ არ უნდა დასტოვოს ეს საკითხი. რატომ? იმიტომ რომ მუშათა კლასის დამოკიდებულება სოციალიზმის აღმშენებლობასა, ჩვენ ხელისუფლებასა და ჩვენ პარტიასთან იმით განისაზღვრება, თუ როგორ უცქერის ის ჩვენ აღორძინებულ სახელმწიფოებრივ მრეწველობას, ისე როგორც დაქირავებული მუშა „კაპიტალისტურ წარმოებას“ თუ როგორც აქტიური აღმშენებელი თავის საკუთარ მრეწველობას. უაზრო კომუნისტური ზვიადობა და პირდაპირ უგუნურებაც იქნებოდა აქ განსაზღვრული საფრთხის უარყოფა.

ჩვენი მრეწველობა იზრდება. მაგრამ ეს ზრდა ერთგვარ საფრთხესაც შეიცავს. ეს არის აღნიშნული ამხ. ტომსკის მიერ წარმოდგენილ და ცეკას პოლიტბიუროს მიერ მოწონებულ რეზოლიუციაში.

> „წარმოებაში ის ძველი მუშები, ბრუნდებიან, რომელნიც სამოქალაქო ომის დროინდელმა ნგრევამ რამდენიმე წლით ჩამოაშორა მსხვილ სამრეწველო ცენტრებსა, ფაბრიკებსა და ქარხნებს. იმავე დროს მრეწველობაში ახალი ელემენტებიც შეიჭრენ, რომელთაც ჯერ კიდევ არ გაუვლიათ ორგანიზაციული და სამრეწველო სამუშაო სკოლა. ამ ახალი პროლეტარული რაზმების უმცირესი ნაწილი—მუშების შვილებია (მოზარდი თაობა და ყმაწვილები), უმეტესად ახალგაზრდა კომუნისტები რევოლიუციის შვილები, რომელნიც სრულიად არ იცნობენ რევოლიუციის წინადროინდელ ფაბრიკის წესწყობილებას და ყოფაცხოვრებას.—უდიდესი ნაწილი კი ახალგაზრდა გლეხებია, პირდაპირ სოფლიდგან გამოსულნი, რომელნიც საზოგადოთ სრულიად არ იცნობენ ფაბრიკასა, მუშათა კლასის ბრძოლას, ამოცანებსა და ორგანიზაციას. ეს ნაწილი ახალი მუშებისა უფრო მიწასთან არის შეკავშირებული, ვიდრე ქარხანასთან, სავსებით გლეხური ინტერესებით არის გამსჭვალული, ნახევრად წერა-კითხვის უცოდინარი ან სრულიად უმეცარია და, უმეტეს შემთხვევაში, დაშორებულია ძირითად პროლეტარულ მასას, მის ინტერესებსა და საზოგადოებრიობას და თავის თავს ფაბრიკისა, ქარხნისა და ქალაქის დროებით სტუმრად სთვლის“.

არაფერი გასაკვირალი არ იქნება, თუ ჩვენი დაუდევრობის წყალობით ეს მუშათა კლასის დაუმუშავებელი ფენა, ეს სოფლიდან გამოსული ახალგაზრდობა, რომელსაც ორგანიზაციული კლასობრივი ბრძოლის სკოლა არ გაუვლია, იმ ნოყიერ ნიადაგათ იქცა, სადაც ჩვენი მტრები ამუშავდებიან, ანკესს გადაისროლიან, ლაპარაკს ასტეხენ ექსპლოატაციაზე სახელმწიფოებრივი მრეწველობის მიერ, ბურჟუაზიულ გადაგვარებასა და კაპიტალიზმზე, ბურუსს შექმნიან „სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის“ გარშემო, უარჰყოფენ სოციალისტურ პერსპექტივებს და სხ. ხოლო, როცა მუშათა კლასის ჩამორჩენილ ნაწილში ასეთი სულიერი განწყობილება გაიზრდება, გასაკვირალი არ იქნება, თუ შემდეგ ის ჩვენს პარტიულ რაზმებსაც მოხვდება. ეს არის სხვადასხვა ჯურის უსტრიალოვების, მენშევიკების და ესერების იდუმალი ოცნება, რომ არევდარევა, მერყეობა, იჭვიანობა, გულგრილობა, სოციალისტური პერსპექტივისადმი ურწმუნოება გამოიწვიონ ჩვენს პარტიაში. ამიტომ გარეგნულად უმცირესი „თეორეტიული“ გაურკვევლობა, არევდარევა და განმარტოვება „სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმისა“ და სახელმწიფოებრივი მრეწველობის საკითხში, უდიდეს უბედურებას გვიქადის: აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ საეჭვო, არავითარ ზედმეტად „მოქნილ“ არავითარ წაღმა-უკუღმა გასაგებ ფორმულებს. აქ ბოლშევიკური სიმტკიცითა და უკანდაუხევლობით უნდა შევებრძოლოთ გაუგებრობასა და არევდარეულ ფორმულებს. ამით აიხსნება, რომ საკითხი სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმსა და სახელმწიფოებრივ მრეწველობის შესახებ დასმულია მე-14 პარტყრილობისათვის წარდგენილ რეზოლიუციების პროექტებში. თვით მე-14 პარტყრილობაც უეჭველად, ნათელ და ავტორიტეტულ, ლენინისტურ პასუხს გასცემს მას.

დ. მარეცკი.

მუშკორების საყურადღებოდ

კვირას, 20 დეკემბერს მუშათა [illegible] ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ნ. ოკუჯავა გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: **„მუშკორების მუშაობა და მათი ურთიერთ დამოკიდებულება სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან რევოლიუციონურ კანონიერების გატარების დროს“.**

დასაწყისი სრულ 11 საათზე (დღის)

დასწრება შეუძლია ყველა მუშკორებს.

მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი.

თბილისის კომიტეტის მდივანი **ხვაჩიძე.**

კოოპერაცია

სატრანსპორტო სამომხ. საზ-ბის რწმუნებულთა არჩევნები

17 და 21 დეკემბერს მოწვეულია ა.-კ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების იმ წევრთა კრება, რომლებიც მუშაობენ თბილისის კვანძზე.

კრებაზე გაკეთებული იქნება მოხსენება გამგეობის ერთი წლის მუშაობის შესახებ და მოხდება რწმუნებულთა არჩევნები, მორიგ ყრილობისათვის.

ამისათვის 17 დეკემბერს საღამოს 5 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში (ნაძალადევში), შესდგება მთავარ სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეების კრება.

ამავე დღეს სალ. 5 საათზე ორჯონიკიძის სახ. კლუბში (დიდუბე), შესდგება: თბილისის საყუდის, მე 6 უბნის სალიანდაგო დარგის და მოძრაობის დარგის მუშა მოსამსახურეთა კრება.

21 დეკემბერს, სალ. 5 საათზე ორჯონიკიძის სახ. კლუბში შეიკრიბებიან: სამმართველოს, საგადასახადო დარგის, სალიანდაგო დარგის, ხის მასალის დამზადების განყოფილების, საქალაქო სადგურის, დამზოგავ სალაროს, დაცვის დარგის, სამხედრო დაცვის განყოფილების, პროფგანათლების განყოფილების, რკ. გზელთა კავშირის სამმართველოს, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, სამტრ. სამომხ. საზ-ბის, რკ. გზის სტამბის თანამშრომლები რწმუნებულების ასარჩევად.

ამავე დღეს სალ. 5 საათზე ნავთლუღის კლუბში შესდგება ნავთლუღის უბნის რკინის გზელების კრება.

ყოველი სხდომის შემდეგ წარმოდგენილი იქნება კოოპერატიული ხასიათის პიესები.

ა.-კ. სას.-სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენელთა თათბირი

მეორე სხდომა

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენელთა თათბირის დღის წესრიგში დასმულ ყველა მოხსენებების მოსმენის შემდეგ მეორე სხდომაზე შეუდგა ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ბიუროს არჩევას.

ბიუროს თავმჯდომარეთ არჩეული იქნა წარმოკავშირის თავმჯდომარე კაკაბაძე, წევრებათ: **თაიროვი** („კერიბირლიგის“ თავმჯდომარე) და მელიქი („აიგიუხკოოპის“ თავმჯდომარე).

პროფკავშირებში

საწარმოო თათბირები რკინისგზაზე

უ'ვე გამოიცა ა.-კავკასიის საგზაო კომიტეტის ცირკულიარი, რომლის თანახმად ადგილებზე, ყოველ ადგილობრივ კომიტეტთან უნდა დაარსებულიყო საწარმოო კომისიები. ეს უკანასკნელნი აწარმოებდენ და უხელმძღვანელებდენ საწარმოო თათბირებს. ამასთანავე გამოცემული იყო რკინისგზელთა ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქცია საწარმოო კომისიების ადგილკომებთან დაარსების შესახებ.

— თუ როგორ არის დაყენებული საწარმოო თათბირების მუშაობა ა.-კ. რკინის-გზებზე—ჩვენს თანამშრომელს ა.-კ. რკინის გზელთა საგზაო კომიტეტში აცნობეს, რომ თანახმად ცირკულიარისა თითოეულ ადგილკომთან არსებობს საწარმოო კომისია, რომელიც ხელმძღვანელობს თათბირს. თათბირის მიზანს კი შეადგენს შრომის ნაყოფიერების გადიდება, წარმოების გაუმჯობესება.

თითოეული საწარმოო თათბირის წევრი და მუშა ამაში უშუალოდ არიან დაინტერესებული; ეს გამოიხატება იმაში, რომ მუშები წარმოებაში შემჩნეულ ნაკლულევანებებს, აცნობენ თათბირებს, რომელიც შემდეგ მოითხოვს სათანადო ზომების მიღებას ამ დეფექტების მოსასპობად. საწარმოო კომისიები, ადგილკომების დამხმარე ორგანოებად ითვლება და იგი თავის ყოველ დადგენილებებს ატარებს ცხოვრებაში მისი საშვალებით.

საწარმოო თათბირების მიღწევები აღირიცხება. ეს საქმე უკეთ არის დაყენებული თბილისის მთავარ სახელოსნოში. დანარჩენ ადგილებში კი იგი სუსტადაა დაყენებული, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ მუშების კულტურული დონე ჯერ იმდენად არ არის განვითარებული, რომ ყოველივე ასეთი მიღწევები აღინიშნოს.

ასეთი გარემოების გამოსასწორებლად ა.-კ. რკინისგზელთა საგზაო კომიტეტმა, რკინისგზათა სამმართველოსთან ერთად გასცეს განკარგულება, რომლის ძალითაც აღნიშნული აღნუსხვა დავალებული აქვს ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციის წევრებს, რომლებიც შედიან საწარმოო კომისიაში, ამნაირად ზემოაღნიშნული დეფექტი აღნუსხვაში დაძლეული იქნება და იგი დადგება კარგ ნიადაგზე.

მაგალითად—მთავარ სახელოსნოებში საწარმოო თათბირების მიღწევების აღნუსხვა გვიჩვენებს, რომ გაიაფებულია ზოგიერთი საგნების წარმოება, შემოღებულია ჯამაგირების გაცემის საბარათო სისტემა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მუშებს ჯამაგირებს ურიგებენ ადგილებზე მუშაობის დროს და მას ამგვარად აღარ უხდება რიგში დგომა სალაროსთან და უმრავლოდ დროის დაკარგვა.

რასაკვირველია, არის დეფექტებიც საწარმოო კომისიების და თათბირების მუშაობაში, მაგრამ ეხლა იღება სათანადო ზომები მათ მოსასპობლად.

სალექციო-საექსკურსიო მუშაობის გასაცხოველებლად

პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებამ მიმდინარე ზამთრის სეზონისათვის გამოიმუშავა ლექციებისა და ექსკურსიების ჩასატარებელი გეგმა, ინსტრუქცია და შეიმუშავა ლექციების მთელი ციკლი მუშა-მოსამსახურეთა აუდიტორიებში ჩასატარებლად. ინსტრუქციები უკვე დავგზავნა საქართველოს ყველა პროფორგანიზაციებს სახელმძღვანელოდ. ლექციები აღებულია საზოგადოებათა მეცნიერების, ტეხნიკის, ბუნებისმეტყველების და შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგებიდან, რომლებიც თავის მხრივ ცალცალკე დაყოფილია რამოდენიმე ქვეგანყოფილებებად და შეიცავს მრავალ, ფრიად საყურადღებო და მუშათა აუდიტორიებისათვის შესაფერ სალექციო თემებს.

პროფკავშირების კულტურულ მუშაობის დარგში, სალექციო-საექსკურსიო მუშაობის არა სხვა რომელიმე განყოფილებაზე ნაკლები ადგილი უნდა ეჭიროს, რადგან ის დიდ ნაყოფს გვაძლევს მუშათა მასის გათვითცნობიერების საქმეში, თუ ის შესაფერად ჩატარდება.

არ შეიძლება ითქვას, რომ სალექციო მუშაობა სრულიად უნაკლო იყო, სწორედ ამ ნაკლს აქვს მიქცეული დიდი ყურადღება ამჟამად გამომუშავებულ გეგმაში.

ეს ნაკლი გამოიხატება იმაში, რომ ხშირად ლექციები ვერ ტარდება ისე, როგორც ეს საჭიროა. ლექტორი, რაგინდ კარგი მცოდნე და მკვეთრად მოლაპარაკე არ იყოს, თუ მის ლექციაში მსმენელი მუშა-მოსამსახურეები აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ, ისე ლექციამ მათ ახალს არაფერს შემატებს?

სწორედ ამ მხრივ დიდი მოვალეობა აწევს ადგილობრივ კლუბების, წითელი კუთხეების და წარმოება-დაწესებულებების კულტკომისიებს. კულტკომისიებმა წინასწარი მუშაობა უნდა ჩაატარონ ლექციების შერჩევისათვის, გაიგონ, რა უფრო აინტერესებს მასას, რა კითხვები უფრო იჭრება მასში და ამ მასის საერთო განწყობილების შემდეგ უნდა დანიშნოს ლექცია ამა თუ იმ თემაზე.

თვით ლექციის კითხვის დროს ყურადღება უნდა მიექციოს მასის შთაბეჭდილებას და მისცეს მას შეკითხვები და გაუმართოს საუბარი, რომელშიაც უნდა ჩაბას მსმენელების რაც შეიძლება მეტი ნაწილი.

მსმენელმა მუშა-მოსამსახურეებმაც თავის მხრივ დიდი ყურადღება უნდა გამოიჩინონ და დაკვირვებით უნდა მოისმინონ ლექცია, თორემ კომისიამ რაგინდ კარგად შეუწყოს ხელი ლექციის სასურველად ჩატარებას, ნაყოფი და ახალი ცოდნა მაინც უმნიშვნელო იქნება.

რაც შეეხება საექსკურსიო მუშაობას, განყოფილებამ ამ მხრივ ზამთრის სეზონის გამო, სასურველად სცნო ადგილობრივ ექსკურსიების ჯგუფური ხასიათის ჩატარება. ექსკურსიები უნდა გაიმართოს წარმოების გასაცნობად, მუზეუმებში, კოოპერატიულ ორგანიზაციებში და სხვა.

საერთოდ სამუშაო ხაზი სწორია, მხოლოდ საჭიროა ქვემდებარე პროფორგანოების ენერგია და თვით მასის ყურადღება და აქტიურობა ასეთი ნაყოფიერი მუშაობის გასაცხოველებლად.

მ. ჭ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

1905 წ. რევოლუციის 20 წ. თავისათვის

(ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება თბილისის პარტაქტივის კრებაზე)

როდესაც ვაფასებთ 1905 წლის რევოლუციას, უსათუოდ ამ რევოლუციის შეფასება უნდა იყვეს დაკავშირებული ოქტომბრის რევოლუციასთან, დაიწყო ამხ. ორახელაშვილმა.

პირველი საკითხი, რომელზეც უნდა შევჩერდეთ და პასუხი გავსცეთ არის შემდეგი: რა ხასიათს ატარებდა ეს რევოლუცია? ჩვენ ვიცით, რომ არის ბურჟუაზიული რევოლუცია და არის პროლეტარული რევოლუცია. როგორი ხასიათის იყო 1905 წლის რევოლუცია? ჩვენ გაბედვით და ურყევლათ უნდა ვსთქვათ, რომ 1905 წლის რევოლუცია იყო ბურჟუაზიული რევოლუცია. 1905 წლის რევოლუცია თავისი მიზნებით არ გასცილებია ბურჟუაზიულ რევოლუციის ჩარჩოებს. ის ვერ გასცილდა პროგრამა-მინიმუმს.

ჩვენ ვიცით, რომ მაშინდელი რუსეთი წმინდა გლეხური ქვეყანა იყო; მოსახლეობის 80 პროც. მიწის დამუშავებით ცხოვრობდენ. პროლეტარიატი კი მეტად უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენდა. ამავე დროს რუსეთი ძლიერი რთული ნაციონალური ორგანიზმი იყო; უმრავლესობა შესდგებოდა რუსებიდან, რომლებიც გაბატონებულ ერად ითვლებოდა; დანარჩენი კი წვრილ ერებს შეადგენდენ, რომლებსაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე სდევნიდენ და ავიწროებდენ. ასეთ მხარეში ყოვლად შეუძლებელი იყო სხვა სახე ჰქონოდა რევოლუციას, გარდა ბურჟუაზიულისა. ფეოდალური ნაშთები, გლეხების მრავალრიცხოვანობა მუშათა კლასთან შედარებით და გაბატონებულ ნაციის დამოკიდებულება წვრილ ერებთან ყველაფერი ეს 1905 წლის რევოლუციას აძლევდა ბურჟუაზიულ ხასიათს.

ჩვენ ვიცით, რომ რევოლუციისათვის ხშირათ ნიადაგი მზად არის მაგრამ რევოლუცია მაინც არ ხდება, ის უცდის გარეშე მიზეზს. იმისთვის, რომ დაჩქარდეს რევოლუციონური გამოსვლები, საჭიროა გარეშე მიზეზი. 1905 წლის რევოლუციის ასეთი მიზეზი იყო რუსეთ-იაპონიის ომი. რუსეთის უილაჯობა ჩამორჩენილობა ეკონომიურათ, რომელიც გამოაშკარავდა იაპონიასთან ომის დროს, აი ყველა ამან დააჩქარა 1905 წლის დასაწყისში რევოლუციონური გამოსვლები.

როგორი იყვნენ რევოლუციის მამოძრავებელი ძალები, როგორმა სოციალურმა ფენებმა მოამზადეს ნიადაგი რევოლუციის განვითარებას? ჩვენ ვიცით, რომ ერთის მხრით იდგენ მეფის მთავრობა, მემამულეები და ბურჟუაზია. ამათ ხელში იყო მთელი ძალა-უფლება, ესენი ატრიალებდენ მთელ სახელმწიფოს და მას გასაქანს არ აძლევდენ.

მეორე მხრით იყო მრავალ-რიცხოვანი გლეხობა, ყოველ მხრივ შევიწროვებული და დაბეჩავებული, შევიწროვებული პოლიტიკურათაც და ეკონომიურათაც. გლეხობას კისერზე ჰქონდა დადებული დიდძალი ხარკი, ის იხდიდა აგრეთვე დიდძალ სახელმწიფო გადასახადს. მიწა კი გლეხს ძლიერ მცირე ჰქონდა. თავის თავად ცხადია, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფი გლეხობა თავის მტერს ვერასოდეს ვერ შეურიგდებოდა და ის ყოველთვის მტერი იქნებოდა არსებულ წესწყობილების. ეს ასეც მოხდა. გლეხობას შეურიგებელი პოზიცია ეკავა მემამულეებთან და სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში. გლეხობა რევოლუციონურ გზას დაადგა.

შეიძლებოდა თუ არა, რომ გლეხობა რევოლუციონურ ბრძოლებში მეთაური გამხდარიყო? ჩვენ ვიცით, რომ დასავლეთ ევროპამ მოგვცა რამდენიმე მაგალითი, როდესაც ეს შესაძლო შეიქნა, მაგრამ რუსეთში ეს არ მოხდა. არ მოხდა იმისათვის რომ აქ უკვე იყო მეორე კლასი, სახელდობრ მუშათა კლასი, რომელმაც თავის ხელში აიღო რევოლუციის მეთაურობა.

რუსეთის მუშათა კლასი, არამც თუ მომზადებული იყო იმისათვის, რომ რევოლუციაში აქტიური მონაწილეობა მიეღო, არამედ მას წილად ხვდა სათავეში ჩასდგომოდა, მიეღო თავის თავზე რევოლუციის მეთაურობა და დაემთავრებია ბურჟუაზიული რევოლუცია.

დასავლეთ ევროპაში ბურჟუაზიული რევოლუციების სათავეში ჩვენ ვხედავთ ბურჟუაზიას. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ აქაც სხვისი ხელით აკეთებდა ბურჟუაზია საქმეს. ის იხმარდა გლეხობას, წვრილ ხელოსნებს და შემდეგ მათი გამარჯვებით თვითონ სარგებლობდა, რუსეთში კი ჩვენ არაფერ ამდაგვარს არ ვხედავთ.

რასაკვირველია, ეს შემთხვევითი მოვლენა არაა, ამას აქვს თავისი მიზეზები. ჩვენში რევოლუციამ რამდენიმე ათი წლით დაიგვიანა. ამ დაგვიანებამ აქამდე მიგვიყვანა, რომ ბურჟუაზია აქ არამც თუ რევოლუციის მეთაური არ იყო, პირიქით მან რევოლუციის გამცემლის როლი შეასრულა. ამასაც თავისი მიზეზები აქვს. ჩვენი ბურჟუაზია ახალგაზრდა იყო. 1905 წელში ეს ბურჟუაზია არ შეიძლებოდა რევოლუციონური ყოფილიყო, მას გვერდში უდგა ახალგაზრდა პროლეტარიატი, თუმცა მცირერიცხოვანი, შედარებით ჩამორჩენილი, მაგრამ ის არ იყო გარყვნილი ბურჟუაზიულ იდეოლოგიით. ბურჟუაზია შეიძლება კიდევაც იყო ბურჟუაზიულ გადატრიალების მომხრე ბურჟუაზიულ რესპუბლიკის მომხრე, მაგრამ როდესაც ის ხედავდა აქვე შეკავშირებულ პროლეტარიატს, ეს გავლენას ახდენდა მასზე და ის უთანხმდებოდა თვითმპყრობელობას და შემოეფარებოდა. თუ ხანდახან ბურჟუაზია ოპოზიციონურათ გამოდიოდა, მხოლოდ იმისთვის, რომ წითელი საფრთხით დაეშინებია თვითმპყრობელობა.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ 1905 წლის რევოლუციის ბურჟუაზიულ ხასიათზე, აქ საჭიროა შესწორების შეტანა. ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ 1905 წლის რევოლუცია არ ყოფილა დანარჩენ ქვეყნების ბურჟუაზიული რევოლუციების ასლი; ის განსხვავდებოდა მით, რომ აქ მონაწილეობას იღებდა და მეთაურობდა რევოლუციას პროლეტარიატი.

რა იყო 1905 წლის რევოლუციის ბრძოლის საფუძველი? გაფიცვები. საერთო გაფიცვა, რომელსაც მიმართავდა რევოლუციონური პროლეტარიატი. 1905 წ. მოიპოვა უფლება ბრძოლის ამ იარაღმა.

მეორე დამახასიათებელი თვისებათ უნდა ჩაითვალოს საბჭოები, ზევრს 1905 წელში გარკვეული შეხედულობა არ ჰქონდა საბჭოებზე. ჩვენ კი, ბოლშევიკებს საბჭოები მიგვაჩნდა აჯანყების ორგანოთ, რევოლუციონურ ხელისუფლებისა და რევოლუციის ხელმძღვანელ ორგანოთ.

საზოგადოების სხვა ფენებიდან უნდა მოვიხსენიოთ ინტელიგენცია. ჩვენი ინტელიგენციის თვალსაჩინო ნაწილი მხარს უჭერდა რევოლუციას, თუ მივიღებთ მხედველობაში ინტელიგენციის მაშინდელ ეკონომიურ მდგომარეობას, ეს არც გასაკვირია. აქ მეფობდა უცხო კაპიტალი, რომელიც ჩვენს ინტელიგენციას არ აძლევდა მაინცდამაინც ხელგაშლილ სამუშაოს. ამიტომ ის მხარს უჭერდა რევოლუციას. მაგრამ ინტელიგენცია ყოველთვის მერყევი და არასაიმედო იყო. როგორც კი დამარცხდა 1905 წლის რევოლუცია და რეაქცია დადგა, მან ზურგი შეაქცია რევოლუციას და ლიკვიდატორულ გზას დაადგა. ასე მოუვიდათ მენშევიკებს, ესერებს და სხვ.

უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: რომ არ გვქონოდა 1905 წელი არ იქნებოდა არც 1917 წელი. ჩვენი რევოლუცია, ოქტომბრის რევოლუცია ჩვენ მივიღეთ როგორც 1905 წლის გენერალური რეპეტიცია.

1905 წლის რევოლუცია იწყებს ახალ ეპოქას, საზღვარს სდებს ბურჟუაზიულ და პროლეტარულ რევოლუციის შორის.

1905 წლის რევოლუციაში ჩვენ გვქონდა დასაწყისი მუშისა და გლეხის იმ კავშირისა, რომელიც დღეს გვაქვს. თუ ჩვენ მაშინ დავმარცხდით, იმიტომ დავმარცხდით, რომ ეს კავშირი არ გამოდგა მაგარი, გლეხობა დაქსაქსული იყო, არ იყო შეკავშირებული და ბოლომდი ვერ დაუჭირა მხარი მუშათა კლასს.

ჩვენ დღეს შეგვიძლია ვსთქვათ, რომ 1905 წლის გენერალურ რეპეტიციის გარეშე—ოქტომბრის რევოლუცია არ იქნებოდა.

პარტუჯრედი და საწარმოო თათბირები

უკანასკნელ ხანებში, მოხდა საწარმოო თათბირების რეორგანიზაცია, ძველის ახალი მეთოდებით შეცვლით.

საწარმოო თათბირების მუშაობა, თუ ამ ახალი მეთოდებისადმი იქნება ფრთხილი და სწორი მიდგომა, უეჭველია გამოაცოცხლებს, მხოლოდ ეს არ მოხდება ერთი დაკვრით, არამედ თანდათანობით.

მთავარი მომენტი ახალი მეთოდებისა მდგომარეობს იმაში, რომ, თუ წინეთ თათბირებში მუშაობა ხდებოდა არჩევით, დავალებით, ამის ნაცვლად შემოღებულია ნებაყოფილობითი წესი, ე. ი. მსურველნი ეწერებიან თათბირებში და ღებულობენ მონაწილეობას მის მუშაობაში. ასეთი წესი ცხადია მიზნად ისახავს თათბირების მუშაობაში ფართო მასების ჩათრევას.

მთელი სიმძიმე ამ მუშაობისა, უნდა იკისრონ უჯრედთა ბიუროებმა. მთელმა უჯრედმა და კომკავშირმა. პარტიისა თუ კომკავშირის თვითეულმა წევრმა ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ამოცანათ უნდა დაისახოს უპარტიო მუშებსა და სპეცებს შორის ფართო აგიტაციის წარმოება საწარმოო თათბირებში ჩათრევისა და გამოყენების მიზნით. საჭიროა აგრეთვე პროფორგანოები მუდმივათ ღებულობდენ მონაწილეობას თათბირების მუშაობაში წარმომადგენლის დასწრებით, ამ რიგათ უფრო გამტკიცდება ხელმძღვანელობა პარტიისა უპარტიო მასებზე და კავშირი მათშორის, შედეგათ კი მოგვცემს ჩვენი საწარმოო თათბირთა მუშაობის გახალისება-გაფართოებას, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი მრეწველობის უფრო დიდი ნაბიჯით წინსვლას.

ბ. ბუჯიაშვილი.

დავრაზმოთ საშუალო და ღარიბი გლეხები

საქართველოს კომპარტიის მე-4 ყრილობაზე ამხ. ფ. მახარაძემ თავის მოხსენებაში სოფლათ მუშაობაზე სხვათა შორის სთქვა, რომ საჭიროა გავაძლიეროთ მუშაობა ღარიბ და საშუალო გლეხობაში და დაუპირდაპიროთ ისინი შეძლებულ გლეხებს.

უნდა ითქვას, რომ ამ საკითხს ჩვენში არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება, და ჩვენი სოფლის მომუშავეებს არცა ჰქონდათ ამ მხრივ გარკვეული აზრი. ზოგიერთი ამხანაგების აზრით ჩვენში კულაკები სრულიად არ არიან; რა კულაკები, რის კულაკები, რუსეთში კი არ ვცხოვრობთ. ზოგიერთი ამხანაგები კი ჯოხს მეორე მხრით ხრიან, ნამეტანს შვრებიან —ყველგან კულაკები ელანდებათ. საკმარისია გლეხს უღელი ხარი ეყოლოს და ორი ქცევი მიწა ქონდეს, რომ ის მაშინვე კულაკათ მონათლონ.

ორივე ეს შეხედულობა ჩვენთვის სრულიად მიუღებელია. არა იმდენი, რამდენიც რუსეთში, ან უკრაინაში, მაგრამ ჩვენში კულაკები მაინც არიან, და ისინი ამ ბოლო დროს ამოძრავდენ. ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა განმტკიცდა, აყვავების გზას დაადგა სოფლის მეურნეობაც, ქვეყნის საერთო დოვლათი გაიზარდა. ამან გამოიწვია საზოგადოების სხვადასხვა ფენების ამოძრავება, გამოცოცხლება. მუშათა მასების აქტივობამ იმატა; გამოფხიზლდენ საშუალო და ღარიბი გლეხებიც. ცხადია, ამ საერთო საზოგადოებრივ მოვლენას არც კულაკები ჩამორჩენ და ისინიც ამოძრავდენ. ისინი უსათუოდ შეეცდებიან ღარიბ და საშუალო გლეხობაზე გავლენის მოხდენას, ამ უკანასკნელთა ჩვენგან ჩამოშორებას, სოფლის ორგანიზაციების ხელში ჩაგდებას და საერთო მუშაობაში ხელის შეშლას. გლეხურ უჯრედების გადამსინჯავ კომისიის წევრი ამხ. ლომიძე ამის შესახებ თავის უშუალო დაკვირვებიდან ადგილობრივათ შემდეგს სწერს ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში: „ზოგ შემთხვევაში კულაკები გავლენას ახდენენ უპარტიო გლეხებზე და მათი საშუალებით ცდილობენ გასვარონ და გალანძღონ პარტიის წევრები“.

როგორი უნდა იყვეს ჩვენი გეზი მათ მიმართ? აქ ძალდატანებას, რასაკვირველია, ადგილი არ უნდა ქონდეს. ჩვენი სოფლის უჯრედებმა გაორკეცებული ენერგიით უნდა მოჰკიდონ ხელი ღარიბ და საშუალო გლეხებში მუშაობას. მათი შეგნება უნდა ავსწიოთ და ისინი ჩვენი პარტიის სრული გავლენის ქვეშ დავაყენოთ, ღარიბები და საშუალო გლეხი ჩვენი მთავარი დასაყრდენი ძალა უნდა გახდეს სოფლათ. ამ ორი ძალის საშუალებით უნდა განმტკიცდეს ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების მდგომარეობა სოფლათ; ესენი უნდა ჩავაბათ საბჭოებში, გლეხკომებში, კოოპერაციაში და სოფლის სხ. საზოგადოებრივ ორგანიზაციებში: ორი შეკავშირებული ძალა ღარიბი და საშუალო გლეხი უნდა დაუპირდაპიროს კულაკებს და გავაცალკევოთ ისინი.

აქ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ არავითარ ძალდატანებას ზევიდან, არავითარ ადმინისტრატიულ ჩარევას ადგილი არ უნდა ქონდეს. ასეთ ზომებს ჩვენი პარტია დღეს არ საჭიროებს. საჭიროა მხოლოდ სწორი მუშაობა ღარიბ და საშუალო გლეხებში და მთელი სოფელი ჩვენი იქნება. ჩვენი სოფლის უჯრედები ამას ადვილათ შესძლებენ.

კენჭი.

წერილები ადგილებიდან

თბილისის წყალსადენის კომუჯრედის 3 წლის თავზე

პირველ დეკემბერს წყალსადენის კომუჯრედს შეუსრულდა სამი წლის თავი.

კომუჯრედის დაარსებამდი წყალსადენის სახელოსნოებში გამეფებული იყო ნაციონალისტური სული, იდეურათ გაბატონებული იყვნენ მენშევიკები, შრომის ნაყოფიერება მცირე იყო, მუშებისათვის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე არავინ ზრუნავდა. თუმცა არსებობდა ადგილკომი, მაგრამ მხოლოდ ქაღალდზე.

1922 წლის 1 დეკემბერს დაარსდა კომუჯრედი, რომელმაც ხელი მოკიდა წყალსადენში საქმის მოწესრიგებას.

კომუჯრედმა ძირიან ფესვიანად აღმოფხვრა ნაციონალისტური სული. შრომის ნაყოფიერება კომუჯრედის მეცადინეობით თანდათან უმჯობესდება. სათანადო ყურადღება ექცევა მუშების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას და მათში აღმზრდელობითი მუშაობის წარმოებას.

დაარსების პირველ დღეს კომუჯრედში ითვლებოდა მხოლოდ 3 წევრი. დღეს კი არსებობის სამი წლის თავზე უჯრედში ითვლება რამოდენიმე ათეული საუკეთესო რევოლუციონერი მუშა, რომლებიც ლენინიზმის დროშის ქვეშ განაგრძობენ ჩვენი აღმშენებლობის და ძლიერების განმტკიცებას.

გაუმარჯოს, კომუჯრედის სამი წლის თავს! გაუმარჯოს რ. კ. პ. გაუმარჯოს იმ ამხანაგებს, რომლებმაც პირველათ ჩაუყარეს საძირკველი წყალსადენის კომუჯრედს.

მუშა ნ. ფირიაშვილი.

ცაგერის კომუჯრედის ღია კრება

ამ რამდენიმე ხნის წინეთ მოხდა ქ. ცაგერის უჯრედის ღია კრება, რომელზედაც უპარტიოებიც დაესწრენ. სხვა საკითხებთან ერთად დასმული იყო საკითხი აგრომუშაობის შესახებ. მოხსენება გააკეთა მაზრის აგრონომმა, რის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელიც გაგრძელდა 3 საათს. საყურადღებოა ერთი გლეხის ჰკუამახვილი შენიშვნა, რომელიც ამბობს, „ჩვენმა აგრონომმა, როგორც ეშმაკი მჭედელი ლამაზად გამჭედილ უვარგისო ნაჯახს გაასაღებს კარგ ფასში, ისე მოინდომა გაესაღებინა მისი უსაქმო ლამაზი მოხსენება“-ო. კამათმა გამოარკვია, რომ აგრო-დახმარებას ლეჩხუმის მაზრაში დიდი ნაკლოვანებები აქვს. აგრონომი ეჭყობა აგრონომის მოვალეობას სრულებით არ იცნობს. ის მხოლოდ ადმინისტრატიულ ფუნქციებს ანიჭებს აგრონომს, იჯდეს ერთ ადგილზე და შემდეგ იძლეოდეს განკარგულებებს. როდესაც შეეკითხნენ აგრო-პროპაგანდის მნიშვნელობაზე სთქვა: სამეურნეო მუშაობის სეზონში გლეხს სალაპარაკოდ არ სცალია, ზამთარში კი საუბრებს პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვსო. ასე რომ ჩვენი აგრონომი აგრო-პროპაგანდას სრულებით არ სცნობს საჭიროდ.

კრებამ გამოიტანა რეზოლუცია, რომელიც აგრო-მუშაობას ლეჩხუმის მაზრაში არადამაკმაყოფილებლად სცნობს.

გლეხკორი ი.

ქალთა შორის

ქალთა ორგანიზაციის მუშაობა

(ბორჯომის რაიონი)

ბორჯომის რაიონში დაარსებულია 7 ქალთა სადელეგატო ინსტიტუტი, რომელიც აერთიანებს 212 დელეგატ ქალს, სადელეგატო ინსტიტუტები დაარსებულია შემდეგ სოფლებში: 1. ბორჯომ-ბალში, 2. მუშათა უბანში, 3. ახალდაბაში, 4. ბაკურიანში, 5. წაღვერში, 6. სოფ. ყვიბისში და 7. სოფ. დვირში. დელეგატებათ გაყვანილი არიან მუშა და გლეხი ქალები.

ქალთა ორგანიზაციას გაცილებით უფრო მეტი სიცოცხლე და გამოფხიზლება ეტყობა შედარებით გასულ წლებთან. ბორჯომის ქალთა ორგანიზაციამ თავის ინიციატივობით დაარსა საბავშვო ბაღი, სადაც მუშაობა კარგათ მიმდინარეობს; გახსნა აგრეთვე ჭრა-კერვის არტელი, სადაც უფასოდ სწავლობს 15-ი სოფლის ახალგაზრდა ქალები, გახსნილია აგრეთვე საბეჭდავი მანქანის კურსები, სადაც უმუშევარი ქალები მიიღებიან უფასოდ.

ქალთა ორგანიზაციამ გაიღო აგრეთვე ბუფეტი, სადაც მუშაობენ უმუშევრათ დარჩენილი ქალები. ამ ცოტა ხნის წინათ ორგანიზაციამ გამართა საღამო, რომლის შემოსავლით გამოსყიდულ იქნა ორი საკერავი მანქანა ჭრა-კერვის არტელისათვის, ბორჯომის ქალთა ორგანიზაციიდან მიმაგრებული არიან ქალები სხვადასხვა სოფლებზე, რომლებიც მიდიან სოფლის ქალებში და უკეთებენ მათ მოხსენებებს და მათ აცნობენ დღევანდელ ყოფა-ცხოვრებას გასაგებ და მდაბიო ენაზე.

ქალთა ორგანიზაციას აქვს აღებული შეფობა სოფ. ყვიბისზე, სადაც ხშირად იწვევენ კრებებს და შეძლებისდაგვარად დახმარებასაც უწევენ, ორგანიზაციას მოსდის ცეკის ქალთა განყოფილებიდან 100 ცალი ჟურნალი „ჩვენი გზა“. წერა-კითხვის უცოდინარი დელეგატ ქალებ შორის არ მოიპოვებიან. დელეგატი ქალები გაყვანილნი არიან სხვადასხვა კომისიებში, სადაც ქალები მონაწილეობას იღებენ ყოველგვარ საქმეების გარჩევაში, ამ ორგანიზაციას დახმარებას უწევენ ადგილობრივი დაწესებულებები, როგორიც არის ადგილობრივი პარტკომი, აღმასკომი და სხვა.

ორგანიზაცია დღეს ავტორიტეტით სარგებლობს. ორგანიზაციაში ამორჩეული არიან დელეგატებათ ავტორიტეტიანი ქალები, რომლებიც დაუზარებლათ ასრულებენ ორგანიზაციის მიერ დავალებებს.

სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ დელეგატებათ თითქმის სულ არ არიან ამორჩეული კომუნისტების ცოლები და არც არავითარ მონაწილეობას არ იღებენ ორგანიზაციის მუშაობაში. ეს საკითხი თითქმის გამოურკვეველია, და ასეთი გამოყოფა მათი ორგანიზაციიდან სხვა ქალებში ბადებს გულგრილობას საქმისადმი და გამოურკვევლობას.—სასურველი იქნებოდა, რომ თვით პარტიულ ამხანაგებს მიექცია ამ გარემოებისათვის ყურადღება და თავიანთი ცოლები ჩაებათ ქალთა ორგანიზაციულ მუშაობაში.

ქალ-კორი.

1926 წ. მიიღება ხელისმოწერა 1926 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოზე

ყოველდღიურ დიდ პოლიტიკურ გაზეთ

„კომუნისტზე“

(გამოდის ყოველდღიურათ ექვსი გვერდი, კვირაობით რვა გვერდი)

1926 წლის განმავლობაში „კომუნისტი“-ს ხელისმომწერლებს დაურიგდებათ შემდეგი

უფასო დამატებები

1. „კომუნისტი“-ს ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი „დროშა“ იუმორისტული განყოფილებით.
2. „კომუნისტი“-ს ორკვირეული დამატება „მეცნიერება და ტეხნიკა“.
3. ლ. მ. კ. „როგორ არის აშენებული რ. კ. პარტია“.
4. ბ. გორევი „ტომას მორიდან ლენინამდე“.
5. ე. ნინოშვილის მოთხრობები—ტომი მეორე,—სახელგამის გამოცემა, 485 გვ. მდიდრად დასურათებული.

შინაარსი:

მიხა ცხაკაია—ეგ. ნინოშვილის თხზულებათა სრული გამოცემის გამო.

მოთხრობები:

1. პარტახი
2. განკიცხული ოჯახი
3. მონადირე
4. განკარგულება
5. მოსე მწერალი
6. ჩვენი ქვეყნის რაინდი
7. ცოლი და ქმარი
8. ხხვამ რაც უნდა ხთქვას
9. სოფლის გმირები
10. გურიის ამბები
11. წერილები დადესტნიდან
12. უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის
13. ძველი დავა
14. სიზმარი
15. ვარიანტები
16. კერძო მიწერ-მოწერა
17. ინგორუყუს გვარეულობა
18. ბიბლიოგრაფია
19. ლექსიკონი

დამატებები შემდეგნაირად განაწილდება:

ყველა (თვიურიდან დაწყებული) ხელისმომწერლებს დაურიგდებათ უფასოთ:

„დროშა“ თვეში ორი ნომერი და „მეცნიერება და ტეხნიკა“ თვეში ორი ნომერი

სამი თვის ხელისმომწერლებს
რომლებიც წინდაწინ შემოიტანენ ხვედრ ფულს,
მიეცემათ:
1. ლ. მ. კ. „როგორ არის აშენებული რ. კ. პარტია“
2. „დროშა“ თვეში ორი ნომერი
3. „მეცნიერება და ტეხნიკა“ თვეში ორი ნომერი

ექვსი თვის ხელისმომწერლებს
რომლებიც წინდაწინ შემოიტანენ ხვედრ ფულს,
მიეცემათ:
1. ბ. გორევი—„ტომას მორიდან ლენინამდე“
2. ლ. მ. კ. „როგორ არის აშენებული რ. კ. პ.“ 114 გ.
3. „მეცნიერება და ტეხნიკა“ თვეში ორჯერ
4. „დროშა“ თვეში ორჯერ

ერთი წლის ხელისმომწერლებს, რომელნიც წინდაწინ შემოიტანენ ხვედრ ფულს მიეცემათ:
1. ეგნატე ნინოშვილის მოთხრობები ტომი მე-2 (ზემოთ მოყვანილი შინაარსით)
2. „მეცნიერება და ტეხნიკა“ თვეში ორჯერ
3. „დროშა“ თვეში ორჯერ.

გაზეთი ეღირება

მუშა-მოსამსახურეებისათვის, გლეხებისა, წითელარმიელებისა და მასწავლებლებისათვის თბილისში და პროვინციაში გაგზავნით

1 თვით	99 კ.
2 „	1—70 „
3 „	2—60 „
4. თვით	3—50 კ.
5. „	4—50 „
6. „	5—40 „

ერთი წლით 10 მ. 50 კ.

ყველა დანარჩენებისათვის თბილისში და პროვინციაში გაგზავნით

1 თვით	1—20 კ.
2 „	2—30 „
3 „	3—50 „
4 „	4—50 „
5 „	5—60 კ.
6 „	7—20 „
1 წლით	14—50 „

საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებში გაგზავნით 1 თვე—1 მან. 50 კაპ.

უცხოეთში	1 თვე	1 დოლარ ნახევარი
„	3 „	4 „ „
„	6 „	8 „ „

სოციალური დაზღვევა

პენსია შრომის ინვალიდებისათვის

სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს უკანასკნელმა ბრძანებამ დაადგინა, რომ შრომის ინვალიდებს პენსია დაენიშნოს არა სამკურნალო საკონტროლო კომისიის მიერ ამა თუ იმ პირზე ინვალიდობის ცნობის დღიდან, არამედ იმ დღიდან, როცა ინვალიდობა დადასტურებული და დამტკიცებული იქნება სამკურნალო ექსპერტიზის ბიუროში.

ის დაზღვეულნი, რომელთაც ინვალიდობა დასჩემდათ შრომის უნარის დროებით დაკარგვის პროცესში, შრომის უნარის დროებით დაკარგულთა დახმარებიდან მექანიკურად გადაირიცხებიან პენსიაზე.

პენსიები მასწავლებლებისათვის

სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს დადგენილებით, დავალიანება მასწავლებელთა მიმართ ძველი დროის ნამსახურობისათვის პენსიის გადახდის საქმეში დაფარული იქნება სავსებით და მასწავლებლებს მიეცემათ პენსია ძველი ნამსახურობისთვისაც.

სამკურნ. დახმარება.

სოციალური დაზღვევის სამმართველო ამ მოკლე ხანში შეუდგება იმის გამოკვლევას, თუ როგორ არის დაყენებული ამიერკავკასიის სოფლებსა და ქალაქებში დაზღვეულთათვის მედიკური დახმარების საქმე, გამოკვლევა შეეხება როგორც ცენტრალურ ქალაქებს, ისე მაზრებს.

გამოკვლევის დასრულების შემდეგ თბილისში მოწვეული იქნება თათბირი დაზღვეულთათვის მედიკური დახმარების საკითხების მოსაწესრიგებლად.

პროფესიონალურ ავადმყოფობათა შესწავლა.

თბილისის დაზღვევა სალაროს პრეზიდიუმმა დაადგინა მოიწვიოს თათბირი, რომელიც გაარჩევს საკითხს პროფესიონალურ სნეულებათა შესწავლის შესახებ.

ავადმყოფების გაგზავნა საზამთრო აგარაკებზე.

დაზღვეულთა მეორე ჯგუფი, რომელიც საკურორტო მკურნალობას საჭიროებენ გაიგზავნება ქობულეთში 1926 წლის პირველ იანვრიდან.

საზოგადო სამუშაოები აჭარაში

ახლო ხანში მოეწყობა განმეორებით საზოგადო სამუშაო ქობულეთის ჭაობების ამოსაშრობათ და არხების გასაწმენდათ. პირველ ხანებში სამუშაოზე იმუშავებს 150 კაცი, განზრახულ სამუშაოების შესასრულებლად ჯერ-ჯერობით გადადებულია 50.000 მანეთი.

რკინის გზებზე

ბრძოლა ბოროტმოქმედებათან

გზათა-მიმოსვლის კომისარიატის ამიერ-კავკასიის რწმუნებულის სამმართველოსთან შესდგება საუწყებათაშორისო თათბირი, რომელსაც დაესწრენ წარმომადგენლები: საქართველოს იუსტიციის სახ. კომისარიატის, ა.-კავკ. შრომის კომისარიატის, ა.-კ რკ. გზ. სამმართველოსი, ამ.-კავკ. რკინისგზელთა პროფ. კავშირის და ამ.-კავკასიაში გზათა-მიმოსვლის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს წარმომადგენელი.

თათბირზე დასმული იყო გასარჩევად საკითხი, დისციპლინარული დასჯის შესახებ სამსახურში ჩადენილ ბოროტმოქმედებისათვის.

რკინის გზების წარმომადგენლის ამხ. დემიდოვის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სასამართლოები, ვინაიდან მუშა-მოსამსახურეების მხრივ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში სამსახურის დროს ვერ ხედავენ სისხლის სამართლის დანაშაულს,—საქმეებს, უკანვე უბრუნებენ დაწესებულება-წარმოებებს, რომლებმაც აღძრეს საჩივარი აღნიშნულ საკითხზე. უკანასკნელთ კი, თანახმად მოქმედი შრომის კანონმდებლობისა, შეუძლიათ დამნაშავეთა მიმართ მიმართონ დისციპლინარული ზომებს, როგორიცაა: საყვედურის გამოცხადება, გაზეთში გამოქვეყნება და სხვა. დამნაშავე მუშა-მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნა კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომის ხელშეკრულება იქნება დარღვეული და ისიც შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის სათანადო დასტურით. ამ გვარად იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ მთელი რიგი სამსახურის დროს ჩადენილ დანაშაულობათა ხელშეუხებელი რჩება კანონის მიერ.

მოხსენების შემდეგ თათბირმა დაადგინა, სთხოვოს გზათა-მიმოსვლის კომისარიატის რწმუნებულს ამიერკავკასიაში აღძრას შუამდგომლობა ამ.-კავკ. ფედერატიული რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოების წინაშე, რათა კანონმდებლობითი წესით დაარსებული იქნეს დისციპლინარული სასამართლოები უწყებებთან. ამ სასამართლოებმა უნდა განიხილონ საქმეები, რომლებიც სამსახურის დროს ჩადენილ დანაშაულთ შეეხებიან.

იმ დრომდე, სანამ ეს ღონისძიება იქნებოდეს გატარებული ცხოვრებაში, თათბირი მოითხოვს, რომ წინადადება მიეცეს სასამართლოებს, რათა აღნიშნული ხასიათის საქმეები განიხილოს, გამოიტანოს განაჩენი და არავითარ შემთხვევაში არ დაუბრუნოს უწყებას იგი განუხილველად.

ამ ორ ღონისძიებათა გატარებამდე კი წარმოება-დაწესებულებებს შეუძლიათ იმოქმედონ მხოლოდ არსებულ კანონმდებლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

კარგად უნდა ჩაუფიქრდენ მუშები მტერ-მოყვარეს

(მუშის პასუხი)

„საქმემან შენმა გამოგაჩინოსო“ ნათქვამია ძველად. სწორედ ეს ითქმის საქართველოდან გადახვეწილ ყოფილ მენშევიკურ მთავრობაზე.

რაც დრო და ხანი გადის, თანდათან ფარდა ეხდება მათ „მოღვაწეობას“ და მჟღავნდება ის „საქმიანობა“, რომელსაც აკეთებდნენ საქართველოს მშრომელი ხალხისთვის და ან რას ფიქრობენ დღესაც პარიზში და ლონდონში მოკალათებულნი.

დღემდის ბევრ გულუბრყვილი მუშას და გლეხს სჯეროდა, რომელნიც აღზრდილნი იყვნენ მენშევიკური ლოთაიებით, რომ ერთად-ერთი მხსნელი მშრომელი ხალხისა და ეროვნული ინტერესების დამცველი იყო მხოლოდ და მხოლოდ მენშევიკური მთავრობა. მაგრამ დღეს ყველასათვის აშკარა შეიქნა, (თუ ვინმე ძალათ არ დაიბრმავებს თვალებს), რომ მენშევიკებს მხოლოდ პარტიული ბატონობისთვის უბრძოლიათ ძველად და დღესაც არაფერს ზოგავენ, ოღონდ ძირი გამოუთხარონ საბჭოთა წყობილებას საქართველოში და კვლავ ჩაიბარონ სამინისტრო პორტფელები.

ამას, რასაკვირველია, ვერ მოესწრებიან, მაგრამ „ცდა ბედის მონახევრეაო“ და ამ ცდილობაზე დღესაც ხელს არ იღებენ. ჩვენ, მუშებმა, კარგათ ვიცით, რომ „ბატონობის“ დაკარგვა არც აგრე ადვილი საქმე არის და მის დასაბრუნებლად ყოველნაირ ღონისძიებას მიმართავდა ჟორდანია-რამიშვილის „მთავრობა“. მაგრამ ამას კი არ მოველოდით, რომ მშრომელი ხალხის „დამცველი“ და „ერის უფლებებისთვის მებრძოლი“ პარტიის ლიდერები დიდ მთავარ ნიკოლოზ-ნიკოლოზის ძეს დაუჩოქებდენ მოწყალების სათხოვნელად და მასთან დაიჭერდენ კავშირს საბჭოთა წყობილების დასამხობად.

ჟორდანია-რამიშვილის „მთავრობის“ კავშირი ყოფ. დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან და რუს შავრაზმელ მონარქისტებთან რის მაჩვენებელია? ან რას ფიქრობენ საქართველოს მშრომელი ხალხისთვის, რას უმზადებენ ჩვენი ერის თავისუფლებას?! ამას კარგათ უნდა ჩაუფიქრდეთ მუშები და გლეხები.

განა არ გვახსოვს ახლო წარსულში თვითმპყრობელობის რეჟიმი, რომელსაც ამტკიცებდენ დიდი მთავრები და მათი ამყოლ-დამყოლი შავ-რაზმელი მონარქისტები? განა მათი მძიმე უღელქვეშ არა გმინავდა რუსეთის მშრომელი ხალხი და მათთან ერთად ჩვენც არ განვიცდიდით წამებას?—მაშ, რას მოველით ეხლა იმათგან, რათ მიიღო ჟორდანიას „მთავრობამ“ დიდი მთავრისგან ათი ათასი ფრანკი?

ყველა ეს ადვილი გასაგებია ჩვენთვის. საზღვარ-გარეთ გახიზნულმა მენშევიკურმა „მთავრობამ“ ხელი აიღო ყოველგვარ პასუხისმგებლობაზე. ოღონდ ძირი გამოუთხაროს საქართველოს მშრომელი ხალხის ხელისუფლებას, ამ მიზნის მისაღწევად ის ყველა რეაქციონერებს უკავშირდება და მათი დახმარებით სურს ბატონობის დაბრუნება და ქართველი ხალხის „გაბედნიერება“...

ყოფ. დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზისძესაც სურთ მენშევიკების დახმარებით და თავის გარშემო შემოკრებილ შავრაზმელებით დააქციოს მშრომელი ხალხის ხელისუფლება რუსეთში და კვლავ აღადგინოს ძველი მონობა.

საერთო „მტრის“, ბოლშევიკების, წინააღმდეგ ყველა ერთად შეხმატკბილდა და დიდი განსხვავება აღარ არის დიდ მთავარსა, შავ-რაზმელი რუს მონარქისტებსა და მენშევიკებს შორის!..

მაგრამ ერთხელ და სამუდამოთ კარგად უნდა იცოდენ ჩვენმა მტერ-მოყვარეებმა, რომ დღეს ჩვენთვის ყველაფერი ნათელია და ერთად-ერთი მხსნელი, როგორც მშრომელი ხალხის, მუშების და გლეხების, ისე ყველა დაჩაგრული ერის არის საბჭოთა წყობილების განტკიცება მთელ მსოფლიოში.

საქართველოს მშრომელმა ხალხმა უკვე შეისისხლხორცა მუშურ-გლეხური ხელისუფლება და მას ადვილად ის არავის დაუთმობს. ვინც მოინდომებს ძალდობას, მას საკადრის პასუხსაც გასცემენ!..

უმჯობესია საქართველოდან გახიზნული ემიგრანტები შეურიგდენ ბედს. ხელი აიღონ ყოველნაირ შავ საქმეებზე.

ასოთ-ამწ. პ. ახალკაცი.

განათლების კომისარიატის საყურადღებოთ.

ცენტრალურ პედაგოგიურ ინსტიტუტში წელს პირველ კურსზე დაშვებულ იქნა გამოცდებზე დაახლოვებით 130 კაცი. გამოცდები ჩააბარა 43 კაცმა. მიმღებ კომისიის მიერ მიღებული იყო მხედველობაში სოციალური მდგომარეობა, თანახმად წარდგენილ საბუთებისა, სიღარიბის მოწმობებისა და აგრეთვე თუ როგორ ჩააბარა გამოცდები ამა თუ იმ პირმა. გამოცდების გარეშე დარჩენილებმა თხოვნით მიმართეს განათლების კომისარიატს, რათა გახსნილიყო პარალელური კურსები და ნაწილი მათგანი მიღებული ყოფილიყო. განათლების კომისარიატმა დააკმაყოფილა მათი თხოვნა, მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ არ მიეცემოდათ სტიპენდიები.

გახსნილ იქნა პარალელური კურსი და მიღებულ იქნა კიდევ 27 კაცი. განათლების კომისარიატს წინდაწინ ჰქონდა განსაზღვრული პირველ რიგში მიღებულ 43 კაცის დაკმაყოფილება სტიპენდიებით, რისთვისაც გაიღო სათანადო თანხა. ინსტიტუტში უკვე მიღებულია ორი თვის სტიპენდია, პირველ რიგში ახლად მიღებულ მსმენელების დასაკმაყოფილებლათ.

მაგრამ ერთი აურ-ზაური ატეხეს გამოცდების გარეშე მიღებულებმა, ეს მაშინ, როდესაც ისინი ხვეწნა-მუდარით განათლების კომისარიატს არ შორდებოდენ „ოღონდ მიგვიღეთო“ ჩვენ არ ვამბობთ იმას, რომ მეორე რიგში მიღებულნი მდიდრები არიან და მათ არ სჭირდებათ სტიპენდიები, მაგრამ თუ ჩვენ სახელმწიფოს ჯერჯერობით არ შეუძლია დააკმაყოფილოს ყველა ღარიბები, ამით ჩვენ მას ბრალს ვერ დავდებთ. ვერც ვერავინ იტყვის, რომ პირველ რიგში გამოცდების ჩაბარებით მიღებული ღარიბნი არ იყვნენ, ვინაიდან მიმღებ კომისიის მიერ განხილული იყო ის საბუთები, რომლებიც ადასტურებენ ამა თუ იმ პირის ვინაობას.

განათლების კომისარიატის განკარგულება, რომ პირველ რიგში გამოცდებით მიღებულნი რიცხვით 43 კაცი იქნეს დაკმაყოფილებული სტიპენდიებით, სრულიად კანონიერია და სამართლიანი, ამიტომ საჭიროა იგი იქნას სისრულეში მოყვანილი.

გარეშე.

სრული უწესრიგობაა!..

(სენაკის რკინის გზის სადგურზე)

სენაკის რკ. გზის სადგურზე რომ დიდი მოძრაობაა—ეს ცხადია, მაგრამ რომ იქ დიდი უწესრიგობაცაა—ესეც ცხადია.

დღეში ორჯერ გადის ფოთისა და თბილისის მიმართულებით სამგზავრო მატარებელი.

ამ დროს აქ უამრავი სრულიად უსაქმო ხალხი იყრის თავს. მათ არავითარი საქმე არა აქვთ. მაგრამ მაინც მოდიან და სეირნობენ...

მგზავრები კი სრულიად უხერხულ მდგომარეობაში არიან: მათ ხალხის სიმჭიდროვის გამო ძალზე უჭირთ ასვლა მატარებელზე. ხშირია კივილი, ჩხუბი, დავიდარაბა ასვლის დროს...

ამ უწესრიგობას ბოლო უნდა მოეღოს.

მუშკორი უჩა.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **მუშკოოპში ასეთ უხეშ მოხელეთ ადგილი არ უნდა ჰქონდეთ.** 11 დეკემბერს, საღამოს შვიდ საათზე მუშკოოპის დუქანში, აელაბარში პაპიროსის საყიდათ შევიდა სატრაქტორო კურსების მსმენელი მუშა ამხ. ავეტიკ ნავასაროვი. ნოქარმა და დუქნის გამგემ—გიქიანმა მუშას პაპიროსი არ მისცეს და ლანძღვა-გინებით და მუქარით გამოისტუმრეს იგი დუქნიდან.

მუშკორი კარგი.

— **სახლიც დალპა და ჩვენც დავიტანჯეთ.** პასაჟ კროშკაში სახლი № 1-ში ვცხოვრობთ მუშა-მოსამსახურეები. შენობაში არის მოთავსებული აბანო, რომლის მილები გაფუჭებულია, რის გამო წყალი გუბდება საცხოვრებელ ოთახების კედლებში. ეს გარემოება იწვევს საშინელ სინესტეს და ანეულებს მდგმურებს. სახლის პატრონი მის შეკეთებაზე სრულებით არ ფიქრობს.

საჭიროა ეს აბანო ან სულ გაუქმებულ იქნას, ანდა შეკეთდეს.

მოსამსახურე.

— **ადგილკომის მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად.** ამ დღეებში თერჯოლის 7 წლედში შესდგა თერჯოლის განათლებისმუშაკთა საერთო კრება, სადაც მოსმენილ იქნა ადგილკომის და ურთიერთ დამხმარე სალაროს ბიუროს მოხსენება მათი მუშაობის შესახებ.

ადგილკომის და ბიუროს მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო.

შემდეგ კრება ირჩევს დელეგატს სამაზრო კონფერენციაზე დასასწრებლად.

შემდეგ მოხდა ადგილკომის, ბიუროს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

გელია.

— **რადიო-მოყვარულებში.** თბილისში ბევრ ალაგას დაარსდა რადიომოყვარულთა წრეები, სადაც ჩაეწერა ბევრი ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურე. წრეთა რიცხვი და მათი წევრთა რაოდენობა დღითი-დღე იზრდება, ხოლო მათ ხელისშემწყობი ნაკლებად მოეპოვებათ. არა გვაქვს კარგი ზარის მიმღები აპარატები. კონცერტების გადაცემა შეწყდა და სხვა.

გამოასწორეთ ეს ნაკლი.

მუშკორი ი. ჯ.

წერილები სოფლიდან

ვინ სწვავს ტყეს

(წერილი თელავიდან)

ყველასათვის კარგად ცნობილია რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტყეს გლეხის მეურნეობისათვის. ტყე იძლევა პირველყოვლისა სააღმშენებლო და სათბობ მასალას, ტყე იცავს სოფელს წყალდიდობისა და გვალვისაგან, ტყე სწმინდავს ჰაერს და ხელს უწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობას, ტყე წარმოადგენს ჩვენი მთაგორების სილამაზეს და მშვენიერებას.

ცხადია, ამიტომ რა მოწიწებით და სათნოებით უნდა ეკიდებოდეს მოსახლეობა ბუნების ამ სიმდიდრეს. მიუხედავათ ამისა ადგილი აქვს ბევრ შემთხვევაში ტყეების დაუზოგავათ განადგურებას. ტყის დარაჯების არსებული რაოდენობა ვერ სწვდება ჩაბარებულ ტყის რაოდენობის მოვლას. მოსახლეობა კი ხშირათ არ იჩენს საჭირო გულშემატკივრობას და არა თუ ხელს უწყობს ტყის მტაცებლობისაგან დაცვას, არამედ ზოგჯერ თვით სჩადის ასეთ საქმეს.

მაგრამ ამ მოვლენას კიდევ რამდენადმე შეურიგდებოდა კაცი, რომ ტყეების დაცვას არ სდევდეს მეორე უბედურება. ესაა ცეცხლის სტიქია. ხანძარი ჩვენი ტყეების ხშირი სტუმარი შეიქნა. იქ, სადაც ცეცხლის ალი ედება ტყეს, სამუდამოთ ნადგურდება როგორც ძველი, ისე ახალშენი ტყე. „წითელი ხარის ნაძოვზე, ბალახი აღარ ამოდის“.

განსაკუთრებით გახშირდა ცეცხლი ტყეებში შემოდგზე და ზამთრის მიწურულში. ამ დროს გროვდება ტყეებში ხმელი ფოთოლი და გატიტვლებული ხის შტოებიც ადვილათ იზიდავს ტყეების ალს.

არის, რასაკვირველია, შემთხვევები, როცა ხანძარი ჩნდება მეხის დაცემით. მაგრამ ეს მეტისმეტად იშვიათი მოვლენაა. ტყის ხანძარი უმეტესათ კაცის ხელით ჩნდება. ადამიანი ანადგურებს ტყეს თავის შეუგნებლობით და დაუდევრობით.

მაგალითად გაივლის ვინმე მგზავრი ტყის პირათ. შესცივდება ან საგზალის შემზადება მოუნდება. დააღუზლუზებს ვეებერთელა ცეცხლს, გათბება, დანაყრდება და არხეინათ დაუდგება გზას. იშვიათად თუ შეიწუხებს თავს, რომ ცეცხლი ჩააქროს და დაკვერცხლილი მუგუზლები უყურადღებოთ არ მიატოვოს.

ისეთებიც არიან, რომლებიც განზრახ ხვევენ ტყეს ცეცხლის ალში. ესენია ღორის მწყესები. ზოგიერთი მათგანი სწვავს ტყეს იმ მიზნით, რომ ფოთლებით დაფარული რკო ან წაბლი მოიტრუსოს და ღორებს საჭმელი მოუძებნოს. არის შემთხვევები, ტყეს ედება ქარით გადმოტანილი ცეცხლი, როცა მახლობლათ ვინმე სწვავს ბუჩქნარს საყანე მიწის გასანთავისუფლებლათ.

ასეთი მდგომარეობა ყოვლად დაუშვებელია. ტყე სოფლის სიმდიდრე და დოვლათია. მასზე ბევრათაა დამოკიდებული გლეხის მეურნეობის ბედი. ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველივე ზომები, რომ ეს სიმდიდრე არ ნადგურდებოდეს ჩვენივე შეუგნებლობით. აქ გარდა ტყის დარაჯთა რაზმის გაძლიერებისა, საჭიროა თვით მოწინავე გლეხების საქმეში ჩარევა, საჭიროა ადგილობრივ ორგანიზაციების თვითმოქმედება, რომ თავიდან ავაცდინოთ სოფლის მეურნეობას ის დამბრკოლებები, რომელსაც უქმნის მას ტყის დაუზოგველათ განადგურება.

მოხევე.

რად მოხდა ეს?

(წერილი კახეთიდან)

ჯერ კიდევ 1924 წლის 20 აპრილის გაზ. „კომუნისტის“ ნომერში იყო წერილი, რომ მეღვინეთა ამხანაგობის „კავშირთ-კავშირის“ აგენტებმა ლამის სრული ნდობა დაუკარგონ გლეხობაში ამ სიმპატიურ დაწესებულებასო.

მაშინ ყურადღება მიექცა კორესპონდენტის ჩივილს, მოახდინეს რევიზია და მოქ. გიორგი პეტრუზაშვილი, რომელიც მხედველობაში ჰყავდა წერილის ავტორს, გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან.

ამ წელში გაზ. „ახალ სოფელში“ კიდევ სწერს ვინმე „შევრი“, რომ გურჯაანის რაიონიდან ზოგიერთებს განზრახვა აქვთ „კავშირთ-კავშირის“ წლიურ კრებაზე მოქ. გიორგი პეტრუზაშვილის კანდიდატურა წაუყენონ გამგეობის წევრობაზეო და აფრთხილებდა ამომრჩევლებს არ ჩაედინათ ეს.

მიუხედავათ ყველა აღნიშნულისა, ნოემბრის 14-ის კრებაზე მოქ. გიორგი პეტრუზაშვილი მაინც აირჩიეს „კავშირთ-კავშირის“ გამგეობის წევრად.

რას ნიშნავს ყველა ეს?

ნუთუ არავინ იცის პეტრუზაშვილის წარსული.

პეტრუზაშვილს მეტად მცირე მამული აქვს, ჯამაგირიც არ ჰქონდა დიდი, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, რამდენიმე კასრი ღვინო გაჰყიდა 1924 წელში. წლეულს მან დიდი მასალა დააგროვა სახლის ასაშენებლად (სახლი კი აქვს საცხოვრებელი) საიდან? ვინც კი სამსახურშია, ყველამ იცის, რა ძნელია ორიოდე გროშის გადარჩენა ყოველ-თვიურად და რაიმე გარეშე საქმეზე მოხმარება.

ეს საკითხი უთუოდ ყურადღების ღირსია. სანამ კიდევ გვიან არაა, პეტრუზაშვილს უნდა მიეჩინოს თავისი ადგილი.

პენატი.

უვარგისი სურათები

(ზუგდ. მაზრა)

ჩვენ მაზრაში მოძრავი კინო-სურათები თითქმის არ უნახავს. დრო-გამოშვებით ეწვეოდა სოფლებს ვინმე ფუტკარაძე დამტვრეული აპარატით და დაგლეჯილი ლენტებით. ის აწვდიდა ხალხს, სრულიად გალატაკებულს და უშინაარსო სურათებს მაგ. „ბანკირებისა“ და „მილიარდერების“ ყოფა-ცხოვრება, რომანი სერიებათ „პარიზელ მადამებზე“ და სხ.. აბა რაში უნდა გამოადგეს სოფელს ასეთი კინო-პროპაგანდა?

პირიქით, ასეთი სურათები, უკარგავს კინოს გლეხების თვალში ყოველივე მნიშვნელობას.

სადაა სურათი „არსენასი“, გლეხობისთვის საყვარელ გმირისა, სადაა „სურამის ციხე“, სადაც ნათლადაა დასურათხატებული გლეხობის აუტანელი მდგომარეობა ბატონყმობის დროს?..

ნუ თუ ყოველივე ეს სოფლისთვის არ არსებობს?.. ამ მხრივ მეტი ყურადღება ზუგდიდის მაზრას!

დიმი.

წერილებიდან

ქასხეთი (დუშ. მ.)

ავსაჯანაშვილი ავკაცობს. ახალწვეული ჯარისკაცები პირველათ გამოცხადდენ აღმასკომში. აქ თავმჯდომარე ავსაჯანაშვილმა სრულიად უმიზეზოთ სცემა ერთ ახალგაზრდას მიწაზე წაქცევით და წიხლების რტყმევით. როდესაც გაღიზიანებულ გლეხს გამოესარჩლა ამხანაგი, ავსაჯანაშვილმა იძრო რევოლვერი და იფრინა წინ შეგროვილი ხალხი. რომ ჩხუბში არ ჩარეულიყო ადგილობრივი მილიცია, საქმე უხიფათოთ არ გათავდებოდა.

სნოველი ქრუვიშვილი.

— დ. მესტია (სვანეთი)

ხერგიანი საქვეყნო პირია. მესტიის თემაღმასკომის თავმჯდომარე ხერგიანი ბევრჯერ იყო შენიშნული ქურდობაში. არა ერთხელ ყოფილა ოსეთში საქურდლათ, საიდანაც ჩამოურეკია ცხვრები, ცხენები და ძროხები. საჭიროა მაზრაღმასკომმა ამას ყურადღება მიაქციოს და დაუყოვნებლივ მოხსნას ქურდი თავმჯდომარე თანამდებობიდან.

ჩამოსული.

შუა-ქვალონი (ზუგდ. მ.)

აღმასკომი ყურწაგდებულია. გაზეთებში ბევრჯერ იყო ცნობა ადგილობრივ მოვაჭრეების ძმებ ბლანიების შესახებ, რომლებიც პროვოკაციას ეწევიან ხალხში და რომელთა დუქანიც აურ-ზაურის და ჟაღალ-მაყალის ადგილია. აღმასკომი კი ყურწაგდებულია. თითქოს არაფერი მომხდარიყოს. შეიძლება „კურთხეულ“ პურმარილის ძალა უფრო სჭრის აქ, ვიდრე გლეხკორის კალამი? საჭიროა გამორკვევა.

სანდაკია.

სუფსა (გურია)

ურუტაძე თავისას არ იშლის. გაზეთებში ბევრჯერ იყო მოთავსებული ცნობა სუფსის აფთიაქის გამგე აფრასიონ ურატაძის ლოთობის, კინკლაობის და სხვა უმსგავსოების შესახებ, მაგრამ ურატაძეზე ეს არ მოქმედობს. ამასწინათ მან ცემა მოუნდომა ე. მახარაძეს, რომელიც მას მიაწერა მის „გამბახებელ“ კორესპონდენტათ. აღმასკომი, როდის მოეღება ბოლო ურატაძის ურაობას?

ეკალი.

სოფ. ხორგა (ზუგ. მ.)

არა გვაქვს საექიმო დახმარება. ჩვენი სოფელი დაავადებულია ციებ-ცხელებით. არა გვყავს ექიმი და არა გვაქვს საექიმო პუნქტი. ხორგა დაშორებულია რაიონულ ექიმს 7—8 ვერსით, რაც საშუალებას გვისპობს ვისარგებლოთ რაიმე საექიმო დახმარებით.

პ—რია.

ს. ასურეთი (თბილ. მ.)

უპატრონო კლუბი. თითქმის ერთი წელია რაც არჩეულია ადგილობრივ კლუბის გამგეობა, მაგრამ ის უფრო ქაღალდზე არსებობს, ვიდრე საქმით. თემში ცხოვრობს 1.500 კაცი, კლუბში კი გაერთიანებულია 42 წევრი. კულტურული მუშაობა მოდუნებულია. ვიმედოვნებთ, რომ ასურეთის რაიონში ახლად დანიშნული პოლიტგანის გამგე მიაქცევს ყურადღებას კლუბის უმწეო მდგომარეობას.

გლეხკორი ა. მახოჯელი.

ს. ჭანიეთი (გურია)

ახალი თავმჯდომარე არ გამოგვადგა. გლეხკომის წინანდელი შემადგენლობა ენერგიულათ მუშაობდა და საქმეც კარგათ მიჰყავდა. მას შემდეგ, რაც აირჩიეს ტარიელ შავიშვილი, საქმე უკან წავიდა, ახალი თავმჯდომარე არაფის ხდის და ოჯახურ საქმეებზე ზრუნავს ანდომებს მთელ დროს. ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს.

დ. ჩოლოყასპირელი.

სოფლის ქრონიკა

— **მეთევზეობა.** ახალქალაქის აღმასკომს განზრახვა აქვს აკრძალოს მდინარეებში თევზაობა, თევზების მოშენების მიზნით.

— **წყალსადენი სოფლად.** სოფ. ბოდბის თოლაანთ უბნის გლეხებმა დაადგინეს საკუთარი ხარჯით შეუდგენ წყალსადენის გადაკეთებას.

— **სოფ. ყვიბის** (ბორჯ. ხეობა) გლეხებმა თავისი ძალებით შეაკეთეს ყველა სასოფლო გზები.

— **საფოსტო პუნქტები.** რაჭის აღმასკომმა შეადგინა იმ სოფლების სია, სადაც მოწყობილი უნდა იქნას საფოსტო პუნქტები.

ქრონიკა

25—26 დეკემბერი—დასასვენებელი დღეებია.

— შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, პარასკევი 25 დეკემბერი და შაბათი 26 დეკემბერი გამოცხადებულია დასვენების განსაკუთრებულ დღეებათ.

მუშაობა ამ დღეებში უნდა სწარმოებდეს შემდეგ წარმოება-დაწესებულებებში: წყალსადენი, ელექტრო-სადგურები, საავადმყოფოები, აფთიაქები, ტელეფონი, ტელეგრაფი და აგრეთვე ყველა იმ დაწესებულება-წარმოებებში, რომელთა შეჩერება არ შეიძლება მუშაობის წარმოების ხასიათის გამო.

— **რენტგენის კაბინეტი.** თბ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება შეუდგა (პლეხანოვის პრ. № 119) რენტგენის კაბინეტის მოწყობას.

— **სისუფთავის დასაცავათ.** თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა შემოიღოს საპარიკმახერო ხელსაწყოების სადეზინფექციო გაწმენდა.

— **ტრამვაის დირექციამ** შეიძინა 5000 ფ. ცემენტი ტრამვაის საჭიროებისათვის.

— **ტრამვაის ახალი ხაზი.** 20 დეკემბერს წყნეთის ქუჩაზე გაიხსნება ტრამვაის ორ ტოტიანი ხაზი.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში.

— **ტყის დაცვა.** მიწათმოქმედების კომისარიატმა ტყის დაცვის მიზნით ტყის მცველების შტატი გაადიდა 70 კაცით.

— **ტყის მოსაშენებლად** მიწათმოქმედების კომისარიატმა ახალქალაქის მაზრას გადაუგზავნა ფოთლიანი ჯიშის ხის თესლები.

სიღნაღის მაზრაში ტყის დამუშავების საკითხების მოსაწესრიგებლად მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა გაგზავნა სპეციალური კომისია.

სოციალური დაზღვევის სამმართველოში.

— **მუშათა საცხოვრებელ ბინების გამოკვლევა.** სოც. დაზღვევის სამმართველომ, გადასწყვიტა გამოიკვლიოს მუშათა საცხოვრებელ ბინების პირობები, მუშათა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

— **პენსიონერი მასწავლებელნი.** სოც. დაზღვევის სამმართველომ დაამტკიცა წელთა დამსახურების მიხედვით პენსიონერ-მასწავლებელთათვის დასარიგებელი წიგნაკების გეგმები.

— **საზამთრო აგარაკებზე.** სოც. დაზღვევის სამმართველომ ქობულეთის სანატორიუმში გაგზავნა 40 დაზღვეული ავადმყოფი, სოხუმში 30

— **დახმარება ომში დასახიჩრებულებს.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის კმაყოფიდან ომში დასახიჩრებულთა სოც. დაზღვევას კმაყოფაზე გადამრიცხავ კომისიაში დანიშნული არიან ამხ. ელბაქიანი, ყანჩელი და პოგინოვი.

ავიოქიმში.

— **საქ. ავიოქიმი.** ლენინგრადის სამხედრო-თეორეტიულ საავიაციო სკოლაში გზავნის 15 კაცს.

— **ავიოქიმის საქ. საზოგადოების** კრილობა, რომელიც მოწვეული იყო 20 დეკემბრისათვის, შესდგება გაზაფხულზე.

კრებები და მოხსენებები

— საქ. სამეცნიერო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში, პარასკევს, დეკემბრის 1-ს საღ 8-ს ჩვეულებრივ კრებაზე (საქ. მუზეუმის აუდიტორიუმი) მოხსენებას წაიკითხავს შ ამირანაშვილი: „ობისის კედლის მხატვრობა“. დასაწყისი საღ. 7 ს. კრება საჯაროა.

კრებები და მოხსენებები.

— **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს, საღამოს 6 საათზე, ამხ. ი. თალაქვაძე დაიწყებს კურსის კითხვას „მატერიალიზმზე“.

საღამოს 6 საათზე პიონერ ხელმძღვანელთა სემინარის მუშაობა. საღამოს 5 საათზე პროფწრის ამხ. ცინცაძის ხელმძღვანელობით.

— **გეოგრაფიულ საზოგადოებაში.** პარასკევს, დეკემბრის 18-ს, საღ. 7 ს. სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში დანიშნულია საქ. გეოგრაფიული საზოგ. პედაგოგიური განყოფილების კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნება პროფ. ალ. ჯავახიშვილის მოხსენება—„საქართველოს მორფოლოგიური დაყოფა“. მოხსენების გასაშუქებლად ნაჩვენები იქნება მრავალი სურათები და სქემები.

შემთხვევები

— **დაჭრა.** 15 დეკ. საღამოს 10 ს. შალიკო კიკნაძემ (სიხარულის ქ. № 28) რევოლვერით დაიჭრა თავი.

— **შეპყრობა.** 15 დეკ. შეიპყრეს მცირე წლოვანი ქურდი ივანე კიროლოვი.

— **დაშავება.** 15 დეკ. დილით ვლისაბედის და ხათუმის ქ. კუთხეში ავტომობილში, რომელშიაც მიწას სჭრიდა ავეტიქ სარქისიანცი, გადავარდა ურემი. მძიმეთ დაშავებული სარქისიანცი გადაგზავნილ იქნა საავადმყოფოში.

— **მკვლელობის განზრახვა.** 15 დეკ. დილის 10 ს. დუნდუროვის ქ. № 10 თავის ყოფილ ცოლის პროკოპენკოს ბინაში შეიჭრა გრიგოლი ქალის მოსაკლავად, მაგრამ ატეხილ ხმაურის გამო განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა და მიიმალა.

— **ქურდობა.** 15 დეკ. მე-2 სამილიციო რაიონში გაქურდეს მარიამ ახვლედიანის ბინა.

— **ჯიბგირობა.** 15 დეკ. ბაზარში ეკატერინე ვართანიანცს ჯიბიდან ამოაცალეს 15 მან. ჯიბგირი ტიგრან ბარსეგიანი შეიპყრეს.

ხელოვნება

სამხატვრო აკადემიაში

ახალი სახელოსნო

საქართველოს სამხატვრო აკადემიამ სახალხო კომისარიატის დახმარებით მოაწყო სამხატვრო-საკერამიკო სახელოსნო, უკანასკნელ დრომდე თბილისში არსებობდა კერამიკული სკოლა, სადაც ნაკლები ყურადღება ექცეოდა კერამიკულ ხელოვნების მხატვრულ მხარეს. წელს ეს სკოლა დაიხურა და მთელი მისი ქონება, სასწავლო ნივთები, იარაღები და მასალები, განათ. სახ. კომისარიატის განკარგულებით გადაეცა სამხატვრო აკადემიასთან მოწყობილ საკერამიკო—სამხატვრო სახელოსნოს. ამ უკანასკნელის ამოცანას შეადგენს გამოუშვას 8 მხატვარი კერამისტი სათანადო პრაქტიკული მომზადებით. სახელოსნოში იმუშავებენ სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, როგორც მხატვრობის ისე მოქანდაკობის დარგიდან. ახალგაზრდა მოქანდაკენი გაიწვრთნებიან კერამიკული ნივთების (სხვადასხვა ჭურჭლების) ფორმების გამომუშავებაში. ხოლო მხატვრები შეისწავლიან კერამიკული ნივთებისათვის ფერების შერჩევას.

სახელოსნოს მხატვრული ნაწილის ხელმძღვანელად მოწვეულია სახალხო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე.

სამხატვრო აკადემიამ ცეკავშირის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ამავე სახელოსნოსვე გადასცეს ცეკავშირის საკერამიკო სახელოსნოს ინვენტარი და მასალები.

სამხატვრო აკადემიას განზრახვა აქვს მოაწყოს გიპსის საკუთარი წარმოება. მოხდენილ იქნა რამოდენიმე ცდა გიპსის გამოწვისა, რასაც კარგი ნაყოფი მოჰყვა.

სახელმწიფო ოპერა

„კარმენ“

სანდრო ინაშვილის მესამე გამოსვლა.

მსახიობის გამოსვლას ესკამილიოს პარტიაში დიდი ინტერესით შეხვდა საზოგადოება ვინაიდან უკვე ცნობილია, რომ ეს პარტია ინაშვილმა იმღერა მადრიდის სახელმწიფო თეატრში და მადრიდის პრესამ აღნიშნა მსახიობის უდიდესი გამარჯვება ამ პარტიაში. სწორედ ამ გარემოებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რადგან, თუ ინაშვილმა ესპანეთში, ესკამილიოს სამშობლოში, წარმატებით შეასრულა ეს პარტია, მართლაც შესრულება ზედმიწევნით სწორი ყოფილა, უნდა ითქვას, რომ სრულიად საფუძვლიანია ცნობა მადრიდის საოპერო თეატრში მისი წარმატებით გამოსვლის შესახებ. ესკამილიოს პარტია შედარებით უფრო დასრულებულია, ვიდრე პირველ ორ გასტროლის დროს შესრულებული პარტიები. თუმცა ვერც ამ პარტიაში შეუძლია მსახიობს მოგვცეს სრული ვოკალური შესრულება, მაგრამ ეხლა უკვე ორი აზრი აღარ შეიძლება არსებობდეს იმის შესახებ, რომ მომღერალს აქვს საუცხოვო ხმა, რომლითაც მოხერხებულათ სარგებლობს.

როგორც უაღრესათ კულტურული მომღერალი, ინაშვილი მთელ თავის ყურადღებას აქცევს არა იმას, რათა მოგვცეს სიმღერის დროს რაც შეიძლება მაღალი ხმოვანება, არამედ იმას, რათა მღერაში მიაღწიოს სისრულეს. ამას ის კარგათ ახერხებს. ყველა ის ადგილები სადაც სჭარბობს ვოკალური მხარე (ტორეადორის კუპლეტები, დუეტი ხოზესთან მე-3 აქტში, და ფინალური დუეტი კარმენთან) საუცხოვო შთაბეჭდილებას სტოვებს. მსახიობი მღერის და ოდნავათაც არ აძლიერებს ხმას—მისი მიზანია მიაღწიოს სილამაზეს და არა ეფექტს. ყველაფერი ეს შედეგია კულტურული მუშაობის. გარეგნული შეხედულება ხომ უმწიკვლოა. მხოლოდ პირველ გამოსვლის დროს სასურველია ტემპერამენტის უფრო მკაფიოთ გამოხატვა.

პირველათ შეასრულა მიკაელის პარტია ვლადისლავსკაიამ. ახალგაზრდა მსახიობ ქალს ემჩნევა წარმატება, როგორც ვოკალურის, ისე სცენიურის მხრივ. მან უნდა მიაქციოს ყურადღება ხმის ტეხნიკით სარგებლობას მაღალ რეგისტრებში.

ვფიქრობთ, რომ მსახიობ კიპარენკო-დამანსკის მიერ ცუნიგების შესვლის დროს სამხედრო კომანდით სარგებლობა უადგილოა, მით უმეტეს, რომ ამას სრულიად არ შეაქვს ზედმეტი გამოცოცხლება.

პ. ხ.

ხელოვნების ქრონიკა

— **„სანახაობა“.** გამოვიდა და იყიდება ჟურნალი „სანახაობა“ № 7.

— **სანდრო ინაშვილი.** დღეს იმღერებს „დემონში“.

— **რუსთაველის თეატრში.** დღეს წარმოდგენილი იქნება ინტერესთა თამაში.

— **ჰამლეტი.** სამშაბათს, 22 დეკ., რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება ჰამლეტი მეორე შემადგენლობით. ჰამლეტის როლს შეასრულებს ვ. დავითაშვილი.

— **ცირკი ქუთაისში.** ამ დღეებში გაიხსნება ცირკი.

— **წარმოდგენა გერმანულ ენაზე.** ხვალ 18 დეკ. წითელ თეატრში ფ. შულცის გერმანულ სახალხო სცენაზე 35 წ. მოღვაწეობის აღსანიშნავად გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა.

დღეს კინოებში

— არფასტო—„თეთრი ობობა“.
— აპოლო—„ნიშანი ზორო“.
— სოლეი—„ინდოეთის აკლდამა“ მე-3 და მე-4 სერია.
— მინიონ—იგივე სერია.
— პალასი—„ქალი, რომელმაც გამოიგონა სიყვარული“.
— ოაზისი—„ინდოეთის აკლდამა“. (1 და 2 სერია).

გლეხთა სახლი ცხინვალში

სამხრეთ-ოსეთის ცაკმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის წინაშე გლეხთა სახლის აშენების შესახებ ქალ. ცხინვალში.

საგეგმო კომისიის სამრეწველო-სააღმშენებლო სექციამ შეიმუშავა გლეხთა სახლის ხარჯთ-აღრიცხვა 111,794 მანეთის რაოდენობით, რომელიც დასამტკიცებლად გადაეცა საგეგმო კომისიის პრეზიდიუმს.

წინასწარი მუშაობა გლეხთა სახლის ასაშენებლათ უკვე ერთი წელიწადია რაც სწარმოებს; ამორჩეულია სათანადო ადგილი, დამზადებულია სააღმშენებლო მასალა და სხვა.

წინასწარი მუშაობის საწარმოებლად სამხრეთ-ოსეთის ცაკმა შარშან ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატიდან მიიღო 75.000 მანეთი.

სამხრეთ-ოსეთის ცაკის მიერ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში წარმოდგენილ პროექტის მიხედვით, გლეხთა სახლი იქნება ორსართულიანი და მასში მოთავსებული იქნება თეატრი, კინო, საკონსულტაციო ოთახი, სამკითხველო, ბუფეტი, სასადილო და რვა ოთახი სხვადასხვა საჭიროებისათვის.

ამას გარდა, მთავარ შენობაზე მიდგმული იქნება ცალკე შენობები, რომლებშიაც მოთავსებული იქნება თავლა, აბანო, სადეზინფექციო კამერა და სხვა.

გლეხთა სახლის აგება დამთავრდება ორ წელიწადში.

საბჭოთა სასამართლო

ოქროს კბილები.

ხეიფულა კასიმოვი საკმაოდ ხელმომთბარი კაცი იყო, როცა ის გაუდგა გზას დერბენტიდან სოხუმამდე.

მის ქონებას შეადგენდა: 400 მანეთი ფული ოქროს საათი და მრავალი ოქროს კბილები.

რაღაც მიზეზების გამო რამოდენიმე დღით მას მოუხდა თბილისში გაჩერება. თბილისში მართლაც ბევრი რამეა მიმზიდველი „ახალი სტუმრისათვის“. რამოდენიმე დღეს მოჰყვა რამოდენიმე თვე, ისე მიდიოდა დრო, რომ კასიმოვი ვერც ამჩნევდა, ისე გართული იყო „რულეტკის“ თამაშში.

თამაშში კასიმოვს უმხთლა ბედმა და მთელი ეს 400 მანეთი წააგო. აგრეთვე ოქროს საათი და სხვა ძვირფასი ნივთებ.

დარჩა ხეიფულა უფულოდ.

იფიქრა, იფიქრა და გამონახა ერთი „უებარი“ საშუალება; სახელდობრ: ამოიძრო ჯერ ერთი ოქროს კბილი, გაჰყიდა, აიღო ფული წავიდა ითამაშა, წააგო; ამოიძრო მეორე კბილი, გაჰყიდა, აიღო ფული, წავიდა ითამაშა, წააგო.

ასე „ერთობოდა“ ხეიფულა, სანამ უკანასკნელ კბილზე არ მიდგა ჯერი. მაგრამ აქ ცოტა „მოშორნილობა“ გამოიჩინა ხეიფულამ. ეს ერთად ერთი კბილი შეინახა „შავი დღისთვის“.

გადასწყვიტა დაეწყო „ორი თითით მუშაობა“. წავიდა გასავარჯიშებლად ნაძალადევში, მიუცოცდა ერთ გლეხს, ჩაუყო ხელი ჯიბეში და ამოაცალა ქისა, მაგრამ, როგორც სათანადო „პრაქტიკას“ მოკლებული იქავე დაპატიმრებულ იქნა ქისაში სულ ამოჩნდა ოთხ აბაზ ნახევარი.

სასამართლომ კასიმოვს მიუსაჯა ერთი თვის ციხე.

ხეიფულამ მოისმინა განაჩენი, დაღუნა თავი და სევდიანად ჩაილაპარაკა: „არ მინდოდა უკანასკნელი კბილი ამომეძრო, მაგრამ სხვა რა გზა დამრჩენია“.

ნ—ძე.

ექიმ არდიშვილის და სხვ. საქმე.

დღეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. გოთუაძის თავმჯდომარეობით დაიწყება ექიმ არდიშვილის, გულისაშვილის, შერმანის და ლეჟავშვილის საქმის გარჩევა.

არდიშვილი იყო ახალწვეულთა მიმღებ კომისიის ექიმი. მას ბრალად ედება ქრთამების აღება და ჯარიდან გასაწვევ ახალგაზრდების უკანონოდ განთავისუფლება. გულისაშვილი საბრალმდებლო ოქმის მიხედვით, გამოდიოდა შუამავლის როლში, ახდენდა ახალწვეულებს ქრთამს არდიშვილისთვის გადასაცემად.

შერმანს და ლეჟავშვილს ბრალად ედებათ ქრთამის გაღება.

ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები. მესხიშვილი, ბარათაშვილი, რიჟამაძე, ღვამიჩავა.

დამატებით მოწმეებად გამოწვეული არიან ამხ. მაჩია ორახელაშვილი, ამხ. ილ. მამულია, ლ. კამალოვი და სხვ.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ბინის რემონტის და ქირის შესახებ

კითხვა

მე ვცხოვრობ არსენალის ქუჩაზე სახლი № 14-ში, მიქირავს ერთი ოთახი სივრცით 32 კვ. არშ. ვარ კავშირის წევრი (წიგნ. № 4143) ვღებულობ თვეში 42 მან.

გთხოვთ განმარტებას, რამდენი მეკუთვნის ბინის ქირად კვადრ. არშინზე, და მაქვს თუ არა უფლება გამოურიცხო სახლის პატრონს ოთახის შეკეთებისა, და აგრეთვე იმ ორმოცდა ხუთი მანეთიდან, რომელიც წინდაწინ გამომართვა რადგანაც მან ისე არ შემიშვა ბინაში და იძულებული ვიყავი მიმეცა.

მაქვს თუ არა უფლება ვისარგებლო წყლით იქ, სადაც უფრო მეხერხება ამავე ეზოში. სახლის პატრონი ამის ნებას არა მაძლევს და მაიძულებს ვიარო მესამე სართულიდან დაბლა, როცა წყალი იქვეა მესამე სართულში.

კოლია პატარაია.

პასუხი

ბინის ქირად თითოეულ კვადრატიულ არშინზე იხდით ერთ კაპეიკ ნახევარს (1,5 კაპ.) თუ ოთახის შეკეთებას აქვს კაპიტალური რემონტის ხასიათი, გაქვთ უფლება რემონტზე დახარჯული ფული სახლის პატრონს ბინის ქირიდან დაუკავოთ.

გაქვთ უფლება ისარგებლოთ წყლით იქ, სადაც ეს შესაძლებელია და არავისათვის წყლის ასეთ სარგებლობას ზიანი არ აქვს.

რაც შეეხება წინდაწინ მიცემულ ფულის საკითხს, ამის შესახებ გირჩევთ მიმართოთ სახალხო სასამართლოს.

კითხვა

ვცხოვრობ ვერის დაღმართზე სახ. № 15-ში მიქირავს ერთი პატარა ოთახი სივრცით 30 კვ. არშ. ჩემთან ცხოვრობს ჩემი და მოწაფე, რომელიც იმყოფება ჩემს კმაყოფაზე. ვარ კავშირის წევრი (წიგ. № 9841); ვმსახურობ 1-ლ საბავშვო სახლში; ვიღებ 42 მან. თვეში.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, თუ რამდენი უნდა გადავიხადო თვეში ოთახის ქირა.

თამარა მიქაძე.

პასუხი

თვიურად ბინის ქირად თითოეულ კვადრტ. არშინზე იხდით ორ კაპეიკს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საალრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საალრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში შემდეგ ამხანაგებს:

1. გრიგოლ მიხეილის ძე ფრუიძეს, 2. ალიბეკ კავლის ძე ალიევს, 3. ათანასე დიმიტრის ძე კალესნიჩენკოს, 4. სიმონ ქურციკიძეს, 5. ი. ს. ბარამოვს, 6. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე გუსევს.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საალრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საალრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში შემდეგ უმუშევარ ამხანაგებს:

1. დავით შენგელიას, 2. სერგეი დავიდოვს, 3. ამაზას ხამხიძეს, 4. პლატონ ანტონოვს, 5. ვასილ სალამატის, 6. აკაკი გვინერიას, 7. ისიდორე ჭანტურიას, 8. მირ. ნარმოლიძეს, 9. ალექსანდრე გოზალოვს, 10. ანდრია გასილოვას, 11. დავით ურუშაძეს, 12. ალექსანდრე ოლანეზოვს, 13. გრიგოლ კვანტალიანს, 14. კარაპეტ არხიმანდრიტოვს, 15. იასონ ქავასლს, 16. გიორგი ლორთქიფანიძეს, 17. მამაცევს, 18. იმნაიშვილს, 19. ვასილი სანაკოევს.

— ს. კ. პ. ლენრაიკომის საგ.-საპროპ. განყ. იუწყება, რომ ხუთშაბათს, 17 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის ბინაზე შესდგება **პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა თათბირი**; დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის:

ი | კ. კომუნივერსიტეტიდან: ძიძიგური, მელაძე, ცხაკაია, სადარეიშვილი, გუსევი, რევუნოვი, გიორგაძე, ბოკერია, ზამთარაძე, კიშაური, კატანოვი, ბახტაძე, ტერუმოვი, კტინი, ბოკუჩავა; სახელმწიფო უნივერსიტეტიდან: მოწონელიძე; რკ. გზის სამმართველოდან: კულიჯანოვი, ლაზარტყავა, ბეკანოვი; ცენტრ. პარტ-სკოლიდან: ჩალაძე; თბილისის სამხედრო სკოლიდან: ორლოვი, საბ. პარტ-სკოლიდან: კალაძე; დეპოდან: ამოსოვი, როზენფარბი, მარკარიანცი; „ზაკტპოდან“: სურენიანცი; საშემოსავლო ნაწილიდან: ხუბოვა; უზენაესი სასამართლოდან: ცინცაძე, ამხ. მეგრელიშვილი.

ს. კ. პ. ლენრაიკომის საგ. საპროპ. განყ. გამგე გუდავაძე.

— არსრაიკომი იუწყება: დღეს, 17 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, შესდგება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა პრეზიდიუმის ყველა წევრებისა და კანდიდატებისათვის.

მდივნის მაგ. წითლიძე.

თავზარდაცემული შვილები გიორგი და აჩიკო თოდუები მადლობას უხდიან ყველას, ვინც დაეხმარა მათ მდ. სუფსაში ტრაგიკულად დაღუპულ უსაყვარლესი დედის

პელაგიას

გვამის პოვნაში დასაფლავება მოხდება სუფსაში, დღეს, 17 დეკემბერს, ნაშუადღევს 4 საათზე.

1—1 869

უზომოდ დამწუხრებული დედა ელისაბედი ზევარ კვაშალის ასული ჩხაიძე, ძმები იაკინთე, ვარდენი, კვიროსი და ამბროსი ჩხაიძეები ოჯახობით, დები დარია, ნინასი, ფეოდორა და ქსენია ოჯახობით აუწყებენ ნათესავებს და პატივცემულ საზოგადოებას, რომ 6 დეკემბერს უცაბედად დაიღუპა მდ. სუფსაში მათი საყვარელი

პელაგია

ნახული გვამის დასაფლავება მოხდება სადგურ სუფსაში დღეს, 17 დეკემბერს საღამოს 4 საათზედ.

1—1 869

რუსთაველის თეატრი ხუთშაბათს, 17 დეკემბერს

პირველად ამ სეზონში

ინტერესთა თამაში

ნ. 429 3—3

სახელმწიფო ოპერა დღეს, 17 დეკემბერს.

დემონი

სანდრო ინაშვილის მონაწ.

ნ. 426 3—

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—38

საქართვ. პროფესიონალურ კავშირების გამომცემლობა

„შრომა"

შეუდგა პოპულიარულ ბროშურების გამოცემას მუშათა მოძრაობის სხვადასხვა საკითხების შესახებ.

პირველ რიგში გადაწყვეტილი აქვს გამოსცეს შემდეგი ბროშურები:

1. საკლუბო მუშაობა, 2. რა არის საურთიერთო დამხმარე სალარო, 3 მუშათა კოოპერაცია, 4. რა არის სატარიფო შეთანხმება და კოლექტიური ხელშეკრულება, 5. როგორ ხდება სამუშაოზე მიღება და მუშა მოსამსახურის დათხოვნა, 6. მოზარდებისა და ქალთა შრომა, 7. ტეხნიკური სიფრთხილე და ბრძოლა უბედურ შემთხვევებთან, 8. რა არის შრომის ხელფასი და როგორ წესრიგდება იგი, 9. მუშის პროფესიონალური ჰიგიენა.

ზემოხსენებულ საკითხებზე ავტორებს შეუძლიათ წარმოადგინონ შრომები ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა გამომცემლობა „შრომა"-ში. მუშათა სასახლე № 17. ბროშურა არ უნდა აღემატებოდეს ორ-სამ ფორმას. მოწონებულ ბროშურის ავტორს მიეცემა სათანადო ჰონორარი.

ნ. 432 3—2

აპოლლო ართისტო სოლეი

საუცხოვო სურათი

ნიშანი Z ზორო

დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით

პირველ სეანსის დაწყებამდე პარტერი—35 კ., ამფითეატრი—25 კ. 4 ადგილი—20 კაპ.

БЕЛАЯ МОЛЬ

მთავარ როლებში ბარბარა ლა-მარ ||| სოლო იაკობ ბროდსკი

ინდოეთის აკლდამა

3 და 4 სერია ერთად

მთავარ როლებში მია მაი, კონრად ვეიდტი, ლია დე პუტი

0—15 ნ. 324

1926 წ. პირველ იანვრიდან

საქ. პროფ. საბჭოს და სოციალურ დაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოს ჟურნალი

„შრომა"

გამოვა ყოველკვირეულად

ჟურნალ „შრომა"-ში მოთავსებული იქნება პროფესიონალურ, მუშათა მოძრაობის, შრომის დაცვის, სოც. დაზღვევის, საზოგ.-პოლიტიკურ და ეკონომიურ ხასიათის წერილები და სხ.

ნ. 430 3—2

საქართველოს პროფესიონალურ კავშირების კოოპერატიული გამომცემლობა

„შრომა"

შეუდგა მუშათა ფართო მასებისათვის იაფ-ფასიანი ბიბლიოთეკის გამოცემას

პირველ რიგში იბეჭდება და გამოვა

მხატვრული ლიტერატურიდან

1. სურამის ციხე—დ. ჭონქაძე
2. სოლომონ მეჯღანუაშვილი—არდაზიანის
3. რჩეული ლექსები—დავითაშვილისა
4. ოვოდ—ვოინიჩის
5. სამიულ მაძიებელი—უ. სინკლერის
6. იმპერიალიზმის უღლის ქვეშ—ჯეკ ლონდონის
7. კონოვალოვი—მ. გორკის
8. მეგობრები—მ. გორკისა

პოპულიარულ მეცნიერებიდან

9. როგორ და როდის გაჩნდენ ადამიანები დედამიწაზე—რუბაკინისა
10. ქვეყნისა და სიცოცხლის წარმოშვება დედამიწაზე—პანოვისა
11. მეცნიერების მნიშვნელობა—ტიმირიაზევისა

შეკვეთების მიღება შეიძლება გამომცემლობა „შრომა"-ს წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში.

მისამართი: რუსთაველის პროსპექტი, მუშათა სასახლე № 17.

საზოგადო და პროფესიონალურ ორგანიზაციებს გამოცემები მიეცემათ შეღავათით. ნ. 431 3—2

თანახმად ა | კ. სახკომსაბჭოს № 4 დადგენილებისა

(1925 წლ. 12 თებერვლის თარიღით)

საქ. ს.მ.უ.ს. დამტკიცებულია

სავაჭრო ნიშნები

შემდეგი ფირმებისა

1. ბაგრატ დათუაშვილის ფირმა „შუაკახეთისა". მარკად ბირთვზე წამომჯდარი ქალია, მას ხელში უჭირავს ღვინიანი ბოთლი. წარწერა ქართულად და რუსულადაა: „კახური ღვინო „შუა-კახეთი" თბილისი ქსნიევის ქ. № 12".

2. ძმ. ბაბაჯანოვების ფ. „ანტიკისა" ხელის საპნის წარმოება. ყვითელ ფონზე ეტიკეტისა გაპნეულია მწიფე მარწყვი. შუაში—ვინიეტკაში ჩაწერილია ქართულად და რუსულად: „მარწყვის საპონი ანტიკი თბილისი".

3. პაპიროსის ქაღალდის წარმოება კარაპეტ სედრაკის ძე ბადალიანცისა. ეტიკეტზე ორთქლმავლის გამოხატულებაა.

4. ფ. „ლევარისა". ეტიკეტზე გამოხატულია ლომი. წარწერა რუსულად და ქართულადაა: „ბრინჯის სახამებელი „ლევარი".

5. გიორგი მ. მოიაჯიანცის პაპიროსის ქაღალდის წარმოებისა. ეტიკეტზე სურათია ცხენზე შემჯდარი მხედარისა, რომელსაც მარჯვენა ხელში პაპიროსი უკავია.

ნ. 440 1—1 მრეწველობის ინსპექტორი ა. მეზურიშვილი

ექ. ე. მ. მქნარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. დღის 1—2 ს. და საღამოს 4—6 ს. ქალებს და ბავშვებს 5—7 ს. რუსთველის პროსპექტი № 10 შესავალი კრუზენშტეინის ქუჩიდან.

ექიმი **კ. ი. ჯალაღოვი**

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი სიფილისი, შეშხაპუნება „914"

გონორეის და მისი შედეგების წამლობა. ავადმყოფები მიიღება დილის 7—9 საათ. საღამოს 5-დან 9-მდე. მისამართი კამოს ქ. № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) გოსრონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად

25—1

გაზეთი

„ახალი საქართველო"

გრ. ვეშაპელის რედაქციით

გამოდის პარიზში ორკვირეულად

იყიდება: თბილისში, ქუთაისში, ხონში, სამტრედიაში, ფოთში, სენაკში, აბაშაში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ბათომში, ჭიათურაში, ხაშურში, თელავში, სიღნაღში, სოხუმში.

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება სახელმწიფო გამომცემლობის მაღაზიაში **აკაკი გვახარიასთან**. თბილისი, რუსთველის პროსპ. № 22.

ნ. № 441 3—1

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საქართველოს სახელმწიფო სპირტის სამმართველო

ყიდულობს პარტიობით ბოთლებს

კონიაკის, ლიკიორის (ბენედიქტინის) და არაყისათვის

სამმართველო მოთავსებულია ლენინის ქუჩაზე № 30

3—2 ნ. 434 ტელეფ. 3—53 11—06

მიიღება ხელისმოწერა ჟურნალ „ჩვენი მეურნეობა"-ზე

(თბილისის საბჭოს ორგანო)

1926 წლის იანვრის თვიდან

ჟურნალი გამოდის ყოველთვიურად ქართულ და რუსულ ენაზე, ცალკ-ცალკე

ჟურნალი თავის მთავარ ამოცანად ისახავს ქალაქის და საზოგადოთ ჩვენი მეურნეობის საკითხების გაშუქებას.

ჟურნალში თანამშრომლობისათვის მოწვეულნი არიან საუკეთესო ადგილობრივი ლიტერატურული ძალები; ამას გარდა ჟურნალს ჰყავს აგრეთვე თანამშრომელი—კორესპონდენტები საბჭოთა რუსეთში და საზღვარგარეთ

ხელის მოწერის პირობები:

	თბილისში ბინაზე მიტანით	პროვინციაში გადაგზავნით
1 თვით	50 კ.	70 კ.
3 „	1 მ. 40 კ.	2 მან.
6 „	2 მ. 60 კ.	3 „ 80 კ.
9 „	3 მ. 80 კ.	5 „ 60 კ.
12 „	5 მ. — კ.	7 „ 40 კ.

განცხადების ფასი:

1 გვერდი	50 მან.
1/2 „	30 „
1/4 „	20 „

მრავალჯერ დაბეჭდილი განცხადებების ფასი დაკლებულია, კანზე განცხადებების ფასი 100 პროც. ძვირია.

ცალკე ნომერი ყველგან 60 კაპ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია: აკ. წერეთლის ქ. (ყოფ. განოვის) № 2 ოთახი № 251 ტელ. № 8—82 (თბილისის აღმასკომის სტატისტიკურ-ეკონომიური განყოფილება).

ხელისმოწერა და განცხადება მიიღება დილის 9-დან ნაშ. 3 საათამდე ყოველ დღე, გარდა კვირა უქმეებისა. 1—1

მოითხოვეთ პარფიუმერია „ანზოლ"

კრემი „ანზოლ" აძლევს სახეს ნაზ ფერს.

პუდრი „ანზოლ"—ზედმიწევნით რბილი და ნაზი.

კბილის პასტა „ანზოლ"—სასიამოვნო სურნელებას აძლევს პირის ღრუს და ამაგრებს ღრძილებს.

ველო-გლიცერინი „ანზოლ"—არ ბილებს პირის და ხელების კანს.

იყიდება ყველა საპარფიუმერიო კოსმეტიკურ მაღაზიებში

4—3 343 ნ.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დიარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ექიმი **თოდაძე**

ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-კენჭები, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივი უძლურება,—მკურნალობა გაახალგაზრდავების თანამედროვე მეთოდებით და სხვ.), ცისტოსკოპია, ურეთროსკოპია, პიელოგრაფია.

დილის 8—9 საათ., საღამოს 4—6 საათამ. ბელგიის ქუჩა № 1.

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფს იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და ს.-ღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა).

ექიმი **ი. ა. შაფერ**

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება 2—3 საათ. და 6—8 საათ. კურსანტების ქ. (ყოფ. კადეტის ქ.) № 6, მესამე სართული.

ექიმი **არსენ ვადაჭკორია**

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სენით ავადმყოფთ. აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას

დილის 8—10 ს., საღამოს 4—7 ს. ოლღას (ლენინის ქუჩა) № 35.

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**

ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდ და საღამოს 4—6 საათამდე, ქალები—დღის 1—2 საათამდე.

საპიორის ქ. №35 (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

დოქტორი **გ. მეგრაბიანი**

ფილტვების, გულის და ციების

წამლობა **ხელოვნური მთის მზით** სპნეიმოტორაკსით და ტუბერკულინზით, **რენტგენის**, და სინათლის, ელექტრონის სამკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება.

პლეხ. პროსპ. № 116 „ნოეს" პირდაპირ მიღება 8—11 დილ., 6—8 საღ.

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

ექიმი **ა. ს. ფუნ-ირტელი**

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი). [illegible] საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მმაჩის მოწმობა და სხვა დოკუმენტები ზაქარია თამანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 856 1—1

დაიკარგა დაზღვევის ფურცელი № 677, გაცემული დაზღვევ სალაროდან ვასილ პავლეს ძე მელაძის სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა დაზღვევის წიგნაკი № 4720, გრიშა ჩივაძის სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა ლომბარდის ქვითარი № 9352, ჩ. გ. 857 1—1

დაიკარგა საწევრო წიგნაკი № 7913, მიღებული განათლების მუშაკთა კავშირის ოზურგეთის განყოფილებიდან ს. ნიკოლაიშვილის სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა პასპორტი და მმაჩის მოწმობა მარია ინბელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 860 1—1

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სალექციო წიგნაკი (მატრიკული) 9 დეკ. ელენე პავლეს ასული ბაქრაძის სახელზე, ჩ. გ. 861 1—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 541, ელისაბედ ჩიქოვანის სახელზე, ჩ. გ. 862 1—1

დაიკარგა პორტ-ბილეთი № 490778, ნიკოლოზ იორდანეს ძე შავლაყაძის სახელზე, ჩ. გ. 867 1—1

დაიკარგა დაზღვევის წიგნაკი ლითონ. კავშირთა № 67804, ირინე ართილაყვას სახელზე, ჩ. გ. 865 1—1

დაიკარგა თამასუქი ორას-ორმოცდაათი მანეთის (250) ერმილე გაჩეჩილაძის სახელზე. ჩ. გ. 442 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 750 მეტრიკული ამონაწერი № 19 და სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 715, ვანო სამხარაძის სახელზე. ჩ. გ. 866 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა იოსებ კიკოზაშვილის სახელზე, ჩ. გ. 442 1—1

დაიკარგა მოწმობა მოცემული თელავის ინფორმ-პუნქტიდან № 554, 24 ოქტ., რუსულ სამხაზიანი შაშხნის შენახვაზე და ტარებაზე გიორგი სოხურაშვილის სახელზე, ჩ. გ. 868 1—1

„სეკარის სითხე"

ორგანო-ტერაპევტიული ლაბორატორია **„გალენ-მოსკვა"**

დამზადებული პროფესორ ბიუხნერის მიერ

სასქესო ჯირკვლების ახალი თესლისაგან, ნებადართულია ჯანსახკომის მიერ, № 8362

დარიგება წამლის მიღების შესახებ:

ყოველგვარი ნევრასტენია, დაღლილობა, სიბერის გავლენა, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ორგანიზმის სისუსტე—ტიფის, ინფლუენცას, სიფილისის, მშობიარობის შემდეგ ავადმყოფობა, არტერიო-სკლეროტიული ცვლილებანი ძარღვებისა. კონსტიტუციონალური ავადმყოფობანი: სისხლნაკლულობა, ჭლექი, დიაბეტი, ხერხემლის გახმობა. ადვილად ითვისებს ყველა. არავითარი ზიანი არ მოაქვს ამ წამლის ხმარებას. ერიდეთ სიყალბეს. უსათუოდ მოითხოვეთ მწვანე ბანდეროლით, წარწერით: „კონტროლ". სეკარის სითხე, გენერალური წარმომადგენლობა ამიერ-კავკასიაში—თბილისი, თავისუფლების მოედანი, № 2. იყიდება სახმედვაჭრობის ყველა აფთიაქების მაღაზიებში, საფთიაქო სამმართველოებში და წითელი-ჯვრის აფთიაქებში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში. იგზავნება ფოსტითაც, ღირებულების 25 პროც. ბეს მიღებ. სანაცვ., არა ნაკლებ 4 ფლაკონისა.

ფასი 2 მან. 50 კ. ფლაკონი

წერილები, შეკვეთები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

კოოპერატივ გალენის ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობას, თბილისი, თავისუფლების მოედანი (ყოფ. თამამშ. პასაჟი) № 2, მეორე სართული, განყ. 8.

Письма, заказы и деньги адресовать: Зак. Представительство Кооператива ГАЛЕН, Тифлис, пл. Свободы (б. пассаж. Тамамшева) второй эт., отд. 8.

ნ. 425 ი—2

არ დაგავიწყდეთ ნახევარი საათით ადრე საჭმელის მიღებამდე

სეკარის სითხის მიღება


Алкогольная вытяжка из семенных желез животных
Органотерапевтический отдел лаборатории „Гален-Москва" в Москве
Алкогольная вытяжка из семенных желез животных
Liquor testiculorum
„Гален-Москва" в Москве

ВЫТЯЖКА из СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ

„СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ"

ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКОЙ ЛАБОРАТОРИИ КООПЕРАТИВА „ГАЛЕН-МОСКВА"

ПРИГОТОВЛЕННАЯ ПО СПОСОБУ ПРОФ. БЮХНЕРА ИЗ СВЕЖИХ СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ.

Разрешена Наркомздравом за №8362

Показание для применения:

НЕВРАСТЕНИЯ ВО ВСЕХ ВИДАХ.

Переутомление, старческая дряхлость, слабость организма после перенесенных истощающих болезней: ТИФА, ИНФЛЮЭНЦЫ, СИФИЛИСА, ПОСЛЕРОДОВЫХ ЗАБОЛЕВАНИЙ. Артериосклеротические изменения сосудов, подагрические заболевания

ВСЕ ВИДЫ ПОЛОВОЙ СЛАБОСТИ

Конституциональные заболевания: малокровие, туберкулез, диабет, спинная сухотка

Легкая усвояемость, отсутствие вредных побочных действий при применении

ОСТЕРЕГАЙТЕСЬ ПОДДЕЛОК обязательно требуйте с зеленой бандеролью и с надписью: КОНТРОЛЬ Секаровская жидкость. Генеральное представительство в З.С.Ф.С.Р. Тифлис, пл. Свободы 2. Имеется в продаже во всех магазинах Госмедторга и аптеках Аптекупр.

Цена флак. 2 р. 50 к. при выписке 4 и более флак. пересылка за наш счет

Высыл. почтой при получ. задатка 25 %

Письма заказы и деньги адресовать

Закавказское Представительство Кооператива Гален-Тифлис, площ. Свободы (б. пассаж Тамамшева) второй этаж. Отд. 22.

Вход против бывш. гост. „Кавказ"

სტამბა „ზარია ვოსტოკა"-ს სამწულუკიძის ქუჩა № 4